

293  
1994


# საქართველო



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


№ 1, 2-3

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



5-111

1994



აქედით ხიშტ რსუაირეასთქ  
საქიერეიქა-საუაქოქიქო უაქიქო

გსურს ვაივო „ვინა ხარ“, უნდა შეიტყო „ვინ იყავ“;  
ვინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლედ“;  
„საითკენ?“ – მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცო: „საიდან?“  
ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა –  
იგი თანვე შემედითი მონაწილეა მომავლისა.

ბრიგოლ რობაქიძე

დასაბამიდან            ყფყრ  
ქორონიკონი            ქიჩი  
ქრისტეს შობიდან    ხმეჯ





ახალგაზრდა ინტელიჯენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

# არტანუჯი

1994

1

დამფუძნებელი ერთი პირის ხაზარშო  
„არტანუჯი“



რედაქტორ-გამომცემელი  
ბუბა კუდავა

რედაქტორის მოადგილე  
ვასილ შალაგზირიძე

სარედაქციო ჯგუფი:

გიორგი კალანდია  
ბონდო კუპატაძე  
ჯაბა სამუშია  
ნიკო ჯავახიშვილი

მხატვარი

თამაზ შარივაშვილი

კომპიუტერული გრაფიკა

ნიკო ყაველაშვილისა

© არტანუჯი

✉ 380062 თბილისი, ვაჟები, კორპ. 2, შინა 39. ☎ 29-31-33, 29-09-56.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1993წ. 14 დეკემბერს, № 1279.

რეპაზ სირაძე

5  
6  
7  
10  
12

წინათქმა  
მასალებები  
არტანუჯის ციხე  
სამბოლო სულიერი ამაღლებისა  
(ბოლნური ჯვარი)  
როგორ დაეხმარათ ბოლნური ჯვარი



საქართველოს ენციკლოპედია

1. 1994

# სარკვევი

ბიორგი კალანდია

13

ნიკო ჯავახიშვილი

19

ბონდო კუპატაძე

24

ჯაბა სამუშია

31

მერაბ კალანდიაძე

39

ჰორჰ ოსტროვოსკი

43

ნუგზარ წერეთელი

46

მიტროპოლიტი ლეონიდე

51

კაკუნა წერეთელი

55

ბუბა კულავა

67

78

81

89

90

93

95

## საქართველოს ისტორია

წმინდა ნაწილები და რელიქიები  
საქართველოში (სამეგრელო)  
მასალები ქართული ფალერისტიკის  
ისტორიისათვის  
იზოთიქსმის ისტორიული საფუძვლები  
და ბაგრატიონთა დინასტია  
საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური  
ურთიერთობის ისტორიიდან

## მსოფლიო ისტორია

ფილიპ დე კომინი და რიჩარდ III  
რომის ტრანსფორმაცია ბიზანტიის იმპერიად

## გერამ რეპულიშვილი – 60

ისტორიის სიყვარულით შთაგონებული

## სარწმუნოება

სიტყვა ოქმული სვეტიცხოვლის ტაძარში  
აქტიურობის აღდგენის წლისათვის

## კულტურა და ხელოვნება

ემიებდე და კპოეებდე  
(კოლექციონერის მოგონებები)

## სოციალური პრობლემა

დალაი-ლამა – დევნილი ტიბეტელი  
მშვიდობის ნობელის პრემიის  
ლაურეატები (სია)

## ბიბლიოგრაფია


1993 წელს დაცული დისერტაციები  
ქრონიკა

## სახალისო ისტორია

კროსკორდი  
თემორა  
ისტორიკოსები მეგობრულ შარეებში



ქართული  
ენების ინსტიტუტი





# ნ ი ნ ა თ ქ ა ა

საქართველოს  
ნიგელიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალებით არ არის განუზომებელი ქართული მკითხველი, არადა ასეთი გამოცემები ყველა დარგს ყველა სფეროს თანაბრად სჭირდება. ვეჭორდება ჩვენც, ახალგაზრდა ისტორიკოსებს.

ამ წამოწყებით გვსურს პოპულარიზაცია გავუწიოთ ისტორიულ მეცნიერებას მკითხველთა ფართო მასებში, მცირედაც მაინც გავუმართოთ ხელი ახალი თაობის ისტორიკოსებს თავიანთ ნაშრომთა პუბლიკაციაში, ერთმანეთთან დავაკავშიროთ ახალგაზრდა მკვლევარები, ისტორიკოსებს გავაცნოთ ახალი სამეცნიერო მიღწევები, გავაშუქოთ მკითხველსათვის საინტერესო ისტორიული საკითხები...

ძნელია ისტორიკოსთა ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომა. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობას. ჟურნალის კოლექტივი ძირითადად სტუდენტებითაა დაკომპლექტებული. ეს ერთს მხრივ, გვმატებს პასუხისმგებლობის გრძობას, მეორეს მხრივ კი გამოარაცხავს რაიმე სახის პრეტენზიას სრულყოფილებაზე.

ახლა კი კითხვა, რომელიც ღიოგაგურად დაგვებადება ჟურნალის დანახვისთანავე: რატომ მაინცდამაინც „არტანუჯი“? პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სახელწოდება კარიბჭეა, წინასაბუთა ჟურნალისა. ჩვენ კი ჟურნალის სახედ არ გვიხდოდა აგველო რაიმე უსაბურთო, აბსტრაქტული, არადრისმთქმელი, უფუნქციო სიტყვა-ვამჯობინეთ კონკრეტული, „ხელშესახები“, „ძველის დიდებია“ გამოძნატველი სახელწოდება, რომელსაც განზოგადებული სახე ექნებოდა.

ასეთი სიმბოლური და განზოგადებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის არტანუჯის სახელოვან ციხე-ქალაქს. გავიხსენოთ IX საუკუნის დასაწყისი. არტანუჯში მკვიდრდება ამოტკურაპალატი. საფუძველი ეყრება ტაო-კლარჯეთის სამთავროს (ქართველთა სამეფოს). ეს მხარე სათავეში უდგას ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას. ბაგრატ III - პირველი მეფე ერთიანი საქართველოს ტახტზე შემდეგ - დავიტ და თანარ! - ხეობა ქართული სულთა და მწვერვალი ქართული მონარქიისა...

სიმბოლურად რომ ვთქვათ, არტანუჯში დაიწა ქართული რენესანსის აკვანი!

ასე რომ, არტანუჯი პირობითი ბურჯია, დედაბოძია საქართველოს ფიზიკური, მიწიერი ძლიერებისა (სწორედ ამიტომ არის გამოსაბული დედაბოძი ჟურნალის გარეგანზე), ხოლო ჩვენი ემბლემა - ბოლნური ჯვარი, სიმბოლო სულიერი ამაღლებისა, ნიშანია საქართველოს სულიერი, ხეცური ძლიერებისა.

აი მოკლედ სიმბოლოთა შესახებ. დანარჩენზე თავად ჟურნალი მოგიტარობთ.

საქართველოს  
ნიგელიოთეკა



მეამაყება, რომ მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა, სიცოვისა და ასე განსაჯეთ მძიმესი ვითარებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც ინტენსიურად ფუნქციონირებს, სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად ნორმალურად მიმდინარეობს და სტუდენტურმა ცხოვრებამაც თავისი გზა იპოვა. სტუდენტური თვითმოქმედება და სამეცნიერო საქმიანობა თავის კალაპოტშია.

არ შემოდლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ ჩვენ ძირითადად მაღალი პასუხისმგებლობის სტუდენტობა გვაქვს, რომელიც დიდი სერიოზულობით ეკიდება მეცნიერების სხვადასხვა დარგების დაუფლებას. შედეგებიც სახეზე გვაქვს.

ამჯერად მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო ისტორიკოს სტუდენტთა აქტიური სამეცნიერო საქმიანობა, რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ საკმაოდ კარგი დონის ნაბეჭდი გამოცემები.

მინდა გულწრფელად მივესალმო ამ ახალ სტუდენტურ გამოცემას — „არტანუჯს“, რომელშიც ჩვენი ახალგაზრდა ისტორიკოსების სტატიებია დაბეჭდილი. ვისაც კი თუნდაც ერთი სტატიის გამოქვეყნება უცდია, ის აღვილად მიხედება, თუ რაოდენ დიდი შრომაა საჭირო ამგვარი ჟურნალის გამოსაცემად.

მინდა დავლოცო ეს ჟურნალი. წარმატება ვუსურვო მას. ასევე მინდა ვისურვო, რომ ჩვენს სტუდენტობას არ განულებოდეს ამგვარი ჟურნალების გამომცემის ხალისი. თავად კი აუჩქარებლად, ბეჯითად უნდა იღვაწონ და ასე ჩასწვდნენ მეცნიერების ხიდრმეებს. ვისურვებ, რომ ისტორიის უმშვენიერესმა მუხამ — კლით თავისი მზრუნველი კალთა გადააფაროს „არტანუჯს“.

წარმატებით გვაკვლით და გელეაწით, ახალგაზრდებო!

როინ მებრეველი

მსურს გამოვხატო ჩემი კმაყოფილება ახალგაზრდების აქტიურობის გამო. აუცილებელია გამოსვლა ჩვენში შექმნილი მძიმე ვითარებიდან და ამ პროცესში გადამწყვეტი სიტუაცია მომავალმა თაობამ უნდა თქვას. გუნდი ახალგაზრდულია და ის შესძლებს სიძნელეების გადალახვას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომების პუბლიკაციას.

მივესალმები ინიციატივას და ვუსურვებ წარმატებებს.

მარია ლორთქიფანიძე



# არტანუჯის ციხე



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

არტანუჯის ციხე წარმოადგენს  
იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გახადებს.  
კონსტანტინე პორფიროგენეტი



არტანუჯის ციხე, საერთო ხედი. ფოტო გაა გოდერძიშვილისა, 1992.

ძველი ქართული ტრადიცია არტანუჯის ციხის აგებას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებს. ჯუანშერის გადმოცემით, საბერძნეთიდან ქართლისაკენ მომავალ მეფეს კლარჯეთში ერთი სოფელი უხილავს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „არტანუჯად“ უწოდებდნენ. მეფეს ისე მოსწონებია ამ სოფლის სტრატეგიული მდებარეობა, რომ თავის ძუძუმტის – არტავაზისათვის ამ ადგილებში ციხის აგება უბრძანებია. არტავაზსაც მალე შეუსრულებია ვახტანგის ბრძანება და „აღაშენა ციხე არტანუჯისა“. ამიერიდან არტანუჯის ციხე ერისთავთა რეზიდენცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გამხდარა.

V საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული არტანუჯის ციხე დიდ როლს ასრულებს საქართველოსა და კრძოდ, კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ციხეს უკავშირდება ბევრი საინტერესო მოვლენა ჩვენი ერის ისტორიისა. ქართულ წყაროებში ხშირად მოიხსენიება არტანუჯის ციხე, მოგვიანებით ქალაქი არტანუჯი. ეს უპირველესად ამ პუნქტის გეოგრაფიული თუ სტრატეგიული მდებარეობით უნდა იყოს გამოწვეული. იგი მდებარეობდა დიდ სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებდა ამიერკავკასიის ქვეყნებს ბიზანტიასთან და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან. აქ გადიოდა სამშვილდე – ფარავნა – ახალქალაქი – არტაანი – არტანუჯის გზა. ეს მაგისტრალი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქალაქებს აკავშირებდა ბიზანტიის იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან. არტანუჯის მეშვეობით უკავშირდებოდა აგრეთვე სომხეთის ქალაქები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოს.

VIII საუკუნის 30-იან წლებში არტანუჯის ციხე სასტიკად ააოხრა მურვან ყრუმ. არაბმა დამპყრობელმა მთლიანად მოსპო და დააქცია კლარჯეთის სახელოვანი ციხე ამის შემდეგ არტანუჯის სანახები 80 წლის განმავლობაში სრულიად მიტოვებულ და გავერანებულ მხარეს წარმოადგენდა. როგორც შემატყავე გადმოგვცემს, არტანუჯის მიდამოები ტყით დაფარულა.





არტანუჯის ციხეს იმდენად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, რომ მას ასე უკვალოდ გაქრობა არ ეწერა. მალე დიდი მშენებლობა გაჩაღდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კლარჯეთში მკვიდრდება ბავრატონთა სამეფო დინასტია, ტბოში იწყება ფართო სამონასტრო მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. მზრუნველი ხელი ტყეში ჩაფლულ არტანუჯსაც შეუხო.

IX საუკუნის დასაწყისში აშოტ კურაპალატმა აღადგინა და დააარსა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული კლარჯეთის სახანუბო. „პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი. და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მის ყორობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა უგრეთვე ციხედ. და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“ – მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძე.

IX საუკუნიდან მოვიდებოდა არტანუჯი კვლავ აქტიურადაა ჩაბმული ქვეყნის ცხოვრებაში. „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ (ვარუებანი – რედ.) და დაბა-ქალაქიც, და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან. და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. ადრანუჯის ციხის მიწაწყალი დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ (კონსტანტინე პორფიროგენეტი). როგორც ვხედავთ, X საუკუნეში არტანუჯი საკმაოდ დაწინაურებული ქალაქია.

XI საუკუნის პირველ ნახევარში, ბიზანტია-საქართველოს ომების ჟამს, არტანუჯის ციხე, როგორც კლარჯეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს არტანუჯი ანტიბიზანტიური კოალიციის ცენტრი იყო სამხრეთ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა ბრძოლისა და პოლიტიკური ჭიდილის შეჯგუფებაში იქნებოდა მოქცეული.

XI საუკუნის მეორე ნახევარში არტანუჯის ციხე-ქალაქი კვლავ სასტიკი აოხრებისა და ძარცვა-გლეჯის ობიექტი გამხდარა. თურქ-სელჩუკთა შემოსევამ დიდი დაღი დაასვა ერთ დროს აყვავებულ ქალაქს. „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქვეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი“ – გოდებს დავითის მემატჩიანე.

მაგრამ არტანუჯი ეკონომიურად კვლავ მალე მოღონიერდა და უკვე XII საუკუნის დასაწყისში აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი კვლავ რჩება ტაო-კლარჯეთის მხარის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად. არტანუჯს თავისი მნიშვნელობა არც მონღოლთა დაპყრობების შემდეგ დაუკარგავს.

გვიან შუა საუკუნეებში არტანუჯი თურქების ხელშია. 1552 წ. არზრუმის ბეგლარბეგმა ისქანდერ ფაშამ დაიპყრო ციხე და სულთნის ტახტს დაუქვემდებარა. გურჯისტანის ვილაეთის შექმნის შემდეგ არტანუჯი ამ პროვინციის შემადგენლობაშია. ამ დროისათვის ციხე-ქალაქის მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა. გამუდმებული ბრძოლებისა და მომხდურთაგან არაერთგზის აოხრების შედეგად არტანუჯს პირვანდელი დაწინაურებული მნიშვნელობა დაუკარგავს და მცირე ქალაქად გადაქცეულა. XVIII საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილის მითითებით, ქალაქი არტანუჯი პატარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა: „არს არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი“.

1878 წელს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთის იმპერიამ შეიერთა იასმალეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის ისტორიული ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალი. ამან საშუალება მისცა ჩვენს მეცნიერებს მიუწახულებინათ შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ჭოროხის აუზი და საგულდაგულოდ შეესწავლათ იგი. ამ მისიით 1879 წელს სამხრეთ საქართველო მოიარა დიმიტრი ბაქრაძემ. მან მოინახულა არტანუჯის სასულოვანი ციხეც. მეცნიერის ჩანაწერები მეტად ძვირფასია ჩვენთვის, რადგანაც ციხე-ქალაქი იმხანად შედარებით



პირველადი სახით იყო შემორჩენილი. არტანუჯს იმდენად დიდი მთაბეჭდილება მოუხდენია დ. ბაქრაძეზე, რომ გაკვირვებული აღნიშნავდა: „არტანუჯი და ართვინი განლაგებულნი არიან ისეთ ციცაბო ფერდობზე, რომ გიკვირს, ხუთუ შეიძლებოდა აქ ქალაქების განვითარება“.

ტაო-კლარჯეთის მხარე საქართველოს საზღვრებში რჩებოდა 1918-1921 წლებშიც საქართველოს ანექსიის შედეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთს გადასცა ყოფ. ბათუმის ოლქის სსრკ-ს დაწესებული, ართვინის ოლქი და არდაგანის ოლქი. არტანუჯი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა.

ამჟამად არტანუჯის რაიონი ექვემდებარება ართვინის ოლქს, აერთიანებს 50-მდე სოფელს 22500 მცხოვრებით. საკუთრივ არტანუჯი დაბის ტიპის დასახლებაა. 1977 წლის მონაცემებით არტანუჯში 3000-მდე მაცხოვრებელია.

საინტერესოა ტოპონიმ „არტანუჯის“ ეტიმოლოგია, რომელიც აკაკი შანიძესა აქვს მოცემული: არტაან(იშ) ყუჯი → არტანუჯი. „არტაანიშ ყუჯი“ ჭანურად „არტაანის ყურს“, ე. ი. არტაანის ყურეს, არტაანის კარს ნიშნავს (შდრ. ტაოსკარი).


\*

1992 წლის ზაფხულში ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები ბიზ გოლერძიშვილი და ალექსი გუბუნაძე იმყოფებოდნენ ტაო-კლარჯეთში მათ შემოიარეს პრაქტიკულად მთელი ქართული მიწა-წყალი, დააფიქსირეს და აზოტეს დღემდე უცნობი ბევრი ისტორიული ძეგლი, ჩამოიტანეს უნიკალური ფოტომასალა. გასულ წელს რამოდენიმეჯერ მოეწყო აღნიშნული მასალის გამოფენა. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ჯეროვანი ინტერესით არ შეხვედრია ამ მამულიშვილურ წამოწყებას.

წარმოდგენილი ფოტოებიც გია გოლერძიშვილმა მოგვანოდა. მისი ინფორმაციით არტანუჯში კარგად არის შემორჩენილი ციხის უხარბაზარი კომპლექსი, დასახლებას შენარჩუნებული აქვს ქართული სახელწოდება, მცხოვრებოა ნაწილი ქართველები არიან.

ჩვენის მხრივ, დიდ ძაღლობას მოვასხენებთ გულისხმიერებისათვის ახალგაზრდა მეცნიერს და წარმატებებს ვუსურვებთ ტაო-კლარჯეთის ისტორიულ ძეგლთა შესწავლის მამულიშვილურ საქმეში.

ხალი მდინარე არტანუჯისწყალზე ფოტო გია გოლერძიშვილასა. 1992.





# სიმბოლო სულიერი კაბლავისა



რევაზ სირაძე

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საწყის პერიოდ-დანვე დამკვიდრდა სამი სახე ჯვრისა: ანდრია პირველწოდებულის ჯვარი, შემდეგ — ჯვარი ვაზისა, რომლის „სახე“, „ხატი ჯვრისა“, ღვთისმშობელმა გადასცა წმ. ნინოს და ბოლნური ჯვარი ანუ წრეში ჩახატული ტოლმკლავებიანი ჯვარი (ჯვარი მედალიონში). არსით ყველა ერთია, ფორმით კი სხვადასხვა. სხვადასხვაგვარია მათი სახისმეტყველებითი მნიშვნელობანიც.

ჯვარი უნივერსალური სიმბოლური ფორმაა, რომელიც გამოხატავს ყოფიერებაში ღვთაებრიობის ყოველმხრივ განფენას, ჰორიზონტალურ სივრცეებშიც და ზეამავალ სულიერებაშიც. მათი გადაკვეთით ჯვარი ქმნის ღვთაებრივ ცენტრს. კოსმიური გააზრებით ეს არის ღვთაებრივი წერტილი, საყრდენი სამყაროს მოღიანობისა, ხოლო პიროვნული გაგებით იგულისხმება გული ადამიანისა, ვითარცა ცენტრი პიროვნების სულიერ-ხორციელი მოღიანობისა. წრეში ჩახატული ჯვარი კი გამოხატავს სამყაროს მოღიანობას, მის დანაწილებას და მისსავე ცენტრს. ასეთია ჯვრის კოსმოლოგიური რაობა. ყველაფრის საფუძველია ჯვრის ქრისტოლოგიური შინაარსი. ვნების ჯვარი გამოხატავს მაცხოვარს, რომელიც იქმნა სიკვდილისა სიკვდილითა დამორგუნველი. ჯვარი ვაზისა სიმბოლოა ქრისტიანული საქართველოსი და მასში იგულისხმება კავშირი ჯვრისა და ვაზისა, ხოლო წრეში ჩახატული ჯვარი გულისხმობს მაცხოვრის ამადლებას და ამიტომაც, რომ სწორედ წრეში ჩახატული ჯვარია გამოსახული ამადლების კომპოზიციებზე, მაგალითად, მცხეთის ჯვრის ბარელიეფზე.


ამგვარი ჯვარი გავრცელებული იყო ბიზანტიურ სამყაროში, კოპტურ ბარელიეფებზე, კაბადოკიაში და მალტის ჯვრის სახელწოდებითაცაა ცნობილი. ფართოდაა იგი გავრცელებული საქართველოში — შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, მაგრამ განსაკუთრებით — ქვემო ქართლში, სადაც იგი ქრისტიანობის უძველესი ხანიდანვე წარმოდგენილია მეტად მრავალნაირი

ბოლნური ჯვარი ჩვენი ქურნალის ემბლემაა



სახისმეტყველებითი ფორმებით, რაც მრავალმხრივია შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით (გ. ჩუბინაშვილი, კ. მაჩაბელი, ვ. ჯაფარიძე). ჯვარი მედალიონში გვხვდება ბოლნისის სიონის აღმოსავლეთი ფასადზე, აფსიდის სარკმლის თავზე, ბოლნისის სიონის ცნობილი წარწერის ძაღლა, სამხრეთის შესასვლელის ზემოთ. გვხვდება ინტერიერშიც, მსგ. სსსკ-წყობებში კი – გუმბათშიც. ამას ემატება ქვემო ქართლის ქვასვეტების მსგ. სსკ-ს ჯვრები.

ჯვარი მედალიონში მაცხოვრის ამაღლებას გამოხატავს და ესაა მისი ძირითადი წართქმითი (ანუ დადებითი) სახისმეტყველებითი შინაარსი. მაგრამ ამასთანავე იგი გულისხმობს ხილული მზის ღვთაებრიობის დესაკრალიზებას ანუ წარმართული მსოფლხედვის დაძლევას. წარმართობისას ჯვარი წრეში ან ბორჯღალი მზე-ღვთაების სიმბოლო იყო. ამ აზრით გამოსახავდნენ მათ ღედაბობებზეც. ბოლნური ჯვარი მისი განვითარება კი არ არის, არამედ მისი არსის უარყოფაა, რათა ხილული მზე ან მისი ხატება იქცეს მხოლოდ სიმბოლოდ უხილავი, სულიერი მზისა. ამ იდეის განვითარება ჩანს გელათის აკადემიის ემბლემაზე, სადაც წარმოდგენილია გადაშლილ წიგნში ჩახაზული ყვავილოვანი წრე – მზე, სიმბოლო სულიერი ნათლისა, გამომხატველი სულიერად ამამაღლებელი სიბრძნისა.



**ბოლნური ჯვარიც. ჯვარი მედალიონში, სულიერი ამაღლების სიმბოლოა.**





# როგორ დავხაზოთ

## ბოლნური ჯვარი



ქართული  
გრაფიკული  
საზღვრების რკალი

ავაგოთ კვადრატის ერთი წრეწირი ჩახაზოთ კვადრატში, ხოლო მეორე მასზე შემოვხაზოთ. ამ ორ წრეწირს შორის მოქცეული არე იქნება ჯვრის სარტყელი (მედალიონი).

მიღებული კონფიგურაცია გვეყოფს ვერტიკალური და პორიზონტალური მედიანებით. მედიანები შუა წერტილში გადაკვეთენ კვადრატის გვერდებს. სწორედ ამ წერტილებიდან ჩახაზული წრეწირის რადიუსის ტოლი რადიუსით შემოვხაზოთ ოთხი ნახევარწრე, რის შედეგადაც მივიღებთ ჯვრის ფრთების არასრულ კონტურს, რომელთაც არ ექნებათ ჯვრის ფრთების უკიდურესი საზღვრების რკალი. საიდან უნდა მოიხაზოს ეს წრიული რკალი?

ცხადია, მოცემული გეომეტრიული მოდელის რომელიმე ორიენტირიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახაზი სრულყოფილ გეომეტრიულობას ვერ დაიჩვენებს. ეს ორიენტირებია შემოხაზული წრეწირისა და მედიანების გადაკვეთის A, B, C და D წერტილები. ამ წერტილებიდან ჩახაზული წრეწირისა და ნახევარწრეების გადაკვეთის წერტილებამდე გავლებული, პუნქტირით აღნიშნული AE მონაკვეთის ტოლი რადიუსებით მოვხაზოთ ოთხი წრიული რკალი, რითაც ჩახაზული წრეწირის შიგნით შეიქმნება ბოლნური ჯვრის კონფიგურაციის გეომეტრიული სქემა.

მასალი მომზადებულია მ. ჩხენკელის სტატიიდან „ბოლნური ჯვარი“, ჟურნალი „ფრესკა“, 1977.



## წმინდა ნაწილები და რელიქვიები საქართველოში (სამეგრელო)




ქართველი ხალხი მუდამ დიდ პატივს სცემდა წმინდანებს, მათი ნაწილებსა და თაედაელებს, ხეცს ქვეყანაში მოკრძალებათ ინახავდნენ მათ წმინდა ნაწილებს, იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეებს. ქრისტიანულ სამყაროში მათ ფლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ვიდრე სამეგრელოში დაცულ სიწმინდეებს განვიხილავდეთ, თვალა გადავაქვით საქართველოს ძირითად ქრისტიანულ სიწმინდეთა რუსებას, რომელიც ბ-ს დავით ნინიძეს აქვს მოცემული:

„ქრისტეს კვართი, მაცხოვრის თმეხა და წვერი (ჯვარცმის დროინდელი), სამსჭუაღისი ფეხთანი უფლისა და ფეხთა ფიცარი ქრისტეს ჯვრისა, ძელიც ბოვლის ნაწილი, მაცხოვრის ხის თეფში საიდუმლო სერობიდან, შოლტი, რომლითაც მაცხოვარი იგვემა, ბაწარი, რომლითაც იგი იყო გათოკილი, სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა, მაცხოვრის ეკლის გვირგვინის ნაწილი, ღვთისმშობლის კვართი, მისი კბილი, ილია წინასწარმეტყველის ხალენი მცხეთაში, ანდრია პირველწოდებულის ნაწილები, თომა მოციქულის თაყა, იოანე ნათლისმცემლის ხორხი თბიზაში, წმ. მარინესა და წმ. კვირიკეს მკლავი...“<sup>1</sup>

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში (ხურ. 1) დაცულია სიწმინდეები, რომლებიც შემოსულა ხობის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან 1923-1936 წლებში და მუზეუმის საგანძურთა შორის დიდ იშვიათობას წარმოადგენს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ღვთისმშობლის სახელგანთქმული კვართი (ხურ. 2), რომელიც როგორც



1. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი (ყოფ. დადაბნო სახეხლე XIX ს.) ხდოც დაცულია ღვთისმშობლის კვართი და სხვა ქრისტიანული სიწმინდეები



2. ღვთისმშობლის კვართი.

<sup>1</sup> დ. ნინიძე, „წმინდა ვიორგის ეკლესია საქართველოში“, „მხათობა“, №11-12, 1921, გვ. 164.



3. ხობის ტაძარი. XIII ს. აქ იყო დღევანდელი დედასამშობლოს კვარია

ჩანს. თავის დროზე დაკორით ყოფილა შემკობილი, მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხბავი გადასულა და იგი ამჟამად უფრო ტილოს წააგავს (ზომა 180 X 150 სმ). აქვე დაცულია წმინდა კვირიკის ხელი (აკლია ორი თათი – ნეკი და არათათი), წმინდა მარინეს ხელი უხამკაულოდ (აკლია ცერი და ხაჩვენებელი თათის სახსარი), იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილები და წმინდა გიორგის ბარძაყი.<sup>1</sup>

ზემოხაძორელი წმინდა ნაწილები მოთავსებულია კერცხლით გაჭედილ პატარა ხობის კუბოში, რომელიც დევან დადიანს (1611-1657) დაკვეთით დაუმზადებიათ. მასზე მხედრული წარწერებია: ა) — შეგამკე და მოკაჭედინე კვართის კუბო ესე კერცხლითა ოქროთა დაფერვითა თვალ მარგალიტითა ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან დევან მისთვის საღონად შეგამკეთ ვოვლად წმინდა ქერაბინთა. შეისმინე ვედრება ჩვენი დაიხსენ და აცხოვნე და განუხვეწე და აკუროხე სული ჩესტან დარეჯანისა და დაიკვიდრე სასუფეველსა ამის. მოიგება ყოვლად წმიდისა პერახვისა კუბო ესე ქორონიკონსა სამას ოცლა რვასა<sup>2</sup> (ქორონიკონი უდრის 1640 წ.) ბ) „ხოყის დევისმშობელი, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა ამის შემამკობელი გურიელის შვილი ძალაქია. ვინც შენლობა ბრძანით, თქვენცა შეგინდოს დამერთმან, ამინ.“<sup>3</sup> ეს ძალაქია არის გიორგი II გურიელის ძე, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი ეპისკოპოსი და აფხაზეთის კათალიკოსი (1619-1639), მის შესახებ მოგვითხრობენ ცაიშის წარწერები.

დგება საკითხი — როგორ მოხვდა დევისმშობლის კვართი და ზემოხსენებული წმინდა ნაწილები ხობის ტაძარში. „ქართლის ცხოვრება“ კერაფერს გვეუბნება ხელმოსაჭადს. ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ ლაკონურ ინფორმაციას იძლევა აღნიშნულ საკითხზე:

<sup>1</sup> იხ. ლ. ბერაია, „შუკადის მუზეუმში დაცული ქრისტიანული ხელნაწილების შესახებ“, გამ. „ოდიში“, ზუგდიდი, 1991; კალსაგრაძე „ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო“, ახალ-სენაკი, 1894.

<sup>2</sup> ლ. ბერაია, იქვე.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, „არსებითიური მოვზაურობიდან საშეკრებლოში“, „ძველი საქართველო“, III, 1913-1914, გვ. 154.

„ხოყის) ეკლესიათა შინა მხუენარებს ჰერანგი ვოკლად წიღის ღვთისმშობლთა სასწაულთმოქმედი“.<sup>1</sup>

სამაგიეროდ, შემოღნიშნულ სიწმინდეთა შესახებ ცნობები დაცულია უცხოელ ავტორთა თხზულებებში.

1640 წლის გაზაფხულზე ლევან დადიანთან რუსი ელჩები — კეკელიძე, ხაზარევი და თეოდორ ელჩის სტუმრობდნენ. ამ ელჩობის დროს ისინი ხობის მონასტერშიც ყოფილან. არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა მათ ტაძარი დაათვალიერებინა და წმინდა ნაწილებიც აჩვენა. სტუმრის კითხვაზე, თუ ვის მიერ და საიდან იყო ჩამოტანილი ეს სიწმინდეები, არქიმანდრიტმა მიუგო: „მე დიდი ხანი არ არის, რაც აქ ამ თანამდებობაზე ვარ და არ ვიცი, საიდან ან ვის მიერ არის ჩამოტანილი“-ო.<sup>2</sup> როგორც ხობის მონასტრის წარწერებიდან ირკვევა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკოფორე ირბაზი — დიდი ქართველი სასულიერო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე) ხობში ეპისკოპოსად მჯდარა 1632-1642 წლებში. აქედან ცხადია, რომ აღნიშნულ სიწმინდეთა ხობის მონასტერში მოხვედრის თარიღის ხედა ზღვარი XVII ს-ის 20-30-იან წლებზე მოდის.<sup>3</sup>

ხობის სიწმინდეთა შესახებ ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტიისთანაც. მაგრამ როდის ან ვის მიერაა ეს ნივთები სამეგრელოში ჩამოტანილი, ამის შესახებ იტალიელი მისიონერი ღუმს: „ხობის მონასტერში აჩვენებენ ღვთისმშობლის ჰერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივს სცემენ“.<sup>4</sup>

ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთა შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა XVII ს-ის მისიონერი, თეატინელია მისიის პროექტი სამეგრელოში ვუზუბე მარია ძამბი. მოვიტანოთ კრცელი ციტატა მისი თხზულებიდან.

„ამ ხალხს (მეგრელებს — გ. კ.) ბევრი რელიქვია აქვს რომლებიც მათ პირველ ყოვლისა, მიიღეს ამ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს გაკშირი პქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიქვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პარსაგან... და ბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453 წ. — გ. კ.) მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მამის კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანათ ერთი მტკაველის ოფენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმიზე რამდენადმე დიდი) და კვარათი, რომელიც, მათი ოქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა; ჩვენ პატრებს იგი უნახავო, ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი. ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოფენაა, განისი კა — ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება; აქვე მკირფასი თულებით მოოჭვილ ოქროს ღუსკუმაში, ვნახე გამხმარი მკლავი; როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკლავი; ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი იგი ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები. კვართი, რომლის შესახებაც მე უღალატოვე, ინახება ვერცხლისაგან გაკეთებულ, ყვავილებით მორთულ ებანოხის ეუთში; მასშივე არის პატარა კოლოფი, რომელშიაც დევს მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც

<sup>1</sup> „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 778.

<sup>2</sup> „ელჩისთა და მახარევის ელჩობა სამეგრელოში“, ბელოკეროვის გამოც., II, გვ. 373.

<sup>3</sup> ა. ყაუხჩიშვილი, „ხობის წარწერა“, იურს. „ვერსი“, 1988, გვ. 226.


<sup>4</sup> არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, 1991, გვ. 107.



იგი ივკემა: ეს ყუთი მთაერის ბეჭდით არის დაბეჭდილი.<sup>1</sup>

მისიონერის აღნიშნულ მონათბრობში წმინდა რელიკვიების აღწერალობათა გარდა საყურადღებოა ერთი გარემოება: მასში მოცემულია ის საკარაულო ვახუბი და საშუალებები, რომლითაც ქრისტიანული სიწმინდეები აღწევდნენ სამეგრელოში.

სხვა ვერხიას ღვთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში მრავალჯერ აღწერილია XVII ს-ის რუსი ელჩება – ალექსი იუვლევი და ნიკიფორე ტოლოჩნისკი. 1650-1652 წლებში ასინი იმყოფებოდნენ იმერეთში. ბერებმა, რომლებიც ამონის მონასტრიდან ყოფილან ჩამოსულნი გადასახადს ასაკრეფად, ელჩებს უამბეს, რომ სადადიანოში, ხობის მონასტერში, დაცულია ღვთისმშობლის კვართი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან წამოუღია ერთ წიგნების მცველს, როცა ბიზანტიაში ხატმებრძოლუობა მიმდინარეობდა (VIII-IX სს.). კვართი ჩასვენებული ყოფილა საკურთხეველთან დაღვმულ ვერცხლის კედლობანში, რომელიც ღვეან დადიანისა და კათალიკოსის ბეჭდებით იყო დაღუქული. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის თურმე სწეულის განკურნების თვისება მქონია, რუსი ელჩების ცნობით, ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართის გარდა დაცული ყოფილა ძელიც ხოვლის ნაჭრები და წმინდანთა ნაწილები.<sup>2</sup>



4. თამარის ჯვარი XI-XII სს ხობის ჯვარში ჩატარებული უხდა იესო ნაწილი ძელი ჭეშმარიტისა

სენსაციურ ცნობას იძლევა XVII ს-ის იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი: ხობის ეკლესიაში „შემონახულია სათაყვანებელი რელიკვიები, ჩვენი უფლისა და ღვთის დედის ქალწული მარიამის კვართები.“<sup>3</sup> კასტელის აღნიშნული ცნობა ქრისტეს კვართის შესახებ, რაღა თქმა უნდა, უზუსტობაა.

ხობის სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ძელი ჭეშმარიტის რამდენიმე ნაწილი. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს ხობში უნახავს ბატი, რომელსაც შემდეგნაირად აღწერს: „ბატის შუაში მოთავსებულია გრძელი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა, სიგრძით ექვსი გოჯი, ვერცხლით შეჭედილი, რომელზედაც შუაში ჯვარცმულია გამოსახული წარწერით: იესო ქო დაწარჩენი ნაწილი ჯვარისა შემკობილია ბაღახის მსგავსი ჩუქურთმებით.“<sup>4</sup> ხატს, რომელშიც ეს ჯვარია მოთავსებული, აქვს წარწერა, რომლითაც ვკვებულობთ, რომ მისი მფლობელია იესო ძეფის ახული ბურღუხანი, ცოლი გიორგი III-ისა და ღუბა თამარ დედოფლისა.

გარდა ამისა, თაყაიშვილს ხობში უნახავს თამარ მეფის ჯვარი (იგი აქ ბუდან დადიანის საშუალებით მოხვდა, რომელიც ძალიან ახლოს იყო დავით VI რუსუდანის ძესთან). „შიგ ჯვარში, როგორც სხანს, ჩატანებული უხდა იესოს ნაწილი ძელი ჭეშმარიტისა“<sup>5</sup> (სურ. 4).

<sup>1</sup> „ეპისკოპოსის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, 1975, გვ. 156.

<sup>2</sup> ი. ცინცაძე, „ალექსი იუვლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საახგარმოო აღწერაობა“, 1969.

<sup>3</sup> კასტელი, „ეზობები და აღბობი საქართველოს შესახებ“, 1977.

<sup>4</sup> ექ თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 148.


<sup>5</sup> იქვე, გვ. 152.

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ერთ-ერთ თავის ნაშრომში ამბობს, რომ ხობში დაცულ ტრაპეზის ჯვარში ძელიცხოველი ყოფილა ჩასვენებული.

ძელი ჭეშმარიტის ხატი ექ. თაყაიშვილს უნახავს სოფ. ჯვარში (ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი).<sup>1</sup>

წმინდა რელიქიების არსებობა დასტურდება ბუღაშიც. ჯუზერე მასზე ხელდასაცემებულ თხზულებაში წერს: „ამბობენ, რომ ბუღის ეკლესიაშიც ინახება ნაწილი ძელიცხოველისა. იესო ქრისტეს წვერის ღერები, ბაწარი, რომლითაც იგი აქნა გათოკილი და ნაგვები და სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელა ახვევდა.“<sup>2</sup>

ექ. თაყაიშვილის ნაშრომში — „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“ დაცულია ცნობები მარტვილის მონასტრის სიწმინდეთა შესახებ. მკვლევარი აღწერს ღვთისმშობლის ხატს, რომელშიც ვერცხლის ბუდეებით ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხებია ჩასმული. აქვე წარწერაა: „ლოდი ქრისტეს საფლავისა. ხატისა ამის შემკობელი დადიანის ბეჟანის ძე ჭყონდიდელ მიტროპოლიტი გაბრიელ მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფიველსა მისსა ამინ“<sup>3</sup> (გაბრიელ ჭყონდიდელი მოღვაწეობდა XVIII ს-ის I ნახევარში).



5. გულსაკაღი ოქროს ჯვარი IX ს მარტვილი მასში წინათ იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები ყოფილა ჩატანებული

მარტვილშივე უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს ოქროს ჯვარში ჩადებული ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, თავისივე გუჯარით, რომელშიც წერია: „ღვებუამს ქალს როლამს შემომიწირავს ლუჩხუმის უდაბნოს ჩემი სასოება ღვთის მშობლისათვის პატიოსანი ჯვარი ოქროთ მოჭედილი.“<sup>4</sup>

მარტვილის მონასტერში დაცული იყო აგრეთვე გულსაკაღი ოქროს ჯვარი, რომელშიც წინათ იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები ყოფილა ჩატანებული (სურ. 5). ჯვარზე წარწერაა: „წმინდაო იოანე ნათლისმცემლო, ძეოხ ეჟავ ხოსრონუმ დედოფალსა, ბაგრატს და დაეთოს“.<sup>5</sup>

საინტერესოა, რომ ქალაქ ზუგდიდში დაცული ყოფილა სარტყელი მარიამ ღვთისმშობლისა, რომლის შესახებაც ცნობას გვაძლევს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს მიმართვა სამეგრელოს დროებით მმართველ ნინო გიორგის ასულ ბაგრატიონისადმი (1806 წ. 31 მაისი, თარგმანი რუსულიდან). უგანაილებულესო თავადისა ნინა გიორგის ასულს მორთმეული ჩემდა სახელითა თქვენითა წარმოგზავნილთა თქვენ მიერ დეპუტატთაგან პოლკოვნიკის კნიაზ ნიკოლოზისა და პოდპოლკოვნიკის კნიაზ ბეჟან დადიანოვებისა წმინდაი ხატი ვლახერანის ღვთისმშობლისა უპატროსნესათა სარტყელისთა მისითა მივიღე მე კმაყოფილებითა“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> იქვე, გვ. 240-241.

<sup>2</sup> მარტვილი, გვ. 157.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი, გვ. 61.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>6</sup> ნ. ქობია, მ. სარია, „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1967, გვ. 25.



6. მარტვილი. VII ს.

ძელიცხოველი დაცული ყოფილა ცაიშის მონასტერშიც. ამის შესახებ მოუკითხრობს მალაქია გურიელის ცაიშის ჯვარცმის წარწერა: „პატრონისა მალაქია მეორედ ხელვევ აღშენებად ტაძრისაჲსა მკობად ნატია. და მოვაჭყდნისაჲსა მკობად ძელიცხოველი... ქორთიკონსა ტზ<sup>2</sup> (= 1619 წ.).“

რა თქმა უნდა, სამეგრელოში არსებული წმინდა ნაწილებისა და რელიქვიების ჩვენთვის მიძინებულა არ არის სრული. ჩვენ შევეცდებით, შემდეგშიაც შემოვთავაზოთ ცნობები აქ დაცულ ხაწმინდეთა შესახებ.

დასასრულ, ბეტი თვალსაჩინოებისათვის, მოვიტანოთ ამ ხაწმინდეთა ნუსხა, რომლებაც აღრე სამეგრელოში აქო დაცული (მათი მცირე ნაწილი ამჟამად აღარ არის ამ კუთხის ტერიტორიაზე). ურჩხილებში ძითოებულთა ადგილი, სადაც აღრე რელიქვია ინახებოდა:

- 1) ღვთისმშობლის კუართი (ხობი);
- 2) წმ. გიორგის ბარძაყი (ხობი);
- 3) შოლგი, რომლითაც მაეხოვარი იგვემა (ხობი);
- 4) წმ. კვირიკის ხელი (ხობი);
- 5) წმ. მარინეს ხელი (ხობი);
- 6) სიონე სათლოსმკემლის ძელის ნაწილები (ხობი, მარტვილი);
- 7) მაეხოვრის წვერის ღერები (ხობი, ბეღია);
- 8) ბაწარი, რომლითაც მაეხოვარი იქნა გათოკილი (ბეღია);
- 9) სახევეი, რომელშიც ღვთისმშობელი ბავშუობაში ახეველა იეხოს (ბეღია);
- 10) ქრისტეს საულაგის ქვის ნაგებები (მარტვილი);
- 11) ძელიცხოვლის ნაწილები (მარტვილი, ხობი, ცაიში, ჯგალი);
- 12) ღვთისმშობლის სარტყელი (ხუგუაილი).

7. ცაიში. სარტყელი. XVII ს.



**გიორგი კალანდია**  
 ოსუ ისტორიის ფაკულტეტის  
 II კურსის სტუდენტი

<sup>2</sup> აქ თავაშვილი, გვ. 169.

ფალერისტიკა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. მასი შესწავლის საგანს წარმოადგენს ორდენები, მედალები და სამკვრდე ნიშნები, როგორც ისტორიის ნივთიერი წყაროები. ფალერისტიკას ინტერესით სწავლობენ მსოფილიოს სწკადასწკა ქვეყანაში.

არსებობას ეკრფრით შეურიგლა ოსმალეთის არმიის გენერალიტეტი. საფიქრებელია, რომ ამიერკავკასიის მიძარი ტრადიციული ექსპანსიონისტური ხრანგებით განსწკვალული იურქები ქართულ ლეგიონში პრტენციურ მოწინააღმდეგეს ხედუქრენსუღი ბიზღიროთეკა

## მასალები

### ქართული



### ფალერისტიკის



### ისტორიისათვის

ქართული ფალერისტიკა ლევისათვის სრულიად შეუსწავლელია. არადა საქართველოსაც გააჩნია საკუთარი ჯილდოების ტრადიცია, რომელიც 1915 წლისან იღებს სათავეს.

ცნობილია, რომ გერმანიაში მოღვაწე ქართველ მაძულიშვილითა ძალისბძვიით, 1915 წლის სექტემბერში, ოსმალეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ქალაქ ტრაპიზონში, ქართველ სამხედრო ტყვეთაგან სამოყალიბდა საჯარისო შენაერთი – „ქართული ლეგიონი“. მას სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები: ლეო კერესელიძე, გრაფი ფონ ღურ შულენბურგი, მურად ბეი ძაღალოვი, გრაფი გაღუნი და სხვები. ლეგიონის მთავარ მიხანს წარმოადგენდა ქართველთა დარა'ხბვა და ბრძოლა გერმანია-ოსმალეთის მხარდამხარ ანტანტის ბლოკის ქვეყნების (ძირითადად რუსეთის) წინააღმდეგ. მასში გაერთიანდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ქართველები. აგრეთვე სხვა კავკასიელებიც. 1916 წლისათვის „ქართულ ლეგიონში“ უკვე 1500 მეზრძოლი იყო გაერთიანებული. სამწუხაროდ, იმავე წლის დაძლევისათვის, გერმანია იძულებული გახდა დაეშალა ქართული ლეგიონი, რომლის შექმნასა და

ქართულ ლეგიონს პქონდა როგორც საკუთარი და განსწკვავებული სამხედრო ფორმა, ისე საკუთარი სამხედრო ჯილდოებიც. ჯარ კიდევ 1915 წელს, „ქართული ლეგიონის“ მთავარსარდლის – გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის ბრძანებით იქმნება I, II და III ხარისხის ქართული საბრძოლო ორდენები ჩვენი სახელოვანი მეფის თამარის გამოსახულებით!

სამივე სახეობაზე რვაქიძიანი ვარსკვლავის გარემოცვაში მოქცეული მედალიონებს ცისფერ ფონზე გამოსახულია თამარ დედოფლის ბიუსტი, მის გარშემო კი შემოკლებულია ოქროს 'ხედწერალი „ქართული ლეგიონი 1915“. სამივე ორდენი საუკეთესო ხარისხისაა განსაკუთრებით კი გერმანიაში, კერძოდ ბერლინში დაძზადებული ორთა ეგზემპლარი. მესამე ეგზემპლარის

<sup>1</sup> გამოთქილ იხვლისეღ ქართულეთოღვს, პრთუფხორ დევიღ მარმალ ლეჩხი (1924-1990) აძვნიკის შეერთებელი მკაიკუბის სექსმსკიკერო ხანოგადოების ექრხალში გამოთქეუქებელი პქიხლა სგაგია ქართული საბრძოლო ორდენების შესახებ, 1944 წელს, ბერლინში გამოძაიელ გამოვი „საქართველოში“ (№ 109-110) გამოთქეუქილა გოვი კობახიძის (გ. შაონისპირელის უსეველიხანის) სგაგია „პირველი მსოფლიო ომის დროის მოქცეღი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიკიკის“ მიუღლე სიგაონად“, სადაც ვხვდებით ცნობას ქართულ საბრძოლო ორდენებზე.

დამზადების ადგილი უცნობია. საეარაუღოა. რომ იგი საქართველოშია გაკეთებული.

პირველი ხარისხის ორდენზე გამოსახულ თამარის ბიუსტი გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების ორი წყება. ხოლო მეორე ხარისხის ორდენს – მხოლოდ ერთი. რაც შეეხება მესამე ხარისხის ორდენს, რომლის დამზადების ადგილიც არ არის ცნობილი, იგი ბერლინში დამზადებულ ორდენებზე მომცროა. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელზე არ გვხვდება ბრილიანტების რკალი. III ხარისხის ორდენის ცენტრალური მედალიონი ყველა ასპექტში იდენტურია I და II ხარისხის ორდენთა მედალიონებისა, ხოლო მისი სწივები გლუვი კერცხლითაა დათრთვილული (სურ. 1 - 3).

თამარის ორდენებით დაჯილდოება შეზღუდული არ ყოფილა. ამ საპატიო ორდენის კავალერი შეიძლება გამხდარიყო ის ადამიანიც, ვინც არ შედიოდა ქართულ ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამხატვროს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო ალიანსს. თამარის ორდენით ხშირად გერმანელებიც ჯილდოვდებოდნენ.

ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბ-ნი ი. ჯაკაბიშვილი თავის სტატიაში „გერმანელები თამარის ორდენს ატარებდნენ“. რომელიც 1993 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ქართული ერის“ ფურცლებზე. სტატიაში ვკითხულობთ: „აბა რას ვაფიქრებდი თუ პიტლერელებისან გამძვინვარებული ბრძოლის ფაშს მოულოდნელად ენახავდი გერმანულ უნიფორმაში ჩაცმულ ჯარისკაცს, რომლის მკერდს 1915 წელს საქართველოში დამზადებული თამარ მეფის ორდენი ეკეთა (აქ იგულისხმება თამარ მეფის III ხარისხის ორდენი – ნ. ჯ.) ფრიად განეცვიფრდი, როცა ოკუპანტებს ერთი ხნიერი მებადრაგი გამოეყო. ქართველ ტყვეთა მცირე ჯგუფთან მოვიდა და საქართველოს ქება-დიდების ქადაგება დაიწყო მონღოლებით და ალაღად გვაგრძნობინა: ქართველებს ხიმპატიითა და პატივისცემით



1. თამარ მეფის I ხარისხის ორდენი



2. თამარ მეფის II ხარისხის ორდენი



3. თამარ მეფის III ხარისხის ორდენი

კეპრობით. ალბათ ამიტომაც მოხსნობა ამ ჯილდოს ჩვენება. თავისი ასეთი განწყობილების მიზეზად ის დაახსნელა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მომზადებას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მაშინდელმა გერმანიამაც გაუმართა ხელი. ცნობილია, რომ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართველთა ჯარმა ბათუმში დაიბრუნა და, როგორც მებადრაგემ განაცხადა, მაშინდელ

სამხედრო თპერაციებში მონაწილეობისათვის იგი თამარ მეფის შესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ<sup>2</sup>.

თამარის ორდენის კავალერი იყო ცნობილი ქართველი მამულიშვილი, ჩვენი ემიგრაციის ავალსახანო წარმომადგენელი თავადი დავით (დათა) ვაჩნაძე (1884-1962). თავის მოგონებებში დავით ვაჩნაძე წერს: 1918 წლის ოქტომბერში დაჯილდოებულს კარ „თამარ მეფის ორდენით“ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ<sup>3</sup>.

თამარ მეფის ორდენის პოპულარობაზე შეტყუვლებს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის გენერალური შტაბის „მელიტერბერატორის“ (სამხედრო მრჩეველის) ობერსტ (პოლკოვნიკ) შალვა მაღლაკელიძის (1894-1976) თაოსნობით პირვანდელი სახით იქნა აღდგენილი და გამოშვებული თამარის ორდენები<sup>3</sup>.

საყურადღებოა ქართულ ფალერისტიკასთან დაკავშირებული ერთი საინტერესო დეტალი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის სამარცხვინო საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის 1921 წლის 27 თებერვალს ახერბაიჯანის სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა საგანგებო ორდენით დააჯილდოვა რესეგატი სერგო ორჯონიკიძე, ორდენზე, რომელიც სპეციალურად დაამზადეს მაღალსინჯიანი (958) ოქროსაგან, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე ამოტვიფრულია შემდეგი წარწერა: „ახერბაიჯანის სსრ რევკომისაგან ამხ. ს. ორჯონიკიძეს თბილისის აღებისათვის 25/II, 1921 წ.“

1954 წლის 26 იანვარს დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძის (1920-1989) ინიციატივით დაარსებულ იქნა ორგანიზაცია „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“. ამ ორგანიზაციის მიზანსა და დანიშნულებას შემდეგნაირად განმარტაედა წესდების მეოთხე პარაგრაფი: „ქართველ მხედართა დარაზმულობა არის პარტიების ვარეშე მყოფი ორგანიზაცია და მის წევრად შეიძლება

იყოს თვითეული ქართველი მხედარი, რომელსაც მოქმედებით ომში თუ მშვიდობიანობის დროს დაუმტკიცებია დირსეული მამულიშვილობა და აგრეთვე ისიც, ვინც იხარებს პრინციპებს უტყუარადიციებს ქართულ მხედრობებზე“<sup>4</sup>



#### 4. „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ წევრთა ემბლემა

აღნიშნული ორგანიზაციის წევრებისათვის სპეციალური ემბლემა იყო დაწესებული. ეს ემბლემა წარმოადგენს საბრძოლო ფარის ფორმის მომცრო ნიშანს საქართველოს ეროვნული სამყვროვანი დროშის ფერებით. ემბლემის ცენტრში გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბიდან გადმოღებული დეტალები — მახვილი და შურდული, ერთმანეთში გადაჯვარედინებული (სურ. 4).

საგულისხმოა, რომ „ქართველ მხედართა დარაზმულობას“ შეუქმნია აგრეთვე სხვადასხვა სამხედრო ჯილდოების პროექტები, ესენია: დავით აღმაშენებლის, წმინდა გიორგისა და ქართული ლეგიონის ორდენები.

აღნიშნული ორდენები მეტად საინტერესოა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. დავით აღმაშენებლის ორდენზე გამოსახულია ჯვარი და გადაჯვარედინებული ხმლები, ორდენის ცენტრში მოთავსებულ მედალიონს ამშვენებს დავით მეოთხის ფრესკიდან გადმოღებული ხატება. იგი წარმოდგენილია ბიუსტის სახით, მის

<sup>2</sup> ქურნ. „სვერია“, № 35, პარიში, 1990.

<sup>3</sup> თამარის ორდენების შესახებ იხ. ჩვენი სტატია „ქართული საბრძოლო ორდენები პირველ მსოფლიო ომში“, ქურნ. „მხედარი“, № 1, 1992.



5. დავით აღმაშენებლის ორდენი

გარშემო ამოტვიფრულია მხედრული 'ხედწერილი საქართველო', რომელიც გვხვდება დანარჩენი ორდენების პროექტებზეც (სურ. 6).

ერთ-ერთი ორდენის პროექტზე აღბეჭდილია გველეშაპის ძლახვრავი წმინდა გიორგი (სურ. 6). ქართული ლეგიონის ორდენზე კი გამოსახულია ერთმანეთში ჩაგვირისტებული ასოები ქ და ლ (სურ. 7). სამწუხაროდ, აღნიშნული პროექტები რეალურად არ განხორციელებულა.

ქართველ მხედართა დარახმულობის ემბლემა და ორდენების პროექტები 1990 წელს გახეი ახალგაზრდა ივერიელმა გამოაქვეყნა ბატონმა გურამ შარაძემ.

საბჭოთა კავშირის არსებობის ხანაში საქართველოში, მსგავსად სხვა რესპუბლიკებისა, მართალია, გამოდიოდა სამკერდე ნიშნები, მაგრამ არ დაშხადებულა ორდენები და მედლები.

1990 წლის შემოდგომაზე არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ სცადა შემოეღო სახელმწიფო ჯილდოები.

1991 წლის 8 თებერვალს გახეი 'საქართველოს რესპუბლიკაში' დაიბეჭდა კანონპროექტი 'საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ', რომელშიც აღნიშნული იეო:

დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები: ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი – პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის;

ილია მარიალის ორდენი;

მედალი 'მამულის სამსახურისათვის';

მედალი 'მხედრული მამაცობისათვის';

საპატიო წოდება 'მწიფის კეღა';

საპატიო სიგელი

'საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი'.

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტი არ განხორციელდა.

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი 'საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ', სადაც კეთილბოი:



6. წმინდა გიორგის ორდენი

7. ქართული ლეგიონის ორდენი

დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები და მედლები

დავით აღმაშენებლის ორდენი;

ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხისა;

ღირსების ორდენი;

მედალი 'მხედრული მამაცობისათვის';

მედალი 'საბრძოლო დამსახურებისათვის';

ღირსების მედალი;

ქართული ჯილდოების ესკიზებისა და მაკეტების დაშხადება დაეკისრათ მხატვარ

ემბრ ბურჯანაძესა და არქიტექტორ ვიორჯი ავსაჯანიშვილს. შეიქმნა საჯანგებო კომისიაც აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ალექსანდრე ჯავახიშვილის მეთაურობით.

თანამედროვე ქართული ორდენებისა და მედლების აღწერისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, რადგან ისინი ჯერაც არ გამოხუდა. მკითხველს ვთავაზობთ მხოლოდ მათი ესკიზებს, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა (სურ. 8 - 15).

აქვე დავძენთ, რომ ურიგო არ იქნება.

### შინაწერი

სტატიის აწყობილი იყო რთულ შეწყობილ ერთი უაღრესად მძიმელოვანი ისტორიული ფაქტის შესახებ. გულშეურთველ ქართველი პატრიოტის საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მესვეურის — მუჰედ აბაშიძის (1873-1937) საოჯახო არქივში რომელიც ბატონ ახლან აბაშიძესთან ინახება, დაცული ყოფილა 1918 წლის 10 სექტემბერს ქალაქ ბრედანში გატყუებული ოფიციალური დოკუმენტი. ამ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის ბოლშევიკი — გიორგი კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ალექსანდრე გიხლიძევილი და ზია ბეგ აბაშიძე (მუჰედ აბაშიძის დიდი ბიძაშვილი), ეკითხულობთ:

მუჰედ-ბეგ აბაშიძეს

მთავანებლად ამ ძვირფასი სამაზურისა, რომელიც აქვენ მიგობდეთი ხვეწს საქმეში, გაატქს პატივი მოგაწოდეთ სამსახურით ნიშანი ქართველთა ღვაწიანთა.

ნიშანი უნდა იტარებოდეს მკურდის მარცხენა მხარეზე ქეობდან.

მთუქრთამებელ ჩარბიში ჩახსულ ამ საბუთზე ტექსტს ხეობთ ცენტრში გახედება თამარ მეფის საქართველოში დამხადებული ორდენისა ძილოვური განიხახულება, რომელიც თითო ზონებთაც კი ემთხვევა სხენებულ საპატიო ჯილდოს.

ხეობთვანილი დოკუმენტი, რომელიც ვახაბჩეურა ბატონმა გურამ შარაძემ, დღესვე შემორჩენილი პირველი ოფიციალური საბუთია, რომელიც ვაუწყებს ქართველ პატრიოტის ქვამარიტად დირხული ჯილდოთი დასაზუჭების შესახებ ამდენად, ეს მშვენიერი გულჯანი დიდად ფახეულია ქართული ფალერისტიკისათვის.



8. დავით აღმაშენებლის ორდენი



9. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი



10. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი



11. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი



12. ღირსების ორდენი



13. მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის



14. მედალი მებრძული მამაცობისათვის



15. ღირსების მედალი

თუკი პირვანდელი ხანით აღდგება და დაძვადება თამარ მეფის ორდენებიც, რომლებიც დირხულ და საპატიო აღვილს დაიკავებენ ახალი ქართული სახელმწიფო ჯილდოების გვერდით.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი  
ლივის პრეზიდენტი:  
ოსუ ისტორიის ფაკულტეტის  
IV კურსის სტუდენტი  
20 დეკემბერი, 1993 წ.



# იზოთეიზმის ისტორიული საფუძვლები და ბაბრატონთა დინასტია

(ნარკვევი ქართული იდეოლოგიური აზროვნების ისტორიიდან)

ქ. რ. 1955 წ. ი. ი.

გ. მ. 1955 წ. ი. ი.



იზოთეიზმის (ბერძნ. „იზოთეოს“ – ღმერთთან გათანაბრება) ისტორია წარმოადგენს იდეოლოგიური აზროვნების კომპლენეტს და დამოუკიდებელი შესწავლის საგანია. მსოფლიო ისტორიაში და ეთნოკულტურულ ტრადიციებში ცნობილია ძრავალი მოვლენა, რომლის საშუალებითაც ხერხდება ზოგადიზოთეისტური პროცესისა და იზოთეიზმის ერთიანი სურათის აღდგენა. იზოთეიზმი კლასობრივი საზოგადოების თანამდევია, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული მონარქიის ინსტიტუტთან და ამასთან რელიგიურ-მისტიკური საბურველი გააჩნია. საწყის ეტაპზე იზოთეიზმი აღიწერება განკითხვების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების კოსმოგონურ შიშებში, სადაც მეფის და მისი საგვარეულოს გენეალოგიური ისტორია დაკავშირებულია სამყაროს შექმნასთან, მითიურ ეპონიმებთან.

იზოთეიზმის როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის კომპლენეტის, შინაგანი ბუნება მოითხოვს ატრიბუციას. ანუ გონისმიერ და მისტიურ სფეროში წარმოქმნილი იდეის მატერიალიზებას და ამგვარ ხორცშესხმას, რომ უკეთ მოერგოს მასის ფსიქიკას და ხელისუფალთა ინტერესებს. შესაძლებელია გამოიყოს ამგვარი ატრიბუციის 3 ტიპი: ა) გამომსახველობითი მუხლი (რაც კლასიკური ტირანიის ქვეყნებში გამოიხატება პირამიდების, მასტაბების, ზიქერათების აგებით); ბ) სახელობითი ტიპი, რაც მონარქს იღუპალების საბურველში ხვევდა აღმერთებდა და ხელს უწყობდა მისი შთამომავლობის ლეგიტიმაციას საბუფო ტახტზე (ფარაონებისა და ჩინეთის იმპერატორების იმპერატორების მაგალითზე); გ) სინკრეტიზმი ანუ ორსაზოგადოება (მონარქის 2 ხელის, 2 საწყისის დოგმა, რომელთაგან სულიერი შემკვიდრეზე გადადის, ხოლო მატერიალი ადამიანთა თავებში რჩება). საინტერესო პარალელი იძებნება ქართულ სინამდვილეში – მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ქართული მონარქიის აბსოლუტიზმის უამს მეფე თამარი შერაცხა წმინდა სამების მეოთხე წევრად, სამეფო კარის შემადგენლობა კი არაერთი ზეადმატიკული ეპითეტით შეამკეს, რომლებიც გახალხურდა და სახელობითი ტიპის ნიმუშებად იქცა.

იზოთეიზმი თავისი კლასიკური მოდელით წარმოგვიდგება ელინისტურ ხანაში, დიდი და მცირე მონარქები, ქალაქ-სახელმწიფოთა ტირანები თავს აიგივებდნენ ბერძნული პანთეონის მრავალრიცხოვან ღმერთებთან, რათა გაემყარებინათ პოლიტიკური სტატუსი მეტოქე მეზობლებთან ბრძოლაში.

იზოთეიზმი უდევს საფუძვლად ცნობილ „ეკემპერიზმის“ თეორიას, რომლის ავტორის ეკემპერის (ძვ. წ. IV ს.) აზრით, ღმერთები იფენ ძველი დროის მეფეებს, რომლებიც გააღმერთეს. მსგავს მოვლენას ხედავდა საქართველოს ძველ ისტორიაში აკად. ნ. მარი, როდესაც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულ უძველეს წარმართულ კერპებს გაცხ და გაიმს მიიჩნევდა მეფეებად, რომელთაც დააწესეს თავისი სახელობის კულტი, მატთანეს შემორჩა მხოლოდ ფაქტი, მეფეთა არსებობა კი დავიწყებას მიეცა.


იზოთეიზმის სისტემური გამოვლენის – მოლიჩად დინასტიის გაღმერთების პირველი შემთხვევა თარიღდება ძვ. წ. I ს-ით, კომპაგენეს ორონტიდების (ერვანდიანების) დინასტიის მეფის ანტიოქე I-ის (ძვ. წ. 69-34 წწ.) სტელაზე იმის გარდა, რომ მეფე ოლიმპოელი ღმერთების გვერდითაა გამოკვეთილია ე. წ. ფირფიტები, სადაც ჩამოწერილია ანტიოქე I-ის წინაპრების

სია დედის ზახთა, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელით და მამისეული გენეალოგია, რომლის თავში დარის I აქემენიანი დგას.

როგორც ვხედავთ, ამ მოვლენას დიდი ხნის ისტორია ჰქონია და მისი მახასიათებელი ნიშნები — გვარის ღმერთთან ნათესაობის დამტკიცება და გვარის მამობრივად დიდი ისტორიული პიროვნების გამოცხადება ტიპურია ბაგრატიონთა დინასტიის შემთხვევაშიც. ბაგრატიონთა სამეფო გვარმა X ს-ის ბოლოს საბოლოოდ დაამყარა აფხაზთა მუყეებთან ბრძოლაში და საფუძველი ჩაუყარა ქართულ ცენტრალიზებულ მონარქიას. XI-XII სს-ში კი შემოიერთა განაპირა კუთხეები, გადავიდა დაპყრობითი ომებზე და საქართველოს იმპერიის საჭეთმპყრობლად მოგვეკვლინა. ბაგრატიონთა დინასტიის მზარდი პოლიტიკური აქტივობა და საქართველოს როლის გაზრდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ აქსესცენაზე მოითხოვდა დამატებით იდეოლოგიურ დივიდენდებს, რომელიც დინასტიას შესძენდა შარავანდედს და გაუადვილებდა მთელი რიგი პოლიტიკური და სამხედრო ამოცანების გადაჭრას. იდეოლოგიურ ფრონტზე დინასტიის ლეგიტიმაციისთვის ბრძოლაში იმთავითვე გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: 1) შარავანდედისთვის უნდა დამტკიცებულიყო ბაგრატიონთა გენეალოგიური კავშირი ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველთან და აქედან გამომდინარე იესო ქრისტეს ბიძაშვილობა (როგორც ცნობილია, ისრაელის 12 ტომს შორის ბაბილონის დიდი გადასახლების დროიდან ჰეგემონობა მოიპოვა დავითის ტომმა, სახარების თანახმად ამ ტომიდან იყო იესო ქრისტე); 2) ტახტზე ლეგიტიმაციისთვის (რადგან ბაგრატიონებმა მოახდინეს ხელისუფლების უზურპაცია და ამას ჩვენი ქვემოთ განვიხილავთ) უნდა დამტკიცებულიყო დინასტიის სძველე და მემკვიდრეობითობა წინარე დინასტიასთან, რაც დააკანონებდა ბაგრატიონთა პრეტენზიას სამეფო ტახტზე. ეს უკანასკნელი საკითხი დამოუკიდებელი და ფართო მსჯელობის საგანს წარმოადგენს, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში მას არ შეეხებით, რაც შეეხება პირველს, ის წარმოადგენს ჩვენს ისტორიაში იზოთეიზმის არსებობის კლასიკურ მაგალითს და ბაგრატიონების საქართველოში გაბატონების საფუძველს.

ვინაიდან ლეგენდა ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველთან ნათესაობის შესახებ მჭიდრო კავშირშია სომხეთის სამეფო გვარის იზოთეიზმთან, უპრიაანი იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ბაგრატიუნთა გვარის ისტორია. ეს გვარი სომხური საისტორიო ტრადიციის თანახმად, ასპარეზზე I ს-ში გამოდის (ლეონტი ძროველი კი იხსენიებს სომეხთა სპასპეტს სუმბატ ბივრიტიანს). უკვე II ს-ში ისინი არშაკუნიანთა სამეფო სახლის გვირგვინდამრქმელნი ხდებიან, ამასთან ფლობენ დიდ სანახარაროს დას. სომხეთში (ხორენაცი იხსენიებს სპერის პიტაბშს ბივრატ ბაგრატიუნის ძეს). V ს-ში სომხურა ანბანის განენისთანავე დაიწერა საგვარეულო ქრონიკა, ბაგრატიუნთა გვარი ერთ-ერთი ძლიერი სანახარარო სახლია, რომელიც საბოლოო ჯამში ამარცხებს მაშეკონიანთა და კამსარაკანთა გვარებს, ხდება სამთავრო სახლი და 855 წლიდან აარსებს ანისის სამეფოს. XI ს-დან იწყება თანდათანობითი დამცრობა და ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა ბაგრატიუნთა გვარისა, ბუნებრივია, რომ ამგვარი ისტორიის მქონე სახლს ესაჭიროებოდა დამატებითი იდეოლოგიური არგუმენტები მოქიშპე ნახარარებთან ბრძოლაში. ამ მიმართულებით იმთავითვე გამოიკვეთა სამი პოზიცია: 1) ბაგრატიუნები წარჩინებული ებრაელი ტყვის შამბათის (სმბატ, სუმბატ) ჩამომავლები არიან; 2) მათი წინაპარი სომხეთა ეპონიმი ჰაიკია; 3) V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდაცი ბაგრატიუნებს უკავშირებს ქართველ ფარნავაზთანებს. პირველი პოზიციის ავტორია V ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი, რომლის ცნობით ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღსრების და ებრაელთა ბაბილონში გადასახლების შემდგომ პრაჩიამ გამოართვა მას ერთი დატყვევებული დიდებული — შამბათი, თავის ქვეყანაში დაასახლა და

დიდი პატივი სცა. იქვე ხორენაცა აღნიშნავს „ხოგიერთ უგუნურთა“ მტკიცებას, თითქოს ბაგრატიონები პაიკის ჩამოსაკლები იყვნენ. ამ თეალსა ზრისმა, რომელიც ზორენაცის დროსაც ყოფილა ცნობილი. ასახვა პპოვა მეორე სომეხ ისტორიკოსთან სებეოსთან (VII ს.). ამდენად, უკვე V ს-ში სომეხი ბაგრატიონები ზრუნავენ საკუთარი გვარის განადგობაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ შიადწიეს თავისი ძალაუფლების ხენიტს (ანისის სამეფოში გაბატონება), აღარ აკმაყოფილებთ ძველი დოგმები და უფრო დახვეწილ ფორმებზე გადადიან. ამას ერთვის ქართველ ბაგრატიონთა გაძლიერებაც და ფაქტობრივად ზღვება ქართული და სომხური კერსიების დაახლოება. რისი დადასტურებაც ჩვენ მოგვეპოვება XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის კათალიკოს იოანე დრასხანაკერტცის საგვარეულო „ანისის ბაგრატიონთა მატიახეში“, სადაც კეთილშეშობით: „კალარშაკმა, სომეხთა მეფემ ბაგრატი (ზორენაცისეული ბიერატი), რომელიც შამბატ ურასხან იყო და რომელზეც ამბობენ დავითის ტომისა იყო, თავის გვირგვინსმდებლად დაამტკიცა“ კარიანტია შეჯერების თვალსაზრისით უფრო შორს წავიდა ვარდის არეკელი (XIII ს.), რომელმაც უფლის ბიძაშვილები დინასტიურადაც დაუკავშირა ერთმანეთს და შემდეგი სქემა შექმნა:



უძველესი წყარო, სადაც გვხვდება ცნობა ქართველი ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველის ნათესაობაზე, არის 951 წლით დათარიღებული გაორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულს ხელმწიფელს – ამგვარად მიძარბავს გრიგოლი ამოტ კურაპალატს და ამით აკანონებს ამოტის უფლებას ტაო-კლარჯეთის სამეფო ტახტზე.

ბაგრატიონთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო – სუმბატ დავითის ძის საგვარეულო მატიახე, რომელიც თარიღდება XI ს-ის 60 იანი წლებით, წარმოადგენს კონცეპტუალურ შრომას, ავტორის შთავარი ამოცანა იყო გვარის ლეგიტიმირება საქართველოს სამეფო ტახტზე იურიდიული და ისტორიული თვალსაზრისით, ამისთვის მას უნდა გადაეჭრა ორი საკითხი: ბაგრატიონთა VI ს-ის ბოლოდან ერისმთავრობის დამტკიცება და მათ წინაპრად დავით წინასწარმეტყველის გამოცხადება. სუმბატ დავითის ძემ ეს პრობლემა იმდენად მარჯვედ მოაგვარა, რომ მის შრომას ბაგრატიონები იდეოლოგიურ იარაღად იყენებდნენ საუკუნეთა მანძილზე. სუმბატ დავითის ძეს მეტი რეალურობისთვის გამოუჩნებულნი აქვს მოქცევა „ქართლისაის“ ერისმთავართა სია და ჩვენთვის უცნობი თხზულება, რომელიც საერთო წყარო უნდა ყოფილიყო მატიახე ქართლისაის“ ავტორისთვისაც. სუმბატის ქრონიკის შესავალი ლეგენდური ნაწილი გვაგონებს ლეონტი მროველის კონცეფციას კავკასიის 8 თარგამოსიან ძმას შორის განაწილებაზე. სუმბატის თანახმად, სოლომონ დანის ძის 7 ძე რაქაელ დედოფალმა იუდეველობიდან ქრისტიანობაზე მოაქცია, საბუნებო უცვალა და ეკლესიის ჩრდილოეთით გაავხავა. ამათგან გუარამი (მოქცევაის გუარამ კურაპალატი) ქართლში დაჯდა ერისმთავრად, საპაკ – კახეთში, ასამ და ვარახუარდ – კამბეჩანში, სადაც ძალით ჩაიგდეს მთავრობა, ერთი ძმა დაუხიძვედა რაქაელ დედოფალს, ბოლო ორნი – აბგაკარ და ბაგრატ სომხეთის მეფენი გახდნენ. სწორედ ამ უკანასკნელს სუმბატი უწოდებს „ძამთი ბაგრატიონიანთა“-ს, აქედანვე მკლავდება სუმბატის ვერსიის სიყალბე და ნამდლადეობა.




ტახტზე ხის იესო ქრისტე, მის მარცხნივ დგას დავით წინასწარმეტყველი  
მარჯვნივ კი აშოტ კურაპალატი. ოპიხის ტაძრის ბარელიეფი. 818 წ.

რადგან თუ გუარაბია პირველი ბაგრატიონი ხელისუფალი ქართლის ტახტზე, თავისთავად ცხადია, მასი შმა (სომეხთა მეფე) ვერ იქნება უფალი ბაგრატიონთა. ამასთან, სომეხთის დამოუკიდებელი სახელმწიფო VI ს-ის ბოლოს ჯერ კიდევ არ არსებობს.

განსხვავებულ კონცეფციას გუთავახობს სუმბატ დავითის მის თანამედროვე ანონიმი ისტორიკოსი, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი. აცხადებს ბაგრატიონთა წინაპრად, თავისთავად ცხადია, აღიარებს დავით წინასწარმეტყველს (ამის უკუგდება ამ დროს უკვე მკრეხელობად ითვლება), მაგრამ არ მიმართავს დინასტიის „დაძველების“ მეოთხედს და რეალობასთან უფრო ახლოს დგას, როდესაც ბაგრატიონებს პირდაპირ არ უკავშირებს წინარე მძაროველ დინასტიას, არამედ თულის მათ განაპირა ქრისთაყებად, რომელთაც დროთა განმავლობაში შეძლეს კონკურენტებთან ბრძოლაში გამხდარიყვნენ *primus inter pares* (პირველი თანასწორთა შორის). ფაქტიურად ჩვენი მემატიანე ემხრობა ჯუანშერის კონცეფციას, ე. წ. არჩილ მეუის რეუთორმებს და წერს: „ამიერიითგან აწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ბეასროანითამან, ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი, ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული აღარნასესი სახელით ლატავრი. არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა აღარნასე ბაგრატიონიანმან ნასამაღი კლარჯეთისა, შაკმეთისა, აჭარისა, ნეგელისა ასისფორისა, არტანისა, ქეძოსა ტაოსა და ციხეთაგანცა, რომელნი მქონდეს შვილისშვილთა ვაზტანგ მეფისათა. და წარვიდა აღარნასე კლარჯეთად და მუნ მოკვდა, — შეძგომად სიკვდილისა აღარნასესისა განაღდა უფალმან მეუობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.

უპირველესად უნდა აღინიშნოს „მატიანეს“ ავტორის სიახლოვე ჯუანშერთან. ჯუანშერის თანახმად არჩილთან მივიდა აღარნასე, მძისწული (resp. მძისწული) აღარნასე ბრძისა (არეველციან — აშოტ ბრძა), დავით წინასწარმეტყველის სამომავალი სომეხი მთავარი, მურვან ყრუს შემოსევას ჟამს შეეხიზნა გუარამ კურაპალატის შვილებს კლარჯეთში და მასცა მას არჩილმა შელავერი და არტაანი“. მარზპანობის ჟამს (VI ს) ერისთავებმა შამსიგან მიიღეს „მკვიდრობის სიგელი“, რომელიც კეისარმაც ასევე გაუფორმა (ჯუანშერთან — „რათა იყვნეს იგინი თვის-თვისა საერისთაოთა შეუცვალელებად). თავისთავად ცხადია, ეს იყო ცენტრალიზმის დასუსტება. მართალია, კეისარი მავრიკიოსი გურგენს

კურაპალატობასაც აძლევს და ქართლის ერისთავრადაც ამტკიცებს, მაგრამ გურგენმა ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვაღნა საერისთავოთაგან მათთა. IX-X სს-ში ბარგატიონები მომძლავრდნენ და ერისთავთა პარტიკულარიზმს საფრთხე დაემუქრა. ამიტომ სომართლებლივ გარანტად შეიქმნა მითი არჩილის რეფორმებზე, რომლის თანახმად ერისთავი მერვეცი კო აღარ არის, არამედ კანონიერი მკვიდრი და სანახევროდ მფლობელი — მემკვიდრე საერისთავოს მიწისა, რადგან მას ცოლად ჰყავს კახტანგ გოტგანღის მემკვიდრე. ამ პრინციპის გაოკალიწინებით ისტორიკოსმა ვ. მამულიამ აღადგინა გენეალოგიური სქემა. საიდანაც თვალნათლივ ჩანს ბაგრატიონთა დინასტიის მიერ ტახტის უზურპაცია:



ამრიგად ცხადი გახდა, რომ ბაგრატიონებმა ქართლის ტახტის უზურპირება მოახდინეს ქორწინების გზით. ადარნასემ მიიღო „ნასამალი“ ანუ მეხამელი სტეფანოზ III ის ძმისწულთან ქორწინებით. შემდეგ, ვინაიდან მირს და იონანეს მემკვიდრე არ ღარჩენიათ და საკუთარ დეიდაშვილზე დაქორწინებული ჯუანშერაც უძეოდ გადაეგო, აშოტმა მემკვიდრეობად არა მხოლოდ მამისეული „ნასამალი“, არამედ მთელი ტაო-კლარჯეთი მიიღო, ხოლო IX ს-ის 10-იან წლებში ქართლაც დაიპყრო მდ. ქსნამდე.

უძველესი არაქართული საისტორიო წყარო, სადაც საუბარია ქართველი ბაგრატიონების ებრაელობაზე, არის კონსტანტინე პორფიროგენეტის (ბიზანტიის იმპერატორი 912-952 წლებში) „De administrando imperio“ (სახელმწიფოს მოწყობის შესახებ), 45-ე თავი — იბერებზე. ავტორი, როგორც ჩანს, სარგებლობდა ქართული წყაროებით. ამაზე მიანიშნებს რამდენიმე ცნობის რეალობა და ავტორის ზუსტად ჩამოყალიბებული კონცეფცია ქართველი ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველთან ნათესაობაზე, რომელსაც დასრულებული სახე აქვს. რადგან მანამდე არცერთ სხვა წყაროში არ არის ეს თეორია წარმოდგენილი, ალბათ საქმე გვაქვს მის პირველწყაროსთან, პირველად ვარიანტთან.

უნდა აღინიშნოს კონსტანტინე პორფიროგენეტის, როგორც ისტორიკოსის და მემატიანის, ნიჭი. იგი მარტოოდენ ფაქტის კონსტატაციით არ ემყოფილდება და ლოგიკურ, დამამტკიცებელ საბუთებს იხმობს ბაგრატიონთა ებრაელობის დასადასტურებლად. კერძოდ, მას მოჰყავს ეპიზოდი ტაციტუსის „ანალებიდან“ (დაახლ. 117 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ მითრიდატე სომეხთა მეფემ ცოლად შეირთო თავისი ძმისწული, ასული ფარსმან იბერთა მეფისა. ავტორის აზრით, ენდოგამია, რაც მიღებულია იყო ებრაელებში და აბსოლუტურად უცხო იყო ქართველებისათვის, კვლავ ხდება იბერთა სამეფო სახლში, მათ დაუბრკოლებლივ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ამით ისინი ძველ წეს-წყობას იცავენ. აქ ალბათ იგულისხმება ჯუანშერის მიერ ცოლად საკუთარი დეიდაშვილის ლატავრის მოყვანა: და აბრაღა დედაძან მისძან მოევალება მისი ცოლად არა თურე კეთილად მეცნიერი იყო...“

კონსტანტინე პორფიროგენეტი რომ ქართულ წყაროს ეყრდნობა ამას ლეგენდის მესამე პირში თხრობაც მიანიშნებს, ისინი ამბობენ, რომ ურიას ცოლის შთამომავლები არიან,

რომელიც დაეით წინასწარმეტყველმა შეაქდინა, მარიამ ღვთისმშობელიც ამ ტომისგან არის.

ხუთი ადვინიშნით ზოგიერთი ცნობის რეალობა, რაც შეინიშნება ლეგენდის ზღაპრული ნაწილის თხრობისას, მათი თქმით, — წერს იმპერატორი, — დაეით და სპანდიატ მიიღეს სიხმრისეული ჩვენება, გამოვიდნენ იერუსალიმიდან, ბაგრატიონები მოვიდნენ აქ 400 თუ 500 წლის წინათ, ახლა კი არის ინდიკტორნი 10, დასაბამითგან 6460 წ. კონსტანტინეს მოცემული გენეალოგია: დაეით — ბაგრატ — აშოტ — ადარნასე, კონსტანტინე ვალ-საზრისით აბსურდულია (4 თაობა 4 საუკუნის მანძილზე). აკად. ს. ჯანაშიამ პირველ და მესამე პერსონას ამ ნუსხაში ადგილი უცვალა და სრულიად რეალური ფაქტი მიიღო: აშოტ I (790-826) — ბაგრატ I (826-876) — დაეით I (876-881) — ადარნასე II (881-923). საზეზეა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაურთა სია. ამასთან ადარნასე II-მ კონსტანტინეს მამის — იმპერატორ ლეონ VI ბრძენის ხელიდან მიიღო კურაპალატობა და ამდენად, ცხადი ხდება, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტმა მიხთვის ცნობილი სინამდვილე შეაზავა ლეგენდაში, რათა უფრო დამაჯერებელი გაეხალა იგი.

როდის ჩაეყარა საფუძველი ბაგრატიონთა გვარის იზოთეიზმს? ლიტერატურული და ისტორიული მასალები IX-XI საუკუნეებისაა. ამითგან უძველესია პორფიროგენეტის ცნობა, სადაც პირველად არის დადასტურებული ბაგრატიონთა ღინასტიის დაეით წინასწარმეტყველიდან მომდინარეობის თეორია. ეს ცნობა რომ საქართველოდან არის ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოხვედრილი, თხზულებიდანაც ჩანს. დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება გიორგი მერსულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, საიდანაც ჩანს, რომ ბაგრატიონების იზოთეიზმი უკვე აშოტ კურაპალატის დროსაა ფეხმოკიდებული საზოგადოებაში, ან, ყოველ შემთხვევაში, სამეფო კარზე დაკანონებული. XI ს-ში ჩვენ მოგვეპოვება 2 მნიშვნელოვანი საგვარეულო მატიაზე: სომხური — იოანე დრასხანაკერტცის „ანისის ბაგრატიონთა მატიაზე“ (XI ს-ის I ნახევარი) და ქართული — სუმსაჟ დაეითის ძის „ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონთა“ (XI ს-ის 50-60-იანი წლები), სადაც შეჯერებული სახითაა წარმოდგენილი თეორია. ეს გამოწვეულია საქართველოში ბაგრატიონთა, ზოლო ანისის სომხურ სამეფოში ბაგრატიონთა გვარის დაწინაურებით.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ IX ს-ის დასაწყისში ნამდვილად არსებობდა იზოთეიზმის ნიშნები. ვარდა მერსულეს ცნობისა, მოგვეპოვება 818 წლით დათარიღებული ოპიზის ტაძრის ბარელიეფი ოქროცურვილ ტახტზე წის თესო ქრისტე, ძის მარცხნივ დგას დაეით წინასწარმეტყველი, მარჯვნივ კი აშოტ კურაპალატი (იხ. სურ.).

ეტიმოლოგიად განვიხილოთ იზოთეიზმის პროგრესირებადი სკლა: აშოტის დროს საფუძველი ეყრება ლეგენდას, 888-898 წლებში ადარნასე II კურაპალატი იღებს „ქართველთა მეფის“ ტიტულს, რაც დამატებითი სტიმულია ბაგრატიონებისთვის. X ს-ის შუა ხანებისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ ძის საზღვრებს გარეთაც (ბიზანტიაში), ბაგრატიონების ზეობას V-VI საუკუნეებით ათარიღებენ. XI ს-ის შუა წლებში ლეგენდა იღებს კანონიზებულ სახეს არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთშიც. ბოლოს, იზოთეიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურად შეიძლება ჩათვალოს თამარ მეფის გამოცხადება წმინდა სამების მეოთხე წევრად.

იზოთეიზმის საწყისი ეტაპის ქრონოლოგიის თაობაზე საისტორიო მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ექ. თაყაიშვილის აზრით, ეს პროცესი იწყება VIII ს-ის II ნახევრიდან. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაგრატიონები IX ს-მდე უბრალო პიტიახშების როლს ასრულებენ ზოგადქართულ პროცესებში. ამდენად, იმ ეტაპზე დმერის ნათესაობის პრეტენზია ნაკლებად ექნებოდათ. გასათვალისწინებელია აგრეთვე საგარეო ფაქტორი და არაბული აგრესია. ამასთან, ჩვენი აზრით, ბაგრატიონთა ფარნაკაზიანების

ნათესაობა რეალობას მოკლებული ამბავია და ამიტომ ამ ლეგენდას საქართველოს სხვა კუთხეებისგან დამოუკიდებლად საფუძველი უნდა ჩაეყარა სწორედ ტაო-კლარჯეთში IX ს-ის დასაწყისში და შემდეგ ბაგრატიონთა სამფლობელოების 'ზრდას და საქართველოს გაერთიანების კვალობაზე' 'ხოვადქართული ცხოვრების აქტური შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო.

ქართული

IX ს-ის დასაწყისს ლეგენდის თავდაპირველი სახით შექმნის მოხსენიებენ კ. კამელიძე, პ. ინგოროვა, გ. არახაძია. ლეგენდის შექმნას IX-X სს-ის მიჯნით ათარიძებს ი. მარკვარტი. მაგრამ აქ მარტოღონ ადარნასე II-ით განსაზღვრა არასწორი იქნებოდა. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ეს პროცესი მოუღია IX ს-ის მანძილზე მამდინარეობდა.

საბოლოოდ ლეგენდის წარმოქმნის თარიღად შეიძლება IX ს-ის I მეოთხედი მივიჩნიოთ (უფრო ლოკალურად 813-818 წწ.). დროთა განმავლობაში კი ხდებოდა ლეგენდის დახვეწა-გახეყიარებაც და მისი გეოგრაფიული არეალის გაზრცობაც. XI ს-ში, როცორც აღინიშნა, ლეგენდა კანონიზებულ სახეს ღებულობს საგვარეულო მატიახეებში.

დასკნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული იზოთეიაში მსოფლიო იზოთეისტურ პროცესის შემადგენელი ნაწილია და ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ბაგრატიონთა დინასტიის იზოთეიზმის მაგალითზე.

ბონლო კუპატაძე

მსუ ისტორიის ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

ბიბლიოგრაფია

1) ნიბლია. ძველი აღთქმა. საბატრიარქოს გამოცემა. 1989.	14) Фавстос Бузаш. История Армении. М. 1953.
2) გიორგი მტრნულე. ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I ტ. 1963.	15) Себось. История императора Праклия. пер. с арм. К.П. Патканова. СПб. 1862.
3) კონსტანტინე პორფიროგენეტი. სახელმწიფოთა მოწყობის შესახებ. გეორგია IV ტ. 973.	16) Всемирная история. ред. Э. Жуков. 1 т. М. 1956.
4) მოქსეს ხორენაცვი. სამხეთის იაგორია. 1984.	17) История Армянского народа. ред. М. Г. Цериссян. Ер. 1980.
5) ქართული ცხოვრება. I ტ. 1955.	18) История древнего востока. ред. Н. Дьяконов. М. 1983.
6) ა. ბათონჯილი. უბრაელი ხალხის ისტორიიდან. 1991.	19) История древнего мира. II ч. ред. А. Г. Бокшанин. М. 1982.
7) მ. ვლიადე. მითის ასპექტები. ჟურნ. „იფერია“. თბილისი-ბრიუსელი. №2. 1993.	20) Лордкипанидзе М. Д. Аннотация в книге: Сумбат Давитис - дзе История и повествование о Багратионах. Тб. 1979.
8) ექ. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ. მსპი. 1949.	21) Марр Н. Я. Боги языческой Грузии по древне-грузинских источникам. 1900. Труды ТГУ. №226. 1987.
9) პ. ინგოროვა. გიორგი მტრნულე. 1954.	22) Саркисян Г. X. Обожествление и культ парей и царских предков в древней Армении. В.Д.И. №2. 1966.
10) მ. ლორთქიფანიძე. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. ვრა კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. 1966.	23) Токарев С. А. Религия в истории народов мира. М. 1986.
11) გ. მამულაია. არჩილ მეფის რეფორმების გენეზისი და მისი პოლიტიკური ტექნოლოგია. ვრა: ძიუბაი კავკასიის ხალხთა ისტორიიდან. 1976.	
12) ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. გ. მელიქიშვილის რედ. 1988.	
13) ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ. პრობები. V ტ. 1987.	

## საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან

ბიზლიჩიშვილი

საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობანი და კერძოდ, XI ს-ში ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო კავშირები ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვნადაა შესწავლილი. მრავალი წერილი თუ მონოგრაფიაა მიძღვნილი ამ პრობლემისადმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკითხის გარშემო ჯერხანად კიდევ ბევრია საკვლევი.

წინამდებარე წერილი მართალია ქრონოლოგიურად საკმაოდ მცირე პერიოდს მოიცავს (1027-1028 წწ.), მაგრამ ამ დროს ჩვენში განვითარებული მოვლენები საკმაოდ სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს მკვლევარისაგან. თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ 1027-1028 წწ. მოვლენებმა რამდენადმე განსაზღვრა ათწლეულების მანძილზე საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, თვალნათლივ მიუთითებს, თუ რა სერიოზულ პრობლემათა წყებასთან გვაქვს საქმე.

### ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისი

1027 წლის ზაფხულში, თრიალეთში, მყინვარად წოდებულ ადგილას, უეცრად გარდაიცვალა ჯერაც ახალგაზრდა საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027). მამის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი 9 წლის ბაგრატმა დაიკავა. დაიგულეს რა ახალგაზრდა ბაგრატ IV ქვეყნის სატყუამპყრობლად, ორგულმა აზნაურებმა მსწრაფლ თავიანთი მოღალატეობრივი ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყეს.

„მატიანე ქართლისაი“-ს ავტორი ბაგრატ IV-ის მეფობის აღწერას ასეთი სიტყვებით იწყებს: „მას ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბურძნისა: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთაო“<sup>1</sup>. ქართველ წარჩინებულთა მიერ ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობის აღიარება, როგორც ჩანს, მასობრივ ხასიათს ატარებდა. „მატიანე ქართლისაი“-ს ხეობრე დამოწმებულ ციტატას ერთგვარად აფებს მეორე ქართული მემკვიდრის სუმბატ დავითის ძის ერთი საყურადღებო ცნობა. მისი თქმით, ვაჩე კარიჭის ძესთან და იოვანე ბანელთან ერთად კონსტანტინოპოლს წასულა უმრავლესი აზნაურნი ტაოელნი, „რომელნიმე ცინოვანნი და რომელნიმე უციხონი“<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების ბიზანტიის მხარეზე გადასვლასთან, არამედ ცხადი ხდება, რომ კონსტანტინოპოლში გაქცეულთა დასში ყოფილან ტაოელ ფეოდალთა დიდი ნაწილი. სრულიად მართებულად მიანიშნებდა პროფ. ვ. კოპალიანი, რომ „ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე წარმმართველი პირები არიან, ხოლო მათთან ერთად წასულნი ვაჩეს და იოვანეს ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენო“<sup>3</sup>. მართლაც, ამ ორი პიროვნების ასე საგანგებოდ გამოყოფა ისტორიკოსთა მიერ, ამ საქმეში მათ მოთავყობაზე უნდა მიანიშნებდეს.

ქართული ნარატიული ძეგლების გვერდით უცხოური წერილობითი წყაროების ცნობათა გათვალისწინება იძლევა ბრწყინვალე შესაძლებლობას, უფრო სიღრმისეულად ჩავწვდეთ მოვლენებს. სწორედ უცხოელ ავტორთაგან ვგებულობთ, რომ ტაოელ აზნაურთა აღნიშნული აქცია მარტოოდენ ქართველ ფეოდალთა ნაფიქრი როლი ყოფილა. მის ჯეროვან დაგვირგვინებაში არანაკლები



„წელილი“ შეუტანიათ ბიზანტიელ მოხელეებსაც, რომლებიც ათასგვარი დაპირებებით თავგზას უბნევდნენ ტაოელ დიდებულებს. ეს მოვლენა, სხვათა შორის, კარგადაა გადმოცემული სომეხ ისტორიკოსთან არისტაკეს ლასტიფერტეცთან. იგი მოგვითხრობს: „მეორე წლის დამდეგს (1027 წლის დამდეგს – ჯ. ს.) მეფემ (კონსტანტინე III-მ) აღმოსავლეთ მხარეში გაგზავნა ზედამხედველად ერთი საჭურისი ნიკიტა, რომელიც მოვიდა ქართველთა გავარში და მაცდურ სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და მეფის კარზე გაგზავნა მცხეთის სიტყვები ძვირფასია იმდენად რამდენადაც მასში ჩვენთვის საინტერესო მოვლენა სხვა კუთხიდანაა დანახული. არისტაკესთან მოხსენიებულ ნიკიტა საჭურისს იცნობს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენეც. მას ნიკიტა იბერიის დეკად აყავს მოხსენიებული. ამდენად, სომხური და ბიზანტიური წყაროები საკმაოდ კარგად ავსებენ ქართულ წყაროთა მონათხრობს. მთლიანობაში ირკვევა, რომ ნიკიტა პისიდიელი აღმოსავლეთში იბერიის დეკად 1027 წლის დამდეგს გამოუგზავნიათ. დაახლოებით ამავე პერიოდშია სავარაუდო ნიკიტა პისიდიელისა და ტაოელ აზნაურთა შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებაც. მართალია, ფარული კავშირები ბიზანტიელებსა და ორგულ ქართველ დიდებულებს შორის ჯერ კიდევ გიორგი I-ის მეფობისას გაიბა, მაგრამ ამ ურთიერთობებს პირველ ეტაპზე რაიმე კონკრეტული ხაზი არ მოჰყოლია. მაგრამ 1027 წლის 16 აგვისტოს გარდაცვალა გიორგი I ტაოელმა აზნაურებმაც არ დააყოვნეს და ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე VIII-ს ეახლნენ. იმპერატორმაც დიდი პატივით მიიღო რენეგატი თავადები, სათანადოდ დაასაჩუქრა და შეიწყალა. ამდენად, ტაოელ აზნაურთა ეს გამოსვლა 1027 წლის შემოდგომის დასაწყისშია საგულგებელი.

### ბიზანტიელთა შემოჭრა საქართველოში და ბრძოლა თრიალეთში

ტაოელ აზნაურთა ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლას, სამწუხაროდ, მეტად ცუდი შედეგები მოჰყვა. დაიგულეს რა საქართველოში მომხრეები, ბიზანტიელებმა სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილის დაპყრობაზე. საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, ჯერაც ბავშვის ბაგრატ IV-ის გამეფებამ კი ბიძგი მისცა კონსტანტინოპოლელ პოლიტიკოსებს ეს ჩანაფიქრი ცხოვრებაში გაეტარებინათ. როგორც „მატიანე ქართლისაი“-შია აღნიშნული (მსგავსი ცნობაა დაცული სუმბატ დავითის ძესთან), კონსტანტინე VIII-ს საგანგებოდ გამოუგზავნია საქართველოში „პარკიძანოზი ლაშქართა ურიცხვითა“. ეს მოვლენა უშუალოდ ტაოელ აზნაურთა კონსტანტინოპოლში წასვლას უნდა მოჰყოლიდა, ასეა ეს გადმოცემული ქართულ წყაროებში. საქართველოში შემოჭრილი ძალები საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა, მათ საგულდაგულოდ მოულოზრებიან „ქვეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოსრნეს“.

საქართველოს სიღრმისაკენ მომავალ ბიზანტიელთათვის ქართველებს პირველხანობას ვერ გაუწევიათ ჯეროვანი წინააღმდეგობა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ უშოკლეს ხანში ბიზანტიელებმა თრიალეთამდის მოადწიეს.<sup>6</sup> საიმპერატორო არმიას სერიოზული წინააღმდეგობა სწორედ აქ, ამ ადგილებში გაუწია ქართველთა მხედრობამ. მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა კლდეკარის გამგებელი ლიპარიტ ლიპარიტის ძე, რომელმაც სწრაფად „შემოიკრიბნა სხვანიც აზნაურნი“ და შეება ბიზანტიელებს. ბაგრატ მეფის მომხრეთა დასი ამ დროს კლდეკარის ციხეში გამაგრებულა, ბიზანტიელებს კი ციხის მიმდებარე ტერიტორია დაუპყრიათ. როგორც ჩანს, პირველ ხანებში პარაკიძანოსს კლდეკარის გარემოცვაც კი უცდია, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო უკან დახვეა უბრძანებია. ბიზანტიელთაგან თრიალეთის დატოვება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ქართველთა მიერ მოწინააღმდეგის დამარცხება. აქ უფრო სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე და მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

სანამ ბიზანტიელები თრიალეთს დატოვებდნენ, მათ კიდევ ერთხელ მოუწიათ ქართველთა პირისპირ დგომა. „მატიანე ქართლისაი“-ს თქმით, ადგილობრივი აზნაურები განძათას ციხის

მიდამოებში შეზღუდულ ხელშეწყობას. „დაუდგეს განძათა და შეეზენეს ციხისა ქვეშე, რაჟამს იხილა პარაკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარეთ“, — დასძენს ავტორი.<sup>7</sup>

მართალია, პარაკიმანოსმა კლდეკარს ვერა ავნო-რა, უკან გაბრუნდა, მაგრამ ის კი მაინც მოახერხა, რომ ზოგიერთი ქართველი დიდებული კუისრის მხარეზე გადაიბირა.<sup>8</sup> ამჯერად ბიზანტიაში წასულ ფეოდალთა რიცხვში იყვნენ გარყობის ციხის მფლობელი ჩანჩახი ფალაღი და წერეთლის ციხის გამგებელი არჯვეან ჰოლოღას ძე.

საქართველოში  
ბიზანტიის

### საქართველოში ბიზანტიელთა შიშისათვის დათარიღებისათვის

ბაგრატ IV-ის გამეფებისას საქართველოში განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიური სიზუსტით აღდგენა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხთაგანია. ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველო-ბიზანტიის ეს ომი 1028 წლით იყო დათარიღებული. თითქმის ყველა ამ პერიოდისადმი მიძღვნილ ნაშრომში ეს თარიღია მითითებული. მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა განსხვავებული მოსაზრება, რომელიც ბ. სილაგაძეს ეკუთვნის. მკვლევარის მინიშნებით, ომი იმპერიასთან დაწყებულია 1027 წლის შემოდგომისას, ე. ი. თითქმის ბაგრატ IV-ის გამეფებისთანავე და გაგრძელებულია 1028 წლის შემოდგომამდე.<sup>9</sup>

ფიქრობთ, საკითხის ამგვარი დაყენება გაცილებით ახლოა ისტორიულ სინამდვილესთან. ჩვენ ქვემოთ არ გავიმეორებთ იმ მსჯელობებს, რომელიც ბ-ნ ბენიამინს აქვს მოტანილი თავის მონოგრაფიაში და შევეცდებით ახალი არგუმენტებით შევამაგროთ ეს დათარიღება. ამასთანავე დაესძინო, რომ ბ. სილაგაძის ნაშრომში უცხოელ ავტორთა ჩვენებებზე ვრცელადაა საუბარი და ამიტომ ამჯერად მხოლოდ ქართული წყაროების ცნობების ახალიზით შემოვიფარგლოთ:

ა) სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში საქართველო-ბიზანტიის ომი საკმაოდ მკაფიოდაა გაშუქებული. როგორც მოვლენათა თანამედროვეს, ჩვენს ისტრიკოსს ზედმიწევნით უცოდინებოდა ომის დაწყების დრო და ამიტომაც, მისი მონათხრობი აუცილებლად საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ომის დასაწყისს ავტორი ასე აღწერს: „წელსა მეორესა გამოგზავნა კონსტანტინე მეფემან პარაკიმანოსი თავისი მიუწოდებელითა ძალითათა“.<sup>10</sup> ამ კონტექსტში ხათლად არაა ნაჩვენები, ზუსტად როდის დაიწყო ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის. სუმბატ დავითის ძე მხოლოდ ზოგადად მიუთითებს: „წელსა მეორესა გამოგზავნა კონსტანტინე მეფემან“ ლაშქარიო, მაგრამ რომელი მოვლენიდან უნდა აითვალოს ეს ორი წელი, დაკონკრეტებული არ არის. მაგრამ მთლიანად კონტექსტის გათვალისწინების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ საუბარია კონსტანტინეს გამეფების მეორე წელზე, ეს კი 1026 წ. დეკემბერსა და 1027 წ. დეკემბერს შორისაა მოქცეული (კონსტანტინე VIII 1025 წ. 13 დეკემბერს გამეფდა). ამდენად, ომი ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ დაიწყებოდა 1027 წლის დეკემბრის შემდეგ, ე. ი. 1028 წლისათვის. შემატყვევებულ 1027 წლის დეკემბრის წინარე ხანას გულისხმობს, მაგრამ არაუადრეს 1027 წ. აგვისტოსი, როდესაც სამეფო ტახტი დაიკავა ბაგრატ IV-მ.

ამდენად, სუმბატ დავითის ძის ჩვენებათა გათვალისწინება გვაძლევს საბაზს ბიზანტია-საქართველოს ომის დასაწყისი დაახლ. 1027 წ. შემოდგომისას ვივარაუდოთ.

ბ) „მატიანე ქართლისაი“

მეორე ქართული ძეგლი, რომელშიც ეს მოვლენებია აღწერილი და რომელიც ასევე დიდ ნდობას იმსახურებს, არის „მატიანე ქართლისაი“. ავტორი ასე აღწერს ომის დასაწყისს: „ხოლო კონსტანტინე მეფემან მოქცევისა ოდენ წელიწდისასა გამოგზავნა პარაკიმანოზი ლაშქართა ურიცხვითა“.<sup>11</sup> როგორც ვხედავთ, მოვლენის დათარიღებისათვის ნახმარია გამოთქმა: „მოქცევისა ოდენ წელიწდისასა“. ეს მინიშნება ქართულ ისტორიოგრაფიაში გაკებულია, როგორც ბაგრატ IV-ის მეფობის ერთი წლის დასასრული. სწორედ ამან მისცა, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს საბაზი,

საქართველო-ბიზანტიის ომის დასაწყისი 1028 წლით დაეთარილებინა. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამართლებული, როდესაც მემატიანის ამ მინიშნებას ასე პირდაპირ ვიგებთ.

ჩვენის აზრით, „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი აქ ბაგრატის გამგებების წლისთავზე კი არა, საზოგადოდ წლის დასასრულზე საუბრობს, ე. ი. გამოთქმა „მოქცევისა ოდენ წელიწდისა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც წელიწადის მიწურული. მაშინ, როცა „მოქცევისა ქართლისაი“ იწერებოდა, საქართველოში უკვე დამკვიდრებული იყო იანვრის წელი და ამიტომ დასასრულს ჩვენთვის საინტერესო აბზაცში „მოქცევისა ოდენ წელიწდისა“ აღნიშნავს 1027 წლის დასასრულს.

აღნიშნული რეალობის გათვალისწინებისას უკვე ნათელი ხდება, თუ სახელდობრ რას შეიძლება გამოეწვია საქართველოს სიღრმეში შემოჭრილ ბიზანტიელთა უკანდახევა. თრიალეთში მყოფ პარაკიმანოსს, ჩვენის აზრით, ზამთარმა მოუსწრო და ეს იყო ის უმთავრესი მიზეზი, რამაც აიძულა ბერძნები უკან გაბრუნებულიყვნენ. ამიტომ ვუთითებდით ზემოთ, რომ ბიზანტიელების თრიალეთიდან წასვლა ქართველთაგან მათი დამარცხების ტოლფასად არ უნდა იქნეს აღქმული.

საკითხის ამგვარი დათარიღება პრობლემათა სხვა წყებასაც პოულობს. ასეთ ვითარებაში უკვე თამამად შეიძლება საქართველო-ბიზანტიის ომის ორი ეტაპის არსებობის მტკიცება. მართალია, ისინი ცალ-ცალკე განვითარდნენ. მაგრამ მთლიანობაში მაინც ერთი პოლიტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

პირველ პერიოდში შედიოდა ის სამხედრო მოქმედებები, რომლებიც უპირატესად თრიალეთში ვითარდებოდა, ხოლო მეორე პერიოდში იგულისხმება სამხედრო ოპერაციები, რომლებიც 1028 წელს დაიწყო და მეტწილად შავშეთ-კლარჯეთში წარიმართა.

### ბიზანტიელთა შავშეთ-კლარჯეთში

ახალი წლის დამდეგს ბიზანტიელები კვლავ გააქტიურდნენ. ამჯერად ბრძოლის ეპიცენტრმა თრიალეთიდან შავშეთ-კლარჯეთში გადაინაცვლა. დაიგულეს რა მოკავშირედ ბიზანტიელები, ტაოელ აზნაურთა მსგავსად, ორგულობა დაიწყეს შავშეთის აზნაურებმაც. სწორედ მათ წრეს ეკუთვნოდა ზემორე მოხსენებული ჩანჩახი ფალელი და არჯევან პოლოლას ძე. ეს უკანასკნელი საკმაოდ გავლენიანი ფეოდალები იყვნენ და მათი ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა ამ რეგიონის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოსვლას მოასწავებდა. სწორედ ეს საფრთხე დაინახა საბა მტბეარმა და ამიტომ იყო, ასე გულდაგულ რომ შეუდგა იგი ანტიბიზანტიური ძალების გაერთიანებას. „მატიანე ქართლისაი“-ს ავტორის მინიშნება, რომ საბამ „დაიჭირა ქვეყანა შავშეთისაო“, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ მას დაუსწრია ორგულ აზნაურთათვის და ეს რეგიონი მეტნაკლებად თავისი გავლენის ქვეშ მოექცევიდა. ბიზანტიელთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლა საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული სუმბატ დავითის ძის ქრონიკაშიც. მისგან ვგებულობთ, რომ საბას ტბეთის ეკლესიის მახლობლად ციხე-სიმაგრე აუგია და მისთვის სვეტი უწოდებია. სწორედ ეს ადგილი ქცეულა მოგვიანებით ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად.

ბიზანტიის იმპერიის მესვეურებმა შავშეთში მყოფ მომხრეებს სასწრაფოდ მიაშველეს სამხედრო ძალები. პარაკიმანოსმა საგანგებოდ გამოგზავნა „იოანე ხარტულარი სახელით ვალანგ ლაშქრითა დიდძალითა“<sup>12</sup> შავშეთ-კლარჯეთში მომავალ ლაშქარს ბიზანტიელებმა დემეტრე გურგენ კლარჯის ძე გამოაყოლეს. დემეტრე უფლისწული იმ კლარჯ ფეოდალთა შთამომავალი იყო, რომლებიც 1011-1012 წწ. საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ ფანასკერტის ციხეში დაატუსადა დარბაზობისას და თმოგვის ციხეში ჩაამწყვდია. ბაგრატ III-ის ამ ნაბიჯის გამო, როგორც ჩანს, კლარჯეთში საქართველოს მეფის პიროვნება არაპოპულარული უნდა ყოფილიყო. ამ მხარის მცხიერებთ ბაგრატ III და მასთან გაიგივებული ცენტრალური ხელისუფლება დამპყრობლად და სიტყვის გამტეხად წარმოედგინა, ხოლო სუმბატისა და გურგენის ოჯახი დევნილად და

შევიწროებულად. ასეთ დროს დემეტრეს გამოყვანა ბიზანტიის პრეტენზიებს კანონიერების იერს აძლევდა და კლარჯი ბაგრატიონების ქვეშევრდომების გრძნობებზე მოქმედებდა.<sup>13</sup> თართო მასებს სწამდა, რომ ამ ვითარებაში ისინი კლარჯეთის უფლებების დაცვისათვის იღვწოდნენ. ეს მაგნე ილუზია, რომელიც სუპარატიზმამდის დადის, საერთოდ დამახასიათებელია პროვინციალური მისათვის.

დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ ბრძოლა უფრო გაძლიერდა. კლარჯეთში ცენტრალურა ხელისუფლების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე მცირდებოდა. მცირე ხანში კლარჯეთში ქართველი პოლიტიკოსები კარგად უწყობდნენ, თუ რა მისიით მოდიოდა ეს პიროვნება საქართველოში, „შესატყუებულად ქვეყანის კაცთათვის“ („მატიანე ქართლისაი“). პირველხანობას მოსახლეობამ მასობრივად იწყო ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა: „ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცი მის ქვეყნისანი წვრილი ერისაგანო“, – დასძენს „მატიანე ქართლისაი“-ს ავტორი. იგივეს იმეორებს სუმბატ დავითის ძე.

არტანუჯის ციხე ამ დროს იოვანე ერთსავეს ეჭირა და ფაქტობრივად კლარჯეთის დიდ ნაწილს ის აკონტროლებდა. მემატიანეთა ჩვენებანი ამჯერად მეტად ზოგადია და ვერ დგინდება, რა როლი ითამაშა იოვანე აბულეთის ძემ ბიზანტიელებთან ბრძოლაში. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მან ბაგრატ IV-ს უერთგულა და ბოლომდე ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მომხრედ დარჩა.

ბრძოლა კლარჯეთსა და შავშეთში რამდენიმე თვე გაგრძელდა. დაახლოებით ნახევარი წლის მანძილზე ეს რეგიონი აქტიური საომარი მოქმედებების არეალად იყო ქცეული. 1028 წ. ნოემბერში საქართველოში მყოფმა ბიზანტიელებმა იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის უცაბედი გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს, რამაც აიძულა სარდლობა შეეწყვიტათ ლაშქრობა და სასწრაფოდ კონსტანტინოპოლს გაბრუნებულიყვნენ. კლარჯეთი და შავშეთი კვლავ ძველებური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა. მართალია, ამ ბრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენა ამ მხარეს, მაგრამ მთლიანობაში ეს რეგიონი კვლავ დედასამშობლოს შემადგენლობაში დარჩა.

## საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა არმიის

### მთავარსარდალთა ვინაობის შესახებ

მას შემდეგ, რაც მეტნაკლებად მიმოვიხილეთ საქართველო-ბიზანტიის 1027-1028 წწ. ომი, ურიგო არ იქნება, უფრო კონკრეტულ საკითხებზეც გავამახვილოთ ყურადღება. ამჯერად შევეცდებით გამოვარკვიოთ ბიზანტიის არმიის მხედართმთავართა ვინაობა.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ამ პრობლემას შეეხო, იყო აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი ბიზანტიელთა ლაშქრის სარდლად ნიკიტა პარაკიმომენს ასახელებდა. ეს ნიკიტა, როგორც ჩანს, გიორგი კედრენესთან მოხსენებული ნიკიტა პისიდიელი უნდა იყოს. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილს ნიკიტას გარდა სხვა მხედართმთავარი არსად მოხსენებული არა ჰყავს, რაც გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ იგი ნიკიტას თელიდა ბიზანტიელთა სარდლად მთელი სამხედრო კამპანიის მანძილზე.<sup>14</sup>

აღნიშნული მოსაზრება მოგვიანებით გაზიარებული იქნა ქართველ ისტორიკოსთა შორის (ს. ყაუხჩიშვილი, ვ. კობალიანი და სხვები<sup>15</sup>).

აკად. მ. ლორთქიფანიძე, განსხვავებით წინამორბედ ისტორიკოსთაგან, საქართველოში შემოჭრილ ლაშქრის სარდლად სიმონ საჭურისს ასახელებს. ქ-ნი მარიამი ამ შემთხვევაში მთლიანად სომეხი ისტორიკოსის ალისტაკეს ლასტივერტეცის მონათხრობს ეყრდნობა.<sup>16</sup> ეს მოსაზრება გაიხიარა პროფ. კ. სალიამაძე.<sup>17</sup>

უკანასკნელ ხანს აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთხელ შეეხო პროფ. ბ. სილაგაძე. იგი მიუთითებს: „მართალია ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ქართულ წყაროებში აღწერილ შემოღწეულ ლაშქრობის მოთავედ ნიკიტას ასახელებს, კედრენეს ცნობით, ეს არის კეისრის მიერ იბერიის დედად

დანიშნული ნიკიტა პისიდელი, თავისი ბოროტებით განთქმული პიროვნება, რომელიც იაპიას ცნობაში ნიკოლოზის სახელითაა მოხსენიებული<sup>18</sup> როგორც ვხედავთ, ბ-ნი ბენიამინი იზიარებს საქართველოში შემოჭრილი ლაშქრის მხედართმთავრად ნიკიტა პისიდელის ყურენის ფაქტს და ერთმანეთთან აიგივებს გიორგი კედრენეს „ნიკიტა პისიდელს“ და იაპია ანტიოქიელის „ნიკოლა (ნიკოლოზ) ბარაქიმამნუსს“.

შეიძლება თუ არა ნიკიტა პისიდელი მივიჩნიოთ საქართველოს დასამართლებლად წამოსულ ბიზანტიელთა მხედართმთავრად?

ნიკიტა პისიდელს იცნობს როგორც ბიზანტიური, ისე სომხური წყაროები. გიორგი კედრენე მას იბერიის დეკად მოიხსენიებს და თან საკმაოდ უარყოფითად ახასიათებს. რაც შეეხება არისტაკეს ლასტივერტეცის, იგი ნიკიტა პისიდელის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ ვრცელად მოგვითხრობს. სომეხი ისტორიკოსის თქმით, მისი უშუალო ხელშეწყობით მომხდარა ტაოელ აზნაურთა ბიზანტიის მხარეზე გადასვლა. ქართველი ისტორიკოსები (ივ. ჯაფარიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. კობალიანი, ბ. სილაგაძე და სხვები) კი ამის შემდგომ ჩვენში განვითარებული მოვლენების მოთავედ კვლავ ნიკიტა პისიდელს მიიჩნევენ და ამიტომ საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა სარდალად მას ასახელებენ. ამასთანავე, ვინაიდან ქართულ წყაროებში ბიზანტიელთა მხედართმთავარი „პარაკიმანოზად“ არის მოხსენიებული, მეცნიერებმაც ნიკიტა პისიდელს „პარაკიმანოზის“ ტიტული მიაწერეს. ასე მივიღეთ ნიკიტა პარაკიმანოზი.

სულ სხვაგვარია რეალური სიტუაცია. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ნიკიტა პისიდელი არსად პარაკიმანოზად არ იხსენიება. მაგალითად გ. კედრენე, როგორც ზემოთ არაერთგზის მივუთითეთ, ნიკიტას მხოლოდ იბერიის დეკად მოიხსენიებს. ეს უკანასკნელი მართლაც რომ ყოფილიყო „პარაკიმანოზი“, შეუძლებელია, კედრენეს მის ამ ტიტულზე არ მიეთითებინა. საერთოდ, ნიკიტა პისიდელის ცხოვრების დეტალები ასე თუ ისე ცნობილია, მაგრამ არსად იგი პარაკიმანოზის ტიტულით მოხსენიებული არ არის. ფრანგი ბიზანტოლოგი ლორანი კი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ნიკიტას უნდა ეკუთვნოდეს XI ს. I ნახ. დათარიღებული ერთიდაიგივე სახელიანი ბეჭდები პატრიკოსისა, რექტორისა და ანტიოქიის კატეპანისა.<sup>19</sup> ამდენად, ნიკიტა პისიდელს არასდროს პარაკიმანოზის ტიტული არ უტარებია და ბუნებრივია, ამიტომაც ამ პიროვნების ბიზანტიელთა მხედართმთავრად მიჩნევა გამოირიცხება.

მართალია, ქართული წყაროები არ იხსენიებენ ლაშქრის წინამძღოლის სახელს, მაგრამ უცხოური წყაროები ამ მხრივ უთუოდ ძვირფას ცნობებს შეიცავენ. იაპია ანტიოქიელი გადმოგვცემს: „მეფე კონსტანტინემ აფხაზეთში ვაგზავნა თავისი მსახური ნიკოლა ბარაქიმამნუსი ჯარით. მან გაანადგურა და გადაწვა იგი. გაწყვიტა და დაატყვევა მრავალი, სხვებმა თავი შეაფარეს მიუვალ მთებს და გამაგრებულ ადგილებს, სადაც ჯარმა ვერ შეაღწია“.<sup>20</sup> როგორც ვხედავთ, აქ ლაშქრობის კონკრეტული ხელმძღვანელია დასახელებული. არაბი ისტორიკოსი მას „ნიკოლა ბარაქიმამნუსად“ მოიხსენიებს. ეს იგივე ნიკოლოზ პარაკიმანოზი უნდა იყოს, კონსტანტინე VIII-ის მიერ სხოლათა დომესტიკოსად და პარაკიმანოზად დანიშნული. იმპერატორი მას დიდად მფარველობდა და ამიტომ სახელმწიფოში მეორე კაცად აქცია. როგორც ჩახს, საიმპერატორო კარს სწორედ მისთვის მიუხდვია 1027 წლის შემოდგომისას საქართველოს პრობლემის მოგვარება. კედრენესთან ამ ამბების გადმოცემისას თვალში საცემია ისიც, რომ იგი ურთიერთისაგან განარჩევს ნიკოლოზ პარაკიმანოზს და ნიკიტა პისიდელს. ბიზანტიელი ისტორიკოსის თქმით, ერთი თუ სხოლათა დომესტიკოსად დანიშნა კონსტანტინე VIII-მ, მეორე იბერიის დეკად განაწესა იმპერატორმა. ეს მომენტი თვალნათლივ ცხადყოფს, რომ საქმე ორ სხვადასხვა პიროვნებასთან გვაქვს.

ამდენად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში შემოჭრილი ლაშქრის სარდალი ყოფილა სხოლათა დომესტიკოსი ნიკოლოზ პარაკიმანოზი და არა იბერიის დეკად ნიკიტა პისიდელი.

უპრიანი იქნებოდა ამით დაგვესრულებინა ჩვენი საუბარი ამ პრობლემაზე, რომ არა ერთი

საკითხი, რომელიც ჩვენის აზრით უდავოდ სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულების სათანადო ადგილის შესწავლისას შეუძლებელია მკვლევარს არ დაებადოს კითხვა, იყო თუ არა ნიკოლოზ პარაკიმანოსი ერთადერთი სარდალი ბიზანტიელთა არმიისა? სომეხ მემატიანეს თავის თხზულებაში ერთი ფრაზა საინტერესო ცნობა აქვს შემონახული. „ხოლო მესამე წლის დასაწყისში, — აღნიშნავს მემატიანე, — აღმოსავლეთისაკენ დიდი ჯარით დაიძრა სიმონ საჭურისი, რომელსაც ეპერა ნახევარი ლაშქრის ნაწილი დასწავლია და რომელიც ბერძნულ ენაზე პარაკიმანოსად იწოდებოდა. იგი გადმოვიდა ქართველთა ქვეყანაში, მაგრამ ვერ შეძლო საქმის სისრულეში მოყვანა, ვინაიდან მაშინ მოვიდა მეფის გარდაცვალების სამწყურარო ამბავი. ეს რომ გაიგო, დაუყოვნებლივ ჯარით კვლავ კონსტანტინოპოლში წავიდა“<sup>21</sup>. ამ ცნობის გაცნობის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: თუ ნიკოლოზი სარდლობდა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო კომპანიას 1027-1028 წლებში, მაშ, ვინ იყო სიმონ საჭურისი?

ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა უარყოფს სიმონ საჭურისის საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა არმიის სარდლად ყოფნის ფაქტს. რაც შეეხება მ. ლორთქიფანიძეს, იგი სიმონ საჭურისს მიიჩნევს საერთოდ 1027-1028 წწ. წარმოებული სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელად. ამ ურთიერთგამომრიცხველ მოსაზრებათა ფონზე საინტერესოა, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება არისტაკეს ლასტივერტეცის მონათხრობიდან.

ა) სომეხი ისტორიკოსი საკმაოდ ნათლად მიუთითებს, რომ სიმონ საჭურისის ლაშქრობა აღმოსავლეთში და კერძოდ საქართველოში, დაწყებულია 1028 წ. დასაწყისში. არისტაკესი მოგვითხრობს, რომ „მესამე წლის დასაწყისში აღმოსავლეთისაკენ დიდი ჯარით დაიძრა სიმონ საჭურისი“. ამ კონტექსტში კონსტანტინე VIII-ის მეფობის მესამე წელი იგულისხმება, რომელიც 1028 წ. დასაწყისზე მოდის. ასეა ეს გაგებელი ამ ძველის როგორც ქართულ, ისე რუსულ გამოცემებში. ამდენად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სწორედ 1028 წ. დამდეგსაა სავარაუდო სიმონ საჭურისის აღმოსავლეთში ლაშქრობაც.

ბ) არისტაკესი ხაზგასმით მიანიშნებს, რომ სიმონ საჭურისი თავისი ლაშქრით უშუალოდ საქართველოში შემოჭრილა. ამ რეგიონში კი ბერძნთა ძალები საკმაო ხანს გაჩერებულან. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმონ საჭურისის საქართველოდან წასვლა ემთხვევა იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის სიკვდილს (1028 წ. ნოემბერი), მაშინ თამაზად შეიძლება ითქვას, რომ იმპერიის სამხედრო ნაწილები ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით ნახევარ წელიწადს გაჩერებულან. მაგრამ როგორც არისტაკესი გვეუბნება, მიუხედავად ყოველივესი, სიმონ საჭურისს მიზნისთვის ვერ მიუღწევია, ისე გაბრუნებულა კონსტანტინოპოლისაკენ.

ამდენად, არისტაკეს ლასტივერტეცს თუ დაუფიქრებთ, 1028 წ. დასაწყისში საქართველოში დიდი ლაშქრით შემოჭრილა სიმონ საჭურისი, ე. ი. გამოდის, რომ 1028 წ. დამდეგს საქართველოში საომრად მოსულ ბიზანტიელებს უკვე სიმონ საჭურისი სარდლობდა და არა ნიკოლოზ პარაკიმანოსი.

ახლა კი შევეცადოთ შევაჯეროთ იაპია ანტიოქიელისა და არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობები.

#### ა) იაპია ანტიოქიელის მონათხრობი

არაბი ისტორიკოსის ამ ძეგლში, როგორც არაერთგზის ვაჩვენეთ, ბაგრატ IV-ის გამეფებისას საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა სარდლად დასახელებულია ნიკოლოზ პარაკიმანოზი. ეს ლაშქრობა კი, როგორც ვიცით, 1027 წ. შემოდგომისას დაიწყო და იმავე წლის ზამთრამდის გასტანა. ამის შემდეგ ნიკოლოზი კვლავ ბიზანტიაში დაბრუნდა.

#### ბ) არისტაკეს ლასტივერტეცის მონათხრობი

სომეხი ისტორიკოსის თქმით კი 1028 წლის დასაწყისში საქართველოში დასარბევად და დასამორჩილებლად წამოსულ ბიზანტიელებს უკვე სიმონ საჭურისი წინამძღოლობდა, რომელიც

ამ მხარეებში 1028 წ. ნოემბრამდის გაჩერებულა.

როგორც ვხედავთ, ორივე ეს წყარო კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ კიდევ ურთიერთს. მაშინ როცა იაპია ანტიოქიელი საქართველო-ბიზანტიის ომის პირველ ეტაპზე გვესაუბრება, არისტაკესი მთელ ყურადღებას რატომღაც ამ ომის მეორე ეტაპზე ამახვილებს.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1027 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სამხრეთ საქართველოში და კერძოდ, ჯავახეთ-თრიალეთში შემოსულ ბიზანტიელებს სარდლობდა ნიკოლოზ პარაკიმანოზი, 1028 წელს, ამჯერად უკვე კლარჯეთ-შავშეთის დასარბევად წარმოსულ იმპერიის სამხედრო ნაწილებს კი სიმონ საჭურისი წინამძღოლობდა.

\* \* \*

კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალებამდის რამდენიმე დღით ადრე, მომაკვდავმა იმპერატორმა თავის ქალიშვილზე ზოიაზე დააქორწინა რომანოზ არგვიროსი და იგი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. რომანოზ არგვიროსის გაიმპერატორობის შემდეგ ბიზანტიის პოლიტიკა საქართველოს მიმართ კარდინალურად შეიცვალა. ახალმა იმპერატორმა მთელი თავისი ყურადღება არაბებთან ბრძოლაზე გადაიტანა. ამ მიზნით საქართველოში მოქმედი არმია გაწვეულ იქნა. ამჯერად, არც კონსტანტინეობა პოლიტიკოსებს აწუხებდათ ჩვენს ქვეყანასთან სამხედრო კონფრონტაციაში ყოფნა და არც საქართველოს მშათეული წრეები იყვნენ დაინტერესებული ომის გაგრძელებით. ამიტომ ორ ქვეყანას შორის შეთანხმება ადვილად იქნა მიღწეული.

### ჯაბა სამუშია

ოსმ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი

### შენიშვნები

1. მატიაზე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 291.
2. სუმბატ დავითის ძე ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა, 1990, გვ. 58.
3. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969, გვ. 131.
4. არისტაკეს ლასტივერტყცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, 1974, გვ. 54-55.
5. არაბი ისტორიკოსის იაპია ანტიოქიელის მინიშებით, საქართველოში ბიზანტიელთა შემოსევის მიზეზი გამხდარა ქართულ მოღვაწეთა მცდელობა, დაებრუნებინათ მიტაცებული ტაოს მიწები. ამის საპასუხოდ იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ საქართველოში გამოუზავნა თავისი მხედართმთავარი ნიკოლოზ პარაკიმანოსი.
6. ჩვენის აზრით, ბიზანტიელები თრიალეთში ტაოს, კოლა-არტაანისა და ჯავახეთის გავლით უნდა მოსულიყვნენ. ამ პროვინციებზე გადიოდა იმხანად ერთ-ერთი მთავარი საავაჭრო გზა, რომელიც აკავშირებდა ბიზანტიის წინააზიურ პროვინციებს საქართველოსთან.
7. მატიაზე ქართლისაი, გვ. 292.
8. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბზ., II, 1983, გვ. 137.
9. ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, 1991, გვ. 213-214.
10. სუმბატ დავითის ძე, გვ. 58.
11. მატიაზე ქართლისაი, გვ. 291.
12. მატიაზე ქართლისაი, გვ. 292; ეს მონაკვეთი სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული, ამიტომ პირველსახის აღდგენა ჭირს ამჯერად ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ამ მონაკვეთის გ. გელაშვილისეული წაკითხვა (იხ. გ. გელაშვილი, სუმბატ დავითის ძე და „მატიაზე ქართლისაი“, მსსმ შრომები, 87, 1960, გვ. 254).
13. ი. ლორთქიფანიძე, მონარქიის საგარეო პოლიტიკა (X ს. დასასრ. - XI ს. 60-იანი წლები), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 180.
14. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 137-138.
15. გეორგიკა, V, 1963, გვ. 54 (იხ. სქოლიო); ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.
16. М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI-начало XII века, 1974, стр. 71.
17. K. Salia, Brief aperer sur la rapports Georgiano-Byzantins, Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie, vol XXXIII, Paris, 1975.
18. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 213.
19. ლორანის აღნიშნულ სტატიას, სამწუხაროდ, ჩვენ წიგნაცავებში ვერ მივაკვლიეთ და ამიტომ იძულებულნი ვართ ეს ცნობა ა. კაქაბანის ნაშრომიდან დავიმოწმოთ; იხ. А. П. Каждан, Состав господствующего класса в Византии XI - XII вв., Анкета и частные выводы, ч. VI, Атичная древность и средние века, Сб. 10, Свердловск, 1973, стр. 185.
20. ბ. სილაგაძე, იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1985, გვ. 118.
21. არისტაკეს ლასტივერტყცი, გვ. 55.



# ფილიპ დე კომინი



# და რიჩარდ III

## მუნაბ კალანდაძე

ფილიპ დე კომინის „მემუარები“ წარმოადგენს შუა საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს. როგორც ფიქრობენ, იგი მოასწავებდა შუა საუკუნეებიდან ახალ ისტორიოგრაფიაზე გადასვლას და ყოველმხრივ წარმოადგენდა შესანიშნავ ნაწარმოებს XV საუკუნის მიწურულის ფრანგულ ლიტერატურაში (ეფ. ფიუტერი).

ფილიპ დე კომინი (1447-1511) და რიჩარდ III (1452-1485) თანამედროვენი იყვნენ და ამიტომ ფილიპ დე კომინი თავის „მემუარებში“, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუკლიდა ისეთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც აქო ინგლისის მეფის ედუარდ IV-ის ძმა, ინგლისის მომავალი მეფე რიჩარდ გლოსტერი. რიჩარდ III-ის შესახებ ფილიპ დე კომინის მსჯელობის ღირებულება მნიშვნელოვნად განაპირობა იმან, რომ იგი გვევლინება ტიუდორთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ სერიოზულ წინამორბედს და მეტიც, როგორც ი. ოსინოვსკის მიაჩნია, მან გარკვეული გავლენაც კი მოახდინა ტიუდორთა ისტორიოგრაფიაზე, სახელდობრ კი ტომას მორის თხზულებაზე „რიჩარდ III-ის ისტორია“ (აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ფილიპ დე კომინის „მემუარები“ ინგლისში მის გამოქვეყნებამდე – 1524 წ. – კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი). გამოდის, რომ ფრანგი ფილიპ დე კომინი იყო პირველი იუ არა, ერთ-ერთი პირველი მაინც, რომელმაც უაღრესად მუქ ფერებში წარმოაჩინა რიჩარდ III-ის მოღვაწეობა, აქ ბუნებრივია, იბალება კითხვა – რა იყო ამის მიზეზი? ანგარიშგასაწევად მივყავართ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება (ე. ჩერნიაკი, ი. ოსინოვსკი), რომ ამ შემთხვევაში კომინი, როგორც ჩანს, მთლიანად ეყრდნობოდა ხმებს, ჭორებს, რომლებიც უპირატესად, რა თქმა უნდა, მუნაბ ტიუდორისაგან და მისი მომხრეებისაგან იღებდა სათავეს. აქედან გამომდინარე, საკსებით ლოგიკურია, რომ ავტორი ტიუდორთა ვერსიის წინამორბედს გვევლინება (აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტიუდორები საკმაოდ დიდი ხნის განსაკვლობაში ცხოვრობდნენ საფრანგეთში).

რიჩარდ გლოსტერი დაიბადა 1452 წელს, „მეძღვება პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერებამ ზუსტად იმდენი იცის რიჩარდ III-ზე, რამდენიც თითოეულმა ჩვენგანმა“ – ამბობს მ. ბარგი, საკსებით მართალი იყო ისტორიკოსი ჩიოპემი, როდესაც ამბობდა: „რიჩარდი 1483 წელს რომ მომკვდარიყო, არაფერი არ მოხდებოდა და იგი ინგლისის ისტორიაში ჩვეულებრივ შევიდოდა როგორც რიჩარდ გლოსტერი“. მისი მეფობა იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ წყაროებში კვალი ძალიან ხუსტად დატოვა, რამაც შექმნა ფართო ასპარეზი პიპოთეზებისა და ლეგენდებისათვის, რითაც, როგორც ეტყობა, ძალიან კარგად ისარგებლეს ტიუდორებმა, მათ ცდა არ დაუკლიათ, რათა როგორმე გაეშავებინათ თავიანთი წინამორბედი და ამით გაემართლებინათ ტახტის ხელში ჩაგდება.



ელუარდ IV-ისა და რიჩარდის ურთიერთობას რწირად ცალმხრივად და მიკერძოებით წარმოაჩენენ და ამით კიდევ ერთხელ სურთ ნაზი გაუსკან რიჩარდის მხაკერობას, რომელიც თითქოსდა სიცოცხლეშივე უთხრიდა სამარეს თავის გვირგვინოსას მძას, როგორც წყაროებიდან ირკვევა. ელუარდ IV-ის სიცოცხლეში რიჩარდი მოქმედებდა როგორც მეფის ერთგული ქვეშევრდომი და მისი მძის — კლარენსისაგან განსხვავებით, გვერდში ედგა ელუარდს მისთვის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, იგი გვერდიდან არ მისდევდა ელუარდ IV-ს გადამწყვეტ წუთებში — მის გვერდით იბრძოდა ბარნეტისა და ტიუქსბერის ბრძოლებში, სადაც ლანკასტერებმა სერიოზული მარცხი იწვნეს. ელუარდ IV-ს ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი რიჩარდის ერთგულებაში და ამიტამაც იყო, რომ სწორედ მას ჩააბარა ყველაზე საპასუხისმგებლო უბნის — ჩრდილოეთ ინგლისის მეთვალყურეობა, რომელიც ლანკასტერების ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა, შემთხვევითი არ იყო, რომ ელუარდ IV-მ უყოყმანოდ დანიშნა რიჩარდი ლორდ პროტექტორად და ბავშვების მფარველად, რიჩარდი ფაქტობრივად სახელმწიფოში მეორე კაცია.

ფილიპ დე კომინი რიჩარდის საქციელს ცოტათი უნდობლად ეკიდება, რაც რიჩარდისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ რიჩარდის გულწრფელობაში? რა თქმა უნდა, არა, კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს მორის მოსაზრება, რომ რიჩარდს საბუფო გვირგვინის ხელში ჩაგდება ახრად უკვე ელუარდ IV-ის სიცოცხლეში მოუკიდა. ფილიპ დე კომინი კი ფიქრობს, რომ ეს იდეა რიჩარდს დაებადა ელუარდ IV-ის სიკვდილის შემდეგ (1483 წლის 19 აპრილი). შესაძლოა, ეს მოსაზრებაც დაზუსტებას საჭიროებდეს, ვინაიდან ცნობილი ხდება, რომ რიჩარდმა ერთგულება შეჰპოცა ახალ მეფეს — ელუარდ V-ს, მაშ, რა მოხდა შემდეგ? რატომ შეიცვალა მისი პოზიცია ასე რადიკალურად? ამის მიხეხეხი დედოფლის მომხრეების აქტიურობაში უნდა ვეძიოთ, რომელთაც აშკარად არ აწუებდათ რიჩარდის ასეთი მაღალი მდგომარეობა სახელმწიფოში, რიჩარდის წინაშე მთელი სიმწკავით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამიტომ იგი იმულებული იყო ემოქმედა — ან ტახტს დაუფლებოდა, ან ამ ბრძოლაში მომკვდარიყო. ეს არის პირველობისათვის ბრძოლა რიჩარდ გლოსტერსა და ვუდეკილებს შორის, რიჩარდის აღზევება ვუდეკილების გვეგამში არ შედიოდა.

პირველი სერიოზული ბრალდება, რომელსაც ფილიპ დე კომინი ცდილობს წაუყენოს რიჩარდს, ეს არის მეფე პენრი VI-ის (1422-1471) მკვლელობა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამას იგი აკეთებს უაღრესად თავშეკავებულად და მეტად ფროხილად. მოვესმინოთ თავად მას: „თუ მე ტყუილი არ მითხრეს, ამ ბრძოლის (ე. ი. ბარნეტთან — მ. კ.) შემდეგ მეფე ელუარდის მძამ, პერცოგმა გლოსტერმა, რომელიც შემდგომში გახდა ინგლისის მეფე, თავისი ხელით მოკლა მეფე პენრი, ანდა უბრძანა მოეკლათ იგი თავისი სახდასწრებით რომელიმე მყურრო ადგილას“. ასეთი ბრალდება მხოლოდ რიჩარდის მიმართ მეტად მკაცრი ხომ არ იქნებოდა? ყველაზე უფრო ბრალეული მთელს ამ ისტორიაში, რა თქმა უნდა, მეფე ელუარდ IV-ია, რომლის წინააღმდეგ კომინი კრინტს არ ძრავს. ამ საქმეში რიჩარდი იმაზე მეტად არ იყო დამნაშავე ვიდრე ელუარდ IV. ამიტომ ყველაფრის რიჩარდისადმი გადაბრალება მართებულს არ იქნებოდა. სხვათა შორის, რიჩარდს ბრალს სდებენ მეფე პენრის კაფის ელუარდის მკვლელობაშიც (შექსპირი). პრინცი ელუარდი რიჩარდს არ მოუკლავს. ფილიპ დე კომინი ფიქრობს, რომ ის ბრძოლაში დაიღუპა, როგორც ჩანს, რიჩარდს არავისთარი ბრალი თავისი მძის კლარენსის მკვლელობაში არ მიუძღვის ამ უბრალო მიხეხის გამო, რომ მაშინ ლონდონში არ იმყოფებოდა. ცნობილია ისიც, რომ რიჩარდი ყოველმხრივ ცდილობდა გადაერჩინა კლარენსი, თუმცა ამას სასურველი შედეგა არ მოჰყოლია. რიჩარდისაგან

კანსხვაეებით, კლარენსი ყოველ ფენის ნაბიჯზე დალატობდა ედუარდ IV-ს. სწორედ ის ედგა მხარში გრაფ უორიკს ედუარდის წინააღმდეგ ბრძოლაში და როგორც ფილიპ დე კომინი ფიქრობს, თვითონ აპირებდა გამწვანარყო ინგლისის მეფე. შესაძლოა, ძალაუფლებისადმი ასეთი დაჟინებული ლტოლვა გახდა კლარენსის დაღუპვის ჭეშმარიტი მიზეზი. სხვათა შორის, ფილიპ დე კომინი კლარენსის მკვლელობაში დაძნაშავედ მეფე ედუარდს მიიჩნევს, რომელმაც ამით, გამორიცხული არაა, რომ გზიდან ჩამოიშორა ტახტის მემკვიდრე და უშუალო კონკურენტი.

მეორე სერიოზული ბრალდება, რომელსაც ფილიპ დე კომინი ედღობს წაუყენოს რიჩარდს, ეს არის ბავშვების მკვლელობა, პრინციების ბელი, შეიძლება ითქვას, რომ საიდუმლოებით მოცული რჩება. ყოველ შემთხვევაში, რიჩარდის მიერ ბავშვების მოკვლის ვერსიას არავითარი დოკუმენტური დადასტურება არა აქვს (უპირაკლესობა ავტორებისა, რომლებიც ამ შემზარავ ფაქტს მოგკითხრობენ, ხმებს ეყრდნობიან). ნიშანდობლივია, რომ ჰენრი VII რიჩარდის 1484-1485 წლების დანაშაულებათა შორის მხოლოდ გაკკრით და გაუბედავად იხსენიებდა უფლისწულების მკვლელობას. ე. ჩერნიაკს მიაჩნია, რომ ამგვარ მოქმედებას ორგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ერთი, რომ ტიუდორებმა შესაძლოა იცოდნენ მკვლელის ნამდვილი გვარი — ბეკინჰემი და მეორე, შეიძლება მათ იცოდნენ, რომ ბავშვები ცოცხლები არიან და ტაუერში სხედან. ბრალდებამ რიჩარდის მიერ ბავშვების მოკვლის შესახებ ფრთები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეისხა. გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები: რიჩარდის მხრივ ბავშვების მოკვლა ალოგიკური იქნებოდა. უბრალოდ, მას არ სჭირდებოდა ასეთი რადიკალური ნაბიჯი, რადგან საპარლამენტო აქტის თანახმად, ბავშვებს ტახტის დაკავების უფლება არ ჰქონდათ, რადგან ედუარდ IV ოფიციალურად განქორწინებული არ ყოფილა თავის პირველ ცოლთან ელენორა ბათლერთან და მისი მეორე ქორწინება ელისაბედ უედვილთან კანონგარეშედ იქნა ცნობილი. შეუძლებელია, რომ ის ჭორები, რომელიც არსებობდა, რიჩარდს არ სცოდნოდა, ამიტომ მას ყველაზე უფრო მეტად სურდა, რომ ბავშვები ცოცხლები ყოფილიყვნენ. ეს კი საუკეთესო არგუმენტი იქნებოდა ჭორების საწინააღმდეგოდ. არც ელისაბედ უედვილი შეურიგლებოდა ასე სწრაფად რიჩარდს, თუ მან იცოდა, რომ მისი შეილების მკვლელი რიჩარდი იყო. ეს ამ ამაცი და პატივმოყვარე ქალის ხასიათში არ შედიოდა. მაშ, ვინ მოკლა ბავშვები? თანამედროვე ინგლისელმა ისტორიკოსმა კ. მერკმა წამოაყენა უადრესად თამაში პიპოთუნა, თითქოს ბავშვები მოკლა ჯეიმზ ტირელის პენის VII-ის ბრძანებით 1486 წელს. ასეთი ვერსია დოკუმენტურად ისევე სუსტადაა არგუმენტირებული, როგორც პირველი. კარაულობენ, რომ ბავშვები შეიძლება მოკლულ იქნენ ბეკინჰემის მიერ 1483 წლის ზაფხულში. ე. ჩერნიაკი კარაულობს, რომ ამით ბეკინჰემს ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერა სურდა. მას უნდოდა ესამოვნებინა ტიუდორებისათვის და მეორეს მხრივ, ის ფიქრობდა, რომ ამით მოიპოვებდა რიჩარდის ნდობას. შესაძლოა, ბავშვების მკვლელობა იმ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნოს, რომელიც ისტორიის საიდუმლოდ იქცა.

რიჩარდის წინააღმდეგ შემდგომი ბრალდება, რომელიც ფილიპ დე კომინის შემუარებმა გვხვდება, ბეკინჰემის სიკვდილით დასჯაა. ამით ფილიპ დე კომინის კიდევ ერთხელ სურს ხაზი გაუსვას რიჩარდის დესპოტიზმს. მის ტირანობას, 1483 წლის ოქტომბერში ბეკინჰემის სიკვდილით დასჯაში არ შეიძლება დავინახოთ რიჩარდის დესპოტიზმისა და ტირანიის გამოვლინება, ვინაიდან მან ანგარიში გაუსწორა შეთქმულებს, რომელთა მიზანს წარმოადგენდა რიჩარდის ტახტიდან ჩამოგდება და ჰენრი ტიუდორის გამეფება. ბუნებრივია, რიჩარდის ადგილას ყველა მონარქი ასე მოიქცეოდა. შესაძლოა კიდევ უფრო მაკცრადაც, რიჩარდმა

საკვდილით დასაჯა შეთქმულების მხოლოდ ერთი მონაწილე — ბეკინძეძე, დანარჩენებს მან ხელი არ ახლო. მორტონს და ლორსეტს საშუალება მისცა საფრანგეთში გაქცეულიყვნენ. ხოლო დიდი სტენლის (რომელსაც ერთი წამითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა რიჩარდის წინააღმდეგ) შეთვალეურობა მის ქმარს დაავალა. რიჩარდის მოქმედება უფრო მეტად ღმობიერი იყო, ვიდრე სასტიკი. ამიტომ ამ ეპიზოდის შეფასებისას ფრანგი მეშუარისტი მთლად ობიექტური ვერ იყო.

ტრადიციის თანახმად, რიჩარდი იყო ისეთი პიროვნება, რომელსაც უძლიერესი უბედურება მოჰქონდა გარშემო მყოფთათვის. სინამდვილეში თავად რიჩარდსაც დიდი უბედურებები დაატყდა თავს. ცხადია, აქ უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მეუღლის — ენ ნევილის და ტახტის შემკვიდრე ერთადერთი ვაჟის გარდაცვალებას, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის ფილიპ დე კომინი. მაგრამ იგი ეჭვს გამოთქვამს, რომ პირველის მკვლელობაში რიჩარდის ხელი ერთა. აი, რას წერდა იგი: „მან დაკარგა მეუღლე და ზოგიერთები ამბობენ, რომ მან თვითონ მოკლა იგი“. ეს არის კიდევ ერთი სერიოზული ბრალდება, რომელსაც ფილიპ დე კომინი რიჩარდს უყენებს. ყველამ კარგად იცოდა, რომ დედოფალი დიდი ხანია აკად იყო ჭლექით, მაგრამ მისი დაღუპვა რიჩარდის მტრებმა საბაბად გამოიყენეს. ასე რომ, დედოფალი ჭლექით გარდაიცვალა და რიჩარდი აქ არაფერ შეაშია. ერთი წლით ადრე კი რიჩარდმა კიდევ უფრო დიდი უბედურება გადაიტანა — დაეღუპა შვილი.

ნიშანდობლივია, რომ ფილიპ დე კომინი, რომელიც მუქ საღებავებს არ იშურებს რიჩარდის მოღვაწეობის გადმოცემისას, კრისტს არ ძრავს მის ფიზიკურ ნაკლებზე, სიმახინჯეზე, რომ იგი იყო კოჭლი, კუჩიანი. რატომ დუმს ფილიპ დე კომინი, რომელსაც თავისი თვალთი უნახავს რიჩარდი? როგორც ჩანს, რიჩარდის ფიზიკური სიმახინჯეც ტიუდორთა მორიგი მათია.

ბოსკორტის ბრძოლაში რიჩარდის დამარცხებას ფილიპ დე კომინი აღიქვამს როგორც ღმერთის სასჯელს ჩაღიანი ბოროტებების გამო. ცხადია, ტიუდორებს არაკითარი დეოთური მისია არ გააჩნდათ და ისინი, უპირველეს ყოვლისა, ტახტის ხელში ჩაგდებაზე ხრუნაკდნენ. არც იმის დაკვიწყება ღირს, რომ ტიუდორები არანაკლებ დესპოტები და ტარანები იყვნენ, ვიდრე მათი წინამორბედი რიჩარდი.

კომინის „მეშუარები“, როგორც ისტორიული წყარო, უსათუოდ ღირებულა. მასში მკითხველი იპოვის მნიშვნელოვან ინფორმაციას რიჩარდ III-ზე, მაგრამ მათი გააზრებისას ფილიპ დე კომინის ყველაფერში როლი შეიძლება დაკეთანხმოს.

ამრიგად, ფილიპ დე კომინის სახით საქმე გვაქვს ტიუდორთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ სერიოზულ წინამორბედთან, რომელიც მუქ საღებავებს არ იშურებს რიჩარდის მოღვაწეობის გადმოცემისას. ფილიპ დე კომინის წიგნიდან რიჩარდი შემოგვცქერის როგორც სისხლისმსმელი დესპოტი, ტირანი და მონსტრი, ისტორიული რიჩარდი კი, როგორც ჩანს, სულ სხვაგვარი იყო.



# რომის ბრანსუორეპატიო ბიზანტიის იმპერია

ჯორჯ ოსტროვოსკი

წინააღმდეგარე სტაბილური წარმართების შესავალი წიგნი — მსოფლიო ბიზანტიოლოგიის ჯორჯ ოსტროვოსკის მონოგრაფიის „სახელმწიფოს ისტორია“. აღნიშნული ნაშრომი საინტერესოა გასული საუკუნის წყაროების უარყოფითი და ავტორის ორიგინალური კონსტრუქციებით. ამ კვლევის მიზანია ქართულ სახელმწიფოს და საკითხის დაინტერესებულ მკითხველთა წინა გააცნოს ბიზანტიის სახელმწიფოს ბუნების ოსტროვოსკისეული გაგება.



რომაული პოლიტიკური წყობის კონცეფცია, ბერძნული კულტურა, ქრისტიანული რწმენა — აი ელემენტები, რომელთაც განაპირობეს ბიზანტიის განვითარება. ამ სამი კომპონენტის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ცხოვრების ბიზანტიური გზა. ეს იყო ელინისტური კულტურის და ქრისტიანული რწმენის შერწყმა რომაულ იმპერიულ კარკასზე, რამაც შედეგად მოგვცა ისტორიული ფენომენი — ბიზანტიის იმპერია. ეს სინთეზი შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთთან გაძლიერებული ურთიერთობის საჭიროებით, რაც თავის მხრივ მესამე საუკუნის კრიზისით იყო გამოწვეული. ამ პროცესის პირველი ფაქტორი გამოხატულება იყო ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო სტატუსში აყვანა და ახალი დედაქალაქის დაარსება ბოსფორზე. ეს ორი მოვლენა — ქრისტიანობის გამარჯვება და იმპერიის პოლიტიკური ცენტრის გადაადგილება ელინისტურ აღმოსავლეთში არის საწყისი ბიზანტიური პერიოდისა.

ბიზანტიის ისტორია არის მხოლოდ ახალი ფაზა რომის ისტორიისა, ისევე როგორც ბიზანტიის სახელმწიფო გაგრძელებაა ძველი რომის იმპერიისა (imperium

romanum). ბიზანტიელები თავს რომაელებს ეძახდნენ, იმპერატორები კი თავს რომაელ მმართველებად, ცეზარის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. ისინი იმპერიის არსებობის ბოლომდე დარჩნენ მოხიბლულნი რომით და რომაული სახელმწიფო მმართველობის ტრადიციები განსაზღვრავდნენ მათ პოლიტიკურ მიზნებსა და მისწრაფებებს რომის იმპერია შეიცავდა ბევრ განსხვავებულ ტომს, რომელნიც გაერთიანებულნი იყვნენ რომაული სახელმწიფოს იდეით. ერთიანი ტომები გარე სამყაროსთან კი განპირობებული იყო რომის უნივერსალურობის კონცეფციით. ბიზანტია, როგორც რომის იმპერიის მემკვიდრე, პრეტენზიებს აცხადებდა ყველა იმ მიწაზე, რომელიც რომის იმპერიის გავლენის სფეროში შედიოდა. ახლა კი ქრისტიანული მსოფლიოს ნაწილს წარმოადგენდა. ქრისტიანულ-ოკუპაციური სახელმწიფოები, რომელნიც წარმოიშვნენ ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ბიზანტიამ არ მიიჩნია თანასწორად. წარმოიქმნა სახელმწიფოთა გარკვეული იერარქია, უზენაესი ხელისუფლების რეგალია კი ბიზანტიამ დაიმკვიდრა, როგორც რომის იმპერიის მემკვიდრემ (თან ბიზანტიის იმპერატორი ქრისტიანული ეკლესიის მეთაურიც იყო). ადრე ბიზანტიურ პერიოდში იმპერიული პოლიტიკა მიმართული იყო ყოფილი რომის იმპერიის გავლენის სფეროებზე კონტროლის განმტკიცებისაკენ. შუა და გვიანბიზანტიურ პერიოდებში კი ამ ტერიტორიების შენარჩუნებისათვის იღვწოდნენ, რაც იმ პერიოდში უფრო თეორიული უზენაესობის კონსტატაცია იყო.

უნდა ითქვას, რომ ბიზანტიაში დიდი იყო რომთან იდენტიფიკაციის შეგნება. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რაც უფრო ეჭიდებოდა ბიზანტია რომის მემკვიდრეობას პოლიტიკურ სფეროში, მით უფრო შორდებოდა რომისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (ბერძნული ენა, ეკლესია...), ობიექტურმა ვითარებამ აუცილებელი გახდა ახალი სისტემების შექმნა, ყველაფერი მოდერნიზირებულ იქნა. საბოლოოდ სახელისა და პოლიტიკური პრეტენზიების გარდა ყოფილი რომის იმპერიისგან არაფერი დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიის იმპერია ადრეულ პერიოდში რეალურად ისევ რომის იმპერია იყო და მთელი მისი არსებობა რომაული ელემენტებით იყო განმსჭვალული. ამ პერიოდს შეგვიძლია ადრეული ბიზანტიის ან გვიანი რომის ხანა ვუწოდოთ. მესამე საუკუნეში ძველმა რომმა თანდათანობით გზა დაუთმო ახალ ბიზანტიურ ელემენტებს. ამ პროცესის დასაწყისად მიჩნეულია მესამე საუკუნის კრიზისი, აღნიშნული პერიოდის ეკონომიკური სირთულეები დამლუპველი აღმოჩნდა იმპერიის დასავლეთ ნაწილისათვის, აღმოსავლეთს კი უფრო დიდი წინააღმდეგობის უნარი აღმოაჩნდა. აქ სპეციფიურმა ეკონომიკამ და სოციალურმა სტრუქტურებმა შეარბილეს ვითარება. მართალია, აღმოსავლეთი ისე საგრძნობლად არ იტანჯებოდა მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებით, ან ქალაქური ცხოვრების ღპობით, როგორც ეს დასავლეთში იყო, მაგრამ საზოგადოდ მთელ იმპერიაში ეკონომიკური ცხოვრება და ინდუსტრია უკიდურეს საფრთხეში იყო მუშათა სიღარიბის გამო.

რღვევის პროცესმა, რომელიც კრიზისის დროს მიმდინარეობდა, პრინციპატი უკანა პლანზე გადასწია, ხოლო დიოკლეტიანეს აბსოლუტიზმის დროს ის საერთოდ ქრება. მის ადგილს ბიზანტიური არისტოკრატია იკავებს ძველი რომაული ქალაქების მუნიციპალური არისტოკრატის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. სახელმწიფოს მთელი მართვის სისტემა იმპერატორისა და ადამინისტრაციული თანამდებობის პირობა ხელში აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად ეს

პირნი გახდნენ ბიზანტიის არისტოკრატის ბირთვი. რომაული მაგისტრატების სისტემამ ადგილი დაუთმო ბიზანტიურ ბიუროკრატიას.

ბიზანტიის იმპერატორთა აბსოლუტიზმი და მათი მისწრაფებანი ძირეულად იყო დაკავშირებული ელინისტურ და რომაულ სამყაროსთან. ბიზანტიური ცივილიზაცია ანტიკურ სამყაროს დაეფუძნა და მისგან ბევრი რამ შეითვისა. ჩრდილო-აღმოსავლეთის სამყაროში, ისე ბიზანტიაში სხვადასხვა კულტურული ტენდენციები იყო შერწყმული. ორივე სამყარო, განსაკუთრებით ბიზანტია, გარკვეულწილად ეპიგონისტური და ეკლექტური ხასიათისა იყო. ორივე ცხოვრობდა შემოქმედებითი მეტკვიდრეობით. მათი საკუთარი პროდუქცია არ იყო ისე ორიგინალური, როგორც ბუნებრივი სინთეზის შედეგად მიღებული იქნებოდა. მიდრეკილება კომპილაციისაკენ გამოწვეული იყო რეალური ინტელექტუალური უნაყოფობით. იმიტაცია ვერ სწვდებოდა საგნის მნიშვნელობას, შიშველი პირობითი მჭევრმეტყველება მოკლებული იყო ფორმათა ორიგინალურ მშვენებას, თუმცა მეორეს მხრივ, დიდად ვაღდებულნი უნდა ვიყოთ ბიზანტიისა კლასიკური სტილის შენარჩუნებისთვის და იმ ყურადღებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს რომაული სამართლისა და ბერძნული კულტურისადმი. ორი დიდი ბრწყინვალეობა და ანტიპოდი ძველი მსოფლიოსი — რომი და საბერძნეთი შეერწყა ერთმანეთს ბიზანტიაში. რომაულმა სახელმწიფომ, ბერძნულმა ცივილიზაციამ და ქრისტიანობამ შესაძლებელი გახადა განვითარების ახალი გზა.

რომაული სამართალი და ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება იყო ერთის მხრივ. ბიზანტიის სახელმწიფო სისტემის გარესამყაროსთან ურთიერთობის, ზოლო მეორეს მხრივ. მისი ინტელექტუალური ცხოვრების ამოსავალი წერტილი. შეუდრეკელი ლტოლვა კლასიკური განვითარებისაკენ იყო ცალკე წყარო ბიზანტიის ძლიერებისა. ბერძნულ ტრადიციებზე ამოზრდილმა ბიზანტიამ, როგორც კულტურულ-ინტელექტუალურად ყველაზე უფრო განვითარებულმა სახელმწიფომ, ათასი წელი იარსება, ზოლო სახელმწიფო მოწყობის რომაულმა კონცეფციამ მას შუა საუკუნეების ისტორიაში წარმმართველი როლი მიანიჭა.

ინგლისურიდან თარგმნა და პუბლიკაცია მოამზადა  
 თსუ ისტორიის ფაკულტეტის  
 IV კურსის სტუდენტმა  
**მარიამ თოიძემ.**





შკათათვეში 60 წლის ხდება 26 წლის გურამ რეულიშვილი...

„60 წლის გურამ რეულიშვილი“ საოცრად გვეხამუშება ეს ფრაზა. ხელოვნური და ფორმალური თხაც/ხელოვნურია, რადგან გურამ რეულიშვილი მწიქნულად შევიდა მარადისობაში და ოცდაექვსისააზრებ-დაქმნა...

გურამის ხანმოკლე, მაგრამ ლეგენდადქცეული ცხოვრება და მისი თვითნაბადი, ლამაზი, მართალი შემოქმედება ცხოველ ინტერესს იწვევდა მრავალი თაობის ახალგაზრდობაში. არც ჩვენი თაობაა გამონაკლისი...

რა ადგილი ეკავა საქართველოს ისტორიის გურამ რეულიშვილის ცხოვრებაში, რა გრანობამ შექმნა უსახელო უფლისციხელის ლეგენდა, რა დალი დაასეა ჩვენი ქვეყნის წარსულმა ახალგაზრდა შემოქმედის ნათქვამ-ნააზრებს ყოველივე

ამის შესახებ მოგვითხრობს ეს მცირე ნარკვევი, რომელიც გურამის უახლოესმა მეგობარმა, მწერალმა ნუგზარ წირიკიძემ მოამზადა ჩვენი ჟურნალისათვის.

ჩვენი ძირივ, გვსურს დიდი მადლობა მოეხსენოთ ბ-ნ ნუგზარს გულისხმიერებისათვის, ქართულ მკითხველს კი დაგვირდეთ, რომ ვეცდებით, ჟურნალის პროფილიდან გამომდინარე, კვლავაც მოვაშალოთ მასალები ახალგაზრდა შემოქმედზე, რომელიც 4 ივლისს სამოცი წლისა შესრულდებოდა, რომ არა ახვირთებული, გაშმაგებული, ტალახისფერი ტალღები გაგრის ზღვისა...

## ისტორიის სიყვარულით შთაბონებული



საქართველოს ისტორია გურამ რეულიშვილისათვის დიდი და საოცნებო სამყარო იყო. ამას შინაური ატმოსფეროც უწყობდა ხელს. გურამი იზრდებოდა იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი, მისი უსაყვარლესი ბებოს უფროსი ძმა.

ჯერ კიდევ სკოლის წლებიდანვე გურამ რეულიშვილს გული საქართველოს ისტორიისა და მშობლიური კულტურის შესწავლისაკენ მიუწევდა, გატაცებით კითხულობდა ისტორიულ ლიტერატურას, ინიშნავდა, აკეთებდა ამონაწერებს, რვეულები საინტერესო ფაქტებით აჭონდა სავსე.

ჭაბუკობის წლებში იგი აღმოსავლეთის ისტორიამაც გაიტაცა, რადგან მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლას

აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში უფრო ღრმა და სრულყოფილი სახე ექნებოდა. ამ სიყვარულისა და სამომავლო იმედების გამო შევიდა კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე

აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიით გატაცებამ გურამს ძალე გაუარა. რადგან შინაგანად დარწმუნდა, რომ მისთვის უმთავრესი მშობლიური ქვეყნის ისტორია იყო. სწორედ ეს გახდა მესამე კურსიდან ისტორიის ფაკულტეტზე გადასვლის მიზეზი.

ქართული ლიტერატურის სიხლბორცეულ სიყვარულთან ერთად გურამი ისტორიისაც გატაცებით ეწაფებოდა, უკვე სერიოზულად მუშაობდა საჯარო ბიბლიოთეკასა და არქივებში, კარგად მახსოვს ნამდვილად მაღალ დონეზე შესრულებული

მისი საკურსო თემები, რაც შეეხებოდა უძველეს ქართულ ქალაქებსა და მათზე გამავალ სავაჭრო გზებს, შუა საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს, ელინისტურ ხანაში დასახლებების წარმოშობას.

გურამისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნებში ვწერდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ისტორიის კუთვნილებად ქცეული ეს სტუდენტური რეფერატები იქნებ როგორმე იქნეს მოძიებული უნივერსიტეტის არქივში. თუკი ეს მოხერხდება, დარწმუნებული ვარ, გურამ რჩეულიშვილის ადრეული შემოქმედების კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაიშლება.

ისტორიკოსებთან შეხვედრის დროს ყველაზე მეტად საქართველოს ისტორიაზე უყვარდა საუბარი, მსჯელობდა წაკითხულისა თუ არქივებში მოპოვებულის შესახებ, საკუთარ აზრებს სხვის აზრთან აჯერებდა, ცდილობდა დაეზუსტებინა ესა თუ ის ფაქტი, რათა დამატებითი წყაროების მოძიებისათვის ეზრუნა.

ამ მიზნით უფროს, სახელმძღვანელო მეგობრებსა თუ კოლეგებსაც მიმართავდა ხოლმე, გახსაკუთრებით თავის პედაგოგებს, ვისიც სწამდა და სჯეროდა ხშირად მინახავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან, საქართველოს ისტორიის აღიარებულ სპეციალისტებთან შოთა მესხიასთან, დავით გვირგვინიშვილთან, ოთარ ჯაფარიძესთან და სხვებთან საქმიანი საუბრით გართული.

უყვარდა ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობა თავის თანატოლებთან ან თუნდაც უმცროს კურსელებთან, ვინც ნიჭიერებით გამოირჩეოდა და ვინც ამა თუ იმ ისტორიულ პრობლემაზე სერიოზულ მომუშავედ მიაჩნდა. დღითიდღე უდრმავედებოდა საქართველოს უმდიდრეს ისტორიას, რამაც ნათლად იჩინა თავი მის მდიდარ და თვითმყოფად შემოქმედებაში.

გავიხსენოთ ერთი ადგილი 1956 წელს დაწერილი მისი ნოველიდან



„პროფესორი ლევან ჯახდიერი: „ოცი წლის იყო, როდესაც ისტორიაზე სერიოზულად დაიწყო მუშაობა. იმ დროს კარგად ცურავდა. მოაგონდა ბოლო შეჯიბრი, რომელშიაც მეორე ადგილი აიღო. სწორედ მაშინ აჩუქეს თოფი, რამდენს ნადირობდა მაშინ, მეცნიერებამ მაინც თავისი გაიტანა“.

ახლა გავიხსენოთ შესავალი ნაწილი ისტორიულ თემაზე დაწერილი მისი უბრაწყინვალესი ნოველიდან „უსახელო უფლისციხელი“, რაც ოცდაორი წლის ბიჭის დიდმა ტალანტმა შექმნა:

„რამდენიმე ხნის წინათ გადავწყვიტე დამეწერა ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი უფლისციხეზე. ეს არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა: არ ვიცოდი რა შექნა. რაღაც დაიბადა იდეასავით და მოკვდა. მთელი კვირა ვიარე უქმად. დრო კი გადიოდა. გადავწყვიტე უფრო ღრმად შეემსწავლა უფლისციხის ისტორია. პირველადვე წყაროების სიმცირე და მშრალი ფაქტები მომხვდა თვალში, მაგრამ აღარ დამიხვეია უკან. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომლებიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს; სადღაც აესხა მძივი. შევადგინე კონსპექტი: უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე.

ახლა საღამოა.



ვზივარ შინ და ვკითხულობ კონსპექტს; ის სულ უფრო მითრევს; რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში!

პირველ რიგში დაუუკვირდეთ ამ გამოთქმას, რაც ახალგაზრდა მწერლის მიერ საკუთარი ნაწარმოების უანრის ასახსნელად არის ჩაზმარი:

„ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი... ნარკვევი საერთოდ აღიარებულია როგორც მხატვრული ლიტერატურის ფორმა. ამ სფეროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი კარგი მხატვრული ნარკვევი ისეთივე ლიტერატურაა, როგორც ნოველა ან მოთხრობა.

ეს რა თქმა უნდა კარგად იცოდა გურამ რჩეულიძემ, მაგრამ მისი მიზანი იყო თავიდანვე დაენახებინა მკითხველისათვის, რომ მისი ნაწარმოები ისტორიულ თემაზეა შექმნილი, რომ აქ დომინირებს მხატვრულად ამბეჭედილი ისტორია.

„უსახელო უფლისციხელი“ მართლაც ასეთი ნაწარმოებია.

ნიჭიერი მწერლის მიერ აქ უწყვეტი ჯაჭვია გაბმული შორეულ წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ისტორიის კუთ-

ვნილებად ქცეულ ამბებსა და დღევანდელ რეალობას შორის. აქ წარსული და აწმყო ისტორიულად ერწყმის ერთმანეთს, რის შედეგადაც საოქმელოც უფრო ძლიერად და შთამბეჭდავად გამოიყურება.

გურამ რჩეულიძემ მაღალმხატვრულად უდასტურებდა მკითხველს, რომ საქართველო გულმოდგინე დაულაღაშმა შრომამ გადაარჩინა. განუწყვეტელი ბრძოლის გვერდით შრომა და შენება იყო ქვეყნის გამძლეობის დუღაბი. ამ ბრძოლითა და შრომით მოვიდა საქართველო დღემდე ამ ბრძოლამ და შრომამ შექმნა გმარული ისტორია, რისი მსგავსიც თითუბზე ჩამოსათვლელ ქვეყნებს თუ ექნებათ მთელ სამყაროში.

უფლისციხეში მარტოღმარტო მყოფი და ერის უდიდესი ისტორიის ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთში ჩაღრმავებული გურამი თავადაც ისტორიის მემატიანის ხედვით აღწერდა დღევანდელობას, რასაც ისტორიის გაუხუხარი დამდა ეკრა და ჩამრძომ-ნაჯაფარი ხალხის უკვდავებით სუნთქავდა.

ჩვენი აზრის საილუსტრაციოდ მოზრდილი ნაწყვეტის მოტანა მოგვიწევს.



„ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შემდეგ ისევ რიგია სახლებისა - ერთ პატარა ადგილსაც ვერ ნახავთ და უსახლებელ-დაუშუშავებელს - ხოვლეს ბოლოზე უბველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახვრელში ჩამოვდივარ. აქ ქვაში სამოსახლო ხვრელებია, იმიტომ ქვია ქვახვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ჩაპირიდან უფლისციხე იყურება გამოთხრილი თვალებით. ცხელა მტკვრის ჩაპირას ვეჯდები. ვისვენებ. ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლებს აშენებენ. დავიღალე. ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის დიდი ისტორიისა. ვცდილობ ადარ ვიფიქრო. ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხი“.

სწორედ ეს მუხლჩაუხრელი შრომა, მამულის კეთილდღეობისათვის დღენიადაგ ზრუნვა, ისტორიასთან უწყვეტი კავშირი და ამ საფუძველზე ახლის შენება გურამს მიაჩნდა როგორც თავის პირად, ასევე ყველა ნამდვილი პატრიოტი ქართველის უმთავრეს დანიშნულებად.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მან მართლაც მამულიშვილური მოწოდება დაგვიტოვა. როდესაც თავის შესანიშნავ „ალავერდობაში“ ყველას გასაგონად განაცხადა: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში“.

გურამ რჩეულიშვილს შინაგანად აფორიაქებდა ისტორიის ზოგიერთი არასწორი თუ მიკერძოებული მოვლენა. მას სამართლიანად არ მიაჩნდა ის გარემოება, რომ საქართველოს რთულსა და ტრაგიკულ ისტორიაში მუდმივად წინა პლანზე იდგნენ მეფეები, მთავრები და ფეოდალები. იგივე

უსახებლო უფლისციხეში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „... რამდენიმე მთავრის თუ მეფის სახელი და მორჩა! საინტერესოა, რატომ ამ შემორჩა ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირის...“

ასეთივე გულდასაწყვეტად ხდებოდა მტერზე გამატირებელი უფლისციხეში. ხალხი, მშობლიური კუთხე ენა-მოკვეთილმა მტრის მთავარსარდლის მზარეულმა, წარმოშობით უბრალო ქართველმა გლეხმა გადაარჩინა გმირს ეფერებიან, მადლობას უხდიან, ტახტზეც კი სვამენ. ის კი უენოა და ვინაობას ვერ ასახელებს, უსწავლელი თავის გვარსა და სახელსაც კი ვერ წერს.

... და გვერდზე საკანში ღვთისმოსავი კაცი, უფლის მონა ფურცლავს მათიანეს და წერს დიდი ასოებით: „უამსა ამასა და ამასა, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა გამეხმა სძლია მტერსა და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“.

ისტორიული სამართლიანობის მოყვარულ გურამ რჩეულიშვილს ეჩვენება, რომ იცის ამ უბრალო ქართველი კაცის, გმირის სახელი, „ალბათ ვაჟა ერქვა, ან უბრალოდ წყალობა, ან მახარე, ან ქიტესა“.

ჩვენს წარმოდგენაშიც ეს დიდებული უენო გმირი ფართოდ განზოგადებულ სახეს იძენს და დიდ ისტორიულ პიროვნებათა გაღერვას ემატება.

გურამ რჩეულიშვილს საქართველოს უძველესი და უმდიდრესი ისტორიის არა მხოლოდ საზეიმო, არამედ სავალალო და შეჭირვებული წლების ამა თუ იმ კუთხით დანახული ვითარებაც აინტერესებდა. იგი კარგად ხედავდა წარსულში მშობლიური ქვეყნის არეულობის, დაშლილობის, დაქუცმაცების ნიშნებს, რაც შინა-აშლილობისა და ბევრი ქართველის ამპარტავნულ-ამბიციური ბუნებისაგან გამომდინარეობდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნაკლებად ცნობილი ნოველა, სათაურად „მუზეუმის დირექტორი“ რომ



ეწოდა. ეს ჩოველა დაწერიდას მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა 1984 წელს გამოცემულ ერთტომეულში „სად გაექცევი ზამთრის ღამეს“.

გავიხსენოთ ერთი მოზრდილი ნაწევრები, რომელიც გარკვეულწილად გართულებულ დღევანდელობასაც ესმიახება და კიდევ ერთხელ იწვევს ჩვენს მწარე დაფიქრებას.

სულ დახაწვევრდა და აღზრდა გარე მტერთა თარეშისაგან და გამუდმებული შინაფეოდალური ომებისაგან ისედაც მრავალტანჯული საქართველო. მოიშალა ცენტრალური მტკიცე მმართველობა, დაირღვა ტადართა თუ ციხეგალავანთა მშენებლობის მაღალმხატვრული სტილი; თავისებური ნაყოფი გამოიღო ამ გარემოებამ: განვითარდა ცალკეული საერისთავოები ქართლ-კახეთსა თუ შორეულ მთებში, შეიქმნა მმართველობის ვერაგი, მოშულდენი ინდივიდუალური სისტემები, ინდივიდუალური მშენებლობა-დასაყრდენი

შესაფერი წესწყობილებისა.

ამ პერიოდში პირადი პატივმოყვარეობით შეპყრობილი ფეოდალები არავითარ ზომას არ იმუშრებენ მეფის თუ მეზობელი სამთავროებს ხფრებად. უგზავნიან მოსყიდულ მკვლქსებს კრომანეთს, ასმენენ ყაენთან, მოტყუებით მოპატიუებულ მეზობლებს დვინით ათრობენ და ისე ხოცავენ, თვალებს თხრიან, ასახინრებენ. ძმა ძმას არ ინდობს. საკუთარ ძამას აგლებს გამძვინვარებული მებატონე ციხის თავიდან. ყველგან და ყველაფერს ცდილობს დააწეროს თავისი უღირსი სახელი და ამით უკვდავყოს თავისი „საქმეები“.

გურამ რჩეულიშვილს საქართველოს უდიდესი ისტორია წარსულის შესაცხობად და დღევანდელი დღის უკეთ შეცნობისათვის სჭირდებოდა. ისტორია მისთვის იყო უწმინდესი სამყარო, სადაც ერის ცხოვრების ჩაოულ თუ სამწუსარო ფაქტებს ეძებდა, პოულობდა და მხატვრულად ბორცშესხმულს ამზეურებდა. სწორედ საქართველოს ისტორიამ შთააგონა ახალგაზრდა მწერალს მრავალი ნაწარმოები, რითაც ჩვენ დღეს ვამაყობთ და რომელთა კითხვითაც დიდ სულიერ სიამოვნებას ვიღებთ.

უახლოეს წლებში, როდესაც განხორციელდება გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების ხუთტომეულის აკადემიური გამოცემა, მკითხველი კიდევ უფრო ჩაოლად დაინახავს, თუ როგორ უყვარდა მას საქართველოს უმდიდრესი და უროულესი ისტორია, რაც ყოველთვის იყო ქართული მწერლობის მყარი საფუძველი. ამ მხრივ გურამ რჩეულიშვილი ამდიდრებდა თანამედროვე ქართული თუ კლასიკური მწერლობის შესახიშნავ ტრადიციებს.

#### ნუგზარ ვარაძე

გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების პრეზიდენტი;

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

# სიტყვა

თქმული სვეტიცხოვლის ტაძარში მიტროპოლიტ ლეონიდეს მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წლისთავზე, 1918 წლის 12 (25) მარტს

სინოდიკალი



1917 წლის 12 (25) მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა ამის შესახებ, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ამჯერად მკითხველს გვსურს გავაცნოთ ერთი საინტერესო დეტალი — თბილისი მიტროპოლიტის ლეონიდეს (ერუსალიმობაში ლინგინომ თქროპირიძე, კათოლიკოს-მაგრაბრეჯი კირიონ II-ის შემდგომ, 1918-1921 წლებში) ქადაგება მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ავტოკეფალიის აღდგენის წლისთავთან დაკავშირებულ საშვიშო წარვამზე. 76 წელი გავიდა ამ ქადაგებიდან, არადა როგორც უნდა იყო ჩვენს დღევანდელ ყოფას, მე-20 საუკუნის დასაწყისში იგივე საგკიეარო და საბრძანებო პირობათ, რაც საუკუნის მიწურულს ქართველობას გვაქვს, ისეა მდგომარეობა, თუმცა სიღრმე, მაგრამ იქნებ ისტორია კი არა, არამედ მნიშვნელოვანი მდგომარეობა განმეორებადი და აქედან გამომდინარე, აღენგურნა იმ პრობლემებზე, მნიშვნელოვანი გადაგვარების გამო რომ გვატყდება იმის ვიფიქროსო ამაშენ...

მასალა ქურთალოსათვის მოგვამოდა სტეფანოს მთეფანელთა კლუბის წევრმა, თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლემ ლევან ჩხვიძემ.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. აღამიანთა საბედნიეროთ არსებობს საღმთო და ძვირფასი სიტყვა — თავისუფლება, რომლის მარტო გაგონება სიხარულის ფრთებს ასხავს და საამო ოცნებათა ფიანდახად ეფინება გაგებული კაცის სულსა და გონებას. დედამიწა არ იძლევა მეორე ღირებულებას, მეორე ისეთ საუნჯეს, რომ გვერდით ამოუდგეს, დაედაროს და შეეფარდოს თავისი მნიშვნელობით თავისუფლებას. ძვირფასია მაგალითად, სწავლა-განათლება, დიდი ბედნიერებაა ჯანსაღობა-დღეგრძელობა, საგრძნობელი სიკეთეა სიმდიდრე, მაგრამ თუ კაცი მოკლებულია თავისუფლებას, თუ მისი არსებობა დაფუძნებული არ არის თავისუფლების საღმთო ნიჭზე, უქმი, გამოუსადეგარი და ყოველგვარ

მნიშვნელობა ღირსებას მოკლებულია მისთვის სწავლაც, სიმდიდრეც და ჯანსაღობა-დღეგრძელობაც.

„შევქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“-ო, ბრძანა ღმერთმა კაცის შექმნის წინ და აი სწორედ ეს ღვთისადმი მსგავსება და ხატებაა ის თავისუფლება, რომლითაც კაცი კაცობს, ის მაღლივი უფლებიანი ადამიანს განაცდევინებს ქვეყანაზე მეფობას, აზიარებს მსგავსებას და მიაფენს განუსაზღვრელი წინსვლის, გონება-ზნეობრივი განვითარების სისრულისაკენ.

ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია, რომ კაცის გულსა და გონებას ასე ძალუძად სწყურია თავისუფლება და იმ ნათელ წამს, როდესაც იგი ხელთ გდებულობს ამქვეყნიურ საუნჯეთა შორის უძვირფასეს საღირაღს, უბრწყინვალეს და უსაღთოეს დღესასწაულად ისახავს თავისთვის და თავისი მოდგმა-ჩამომავლობისათვის.

წელიწადი შესრულდა, ძვირფასხო, რომ სამშობლო ეკლესიის თავისუფლებას ვეზიარებით. წელიწადი გავიდა, რაც ამ დიდებული ტაძრის თაღების ქვეშ პირველად ჩავისუნთქეთ თავისუფალი ეკლესიის ჰაერი. შარშან ამ დროს იყო, რომ მორწმუნე ქართველობა, საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოზღვაკებული ამ მამა პაპათა თავმოსაწონი სამლოცველოს ფართო გალავანში, მხიარულებით აფრიალებდა თავისუფლების სანატრულ დროშას. შარშან ამ დროს იყო, რომ ქართველმა სამღვდელოებამ პირველად შესწირა ამ ტაძარში სამშობლოსა და ერისათვის უსისხლო მხვერპლი რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლად!

რა მოგვიტანა, რა შეგვძინა, რა გვაპოვნინა ახალი ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ, იკითხავს ვინმე თქვენთაგანი.

...თუ წარსული წლის მარტის თორმეტამდე უცხოთა ძალადობითი ბრძანებლობის გამო ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში თითქმის არავითარი უფლებრივი ალაგი არ ჰქონდა დათმობილი ეკლესიის სხეულის უდიდეს და უძლიერეს ნაწილს — ერს, თუ მრევლს ეკლესიის მეუფროსენი შესცქეროდნენ ისე, როგორც მარტო საკრეჭ ფარას და არაფერს ეკითხებოდნენ მას გარდა ხარჯების გაწევისა, ნაჩვენები დროიდან ძირი გამოეთხარა და ბოლო მოედო ასეთ უკუღმართობას და ეკლესიის მართვა-გამგებლობაში მთავარი ალაგი დაეომო ერის სურვილს, ერის ნებისყოფას. აქ, სვეტიცხოველში, წარსული წლის მარტის თორმეტს იმას დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა, რომ ამ დღიდან იგი დადგინდა და გამოცხადდა ეროვნული ეკლესიის სრულუფლებიან პატრონ-ბატონად და მის დაუკითხავად შეუძლებელი გახდა ეკლესიის ცხოვრებაში რაიმე ცვლილებისა და ბრძანების გატარება. აი, რა შესძინა და რა აპოვნინა ახალი ჩვენი ერს მშობლიური ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ! დიდია ასეთი შეძენა და თავისი ვითარებით იგი უდრის ფრინველის კვერცხის ბეჭედს, რომელიც უცდომელი ნიშანია თავის დროზე კვერცხიდან ხალი ცოცხალი არსების გამოჩეკისა.

რა შედეგები მოჰყვა ცხოვრებაში ამ შეძენასო, რითი გააუკეთესა მან ჩვენი მოქალაქეობაო, იკითხავს ვინმე.

ჩემდა სავალალოდ ჩემდა სამწუხაროდ და ჩემდა გულის დასაწყვეტად, უნდა გამოვიტყდეთ, რომ ვერაფერ სანუგეშოს ვერ ვპოვებ საოქმელად დასძულ კითხვებზე საპასუხოდ. ეკლესიის განთავისუფლებიდან არამც თუ არ ამადლებულა და არ გაუმჯობესებულა ჩვენი მოქალაქეობა პრიქით, ამ დიდებული ისტორიული ფაქტის შემდეგ ისეთ ბოროტ მოვლენათა მქონდათ ალაგი, რომლებიც ამოურეცხელ ლაქად დარჩნენ ჩვენი ხნობის მატეანეში. ასეთია, სხვათა შორის, ის უღვთო აწიოკება, ის გასუკითხავი მარცვა-რბევა, უმანკო ბავშვების, ჭალარამოსილი მანდილოსნებისა და მამაკაცების ის შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ჯერაც არ შეჩერებულა გორის მაზრაში და რომელიც საშიშარი ცეცხლის ენასავით ამოხეთქავს ხოლმე ხან კახეთში, ხან ღუშეთის მაზრაში და ხან იმერეთში. ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი საბრადო სამშობლო მოძმეთაგან დახოცილ ქართველთა სისხლის ტბადაა ქცეული და ყველანი მოძმეთა სისხლის გუბებში დავტოპავთ! სად არის აქ ქრისტიანობა, სად არის თავისუფლება, შეგნება და გონიერება, ან ღვთის მსგავსება და ხატება კაცთა შორის? არა, ზეიმი და დღესასწაული კი არა, უფრო შესაფერი და მართებული იქნებოდა, რომ დიდსა და პატარას ფერფლი და ჩაცარი გადაგვებნია თავზე და ძაძაშემოსილებს, ნიშნად ღრმა მწუხარებისა მოძმეთა ამოჟლეტის გამო, საქვეყნო გლოვა-ტირილი გაგვემართა ამ ჩვენი ერის ჭირისა და ლხინის ჭალარა მოწამის სამლოცველოს ეზოში.

მაგრამ რა ვიცით, საყვარელხო, რომ აქ მოსულებს სწორედ ერთი ვრძნობები არ მოუტანიათ გულით ამ ღვთივბრწყინვალე სვეტიცხოვლის წინ ფარულად განსაცხადებლად? ვინ დაგვაჯერებს, რომ აქ მოსულ ქუდოსან-მანდილოსნებში ზოგიერთი მწარე ცრემლების ღვრით აღთქმას არ სდებს სვეტიცხოვლის ქვეშ დამარხულ საუფლო კვართის წინ იმაზე, რომ დღეიდან მათი არსებობის საგნად გახდება მხოლოდ მოყვასისადმი თავდადებული სამსახური. ვინ დაგვარწმუნებს, რომ სვეტიცხოვლის წინ მდგომ მლოცველთა სიმრავლისაგან ოცი-ოცდაათი კაცის გულს მაინც არ ეცხობა ამ წამს საღმთო მირონი დღეიდან ღვთის სათნო და მოძმეთა სასიკეთო ცხოვრების კვალზე დადგომისა და ეს ხომ სრულებით საკმარისია ჩვენთვის, ეს ხომ მართლა სადღესასწაულო და სასიხარულოა ყველასთვის, ეს ხომ ხელახლა მოგვიბრუნებს ზეციერი მამის მოწყალე გულს, ეს ხომ უტყუარი ნიშანია იმისა, რომ გაის ამ დროს მოძმეთა მოსიყვარულების რიცხვი გაორკეცდება ჩვენს შორის, მესამე წელს გაათკეცდება და ასე ამგვარად მარად წინ ვივლით ზნეობრივ განვითარებაში, სანამ არ მივალწევთ ყველანი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა.

უცბად და შებერვით არა რიგდება-რა. ღმერთი ღმერთია, მაგრამ ქვეყნის შექმნას იმანაც ექვსი დღე მოაჩნდობა. ას ჩვიდმეტი წლის მანძილზე დღე და ღამ განუწყვეტლად გვთიშავდა, გვდუღრავდა, ძვლებს გვიდნობდა, გვფიჩხავდა, გვძრავდა და გვყინავდა ჩრდილოეთის ქვის მტეხი ზამთარი და რა საფიქრებელია, რომ ერთი წლის გაზაფხულის მზის ნაზ სხივებს გაელღვოთ და გაედნოთ სრულებით ის წარმოუდგენელი სისქის ყინული,

რომლითაც შებორკილ-გადაგრეხილია მოელი ჩვენი სულიერი არსება.

ყველას გინახავთ, რა უმწეოდ და უაზროდ აწყდება ხოლმე მიდამოს გაზაფხულის პირზე მზის პირველი სხივებით სკიდან გამოტყუებული, სიცვიისაგან მობუზული ფუტკარი, მაგრამ გადის დრო, დგება ზაფხული და მადლიანი ღვთის მუშაკიც დლითიღე ფრთებს შლის, დაჩიერდება, სიცოცხლის ძალით ივსება და ბოლოს ჯარასავით ტრფილადსიყვილებით დაფენილ ველ-მინდვრებში სკაში წასაღები თაფლის ამოსაწუნად.


რაკი წარსული წლის მარტის თორმეტიდან აღგვეძრა თავისუფლების სიყვარული, ჩვენთვისაც ყოველივე მიზეზს გარეშე დადგება სანატრელი ზაფხული, ჩვენც აუცილებლად გავაჩაღებთ შემოქმედებით მუშაობას, მომავალ წლებში აქ მოსულები ჩვენც გაღონიერებული ფუტკრებით ზნეობრივად დატვირთულები ვიქნებით თაფლისა და ცვილის მსგავსი ძვირფასი, საამო, სასარგებლო და სასახელო საქმეებით, გრძნობებით, მიმართულებებით და სულის განწყობილებით.

ახლა კი ამ ჩვენი ეროვნული შარავანდედისა და სიამაყის სათაყვანებელი ერეკლეს კუბოს წინ ფიცი დავდოთ, რადგანაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს გარეშე მტრები მოსდგომიან კარზე და აკლებადამონებით ემუქრებიან. ლუკმას პირიდან გამოვიცლით, უკანასკნელ პერანგს გავყიდით, სულიდან დაწყებული ხმარებისგან გაცვეთილ ცოცხამდე ყველაფერს სამშობლოს სამსხვერპლოზე დავდებთ და ქალი და კაცი, ხნიერი და ახალგაზრდა, ჯანსაღი და უძლური დედასამშობლოს წინაშე იმითი გამოვისყიდით სამოქალაქო ბრძოლის წარმოებით ჩადენილ შეცოდებას, რომ მტლედ დავედებით, სამსხვერპლო ფთილებად შევეწირებით მას და ისე გულადად შევებრძოლებით სამშობლოს დასამონებლად გამზადებულ მტრის რაზმებს, როგორც ერეკლეს დროის სასახელო ასპინძის ომის ქართველი გმირები! დედაო ღვთისაო, გვისმინე და გაგვიმარჯვე.

**ამინ!**



სიძველევები, ანტიკვარული ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების შეგროვება — ზოგისთვის ეს ფუფუნებაა, ზოგისთვის უბრალოდ „კოლექციონერობა“, „შემგროვებლობა“, ზოგი აქვს უცნაურ გატაცებას უწოდებს... პაპუნა წერეთლისთვის კი ეს მთელი სამყარო იყო...



პაპუნა (პაპლე) ალექსანდრეს ძე წერეთელი (1904-1982) სოფ. საჩხერეში დაიბადა. 1922 წ. თბილისის ქართული გიმნაზიის დაბოლოების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 1927-1937 წწ. მუშაობს მკონოშინტად. 1937-1945 წწ. რუსთაველის თეატრის მუზეუმის გამგეა. შემდგომში პაპუნა წერეთელი სასცენარო მოღვაწეობას ეწევა. მიწვეული იყო კონსულტანტად კინო-ფილმებს „ღვითი გუგაიშვილი“ და „აკაკის აჯანა“. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია რამდენიმე მულტიმედიაციური ფილმი. პაპუნა წერეთელი პარალელურად მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის მიერ მთარგმნილი პიესები დღესაც იღვივებ ქართული თეატრის სცენაზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პაპუნა წერეთლის, როგორც კოლექციონერის მოღვაწეობა. მის მიერ შეგროვებული უნიკალური კოლექცია ამჟამად საქართველოს მუზეუმებისა და ცენტრის მუზეუმებშია დაცული.

პაპუნა წერეთლის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით ვაძვირნებთ

მის მოგონებებს, რომელიც ამ ოცნოდე წლის წინ დაიბეჭდა მუხრან „ცისკარში“. იქნებ კოლექციონერის მოგონებათა გაცნობის შემდეგ უფრო უსრულად და რულუნებით მოვიყვრათ სიძველევებს, იქნებ სხვა თვალთ შეხედოთ თითქოსდა სულ უხეივნალო ნივთს, რომელიც სიძველით სუნთქავს, რომელსაც წინააპრთა გრავალი თაობის ხალი შეხვია, რომელშიც ვინ იცის, რა გრძობა ჩაუღიათ საუკუნეების წინათ...

„ასეთი ნივთების მოგროვებით დაწყებულ და აქამდე ვერ განმეორებულვარ. ვინ იცის ამის გამომგონებელი დაწყებულის გმიერი, მაგრამ როცა ღაპით გავიღვიძებდი და ჩემი უახანასნელი ფულით ხაყიდ ჩემი ღამაზ ნივთს დავუწყებდი თვალშირებას (მეჩა და ვინ იცის გიკავდებდი), ისეთ დიდ სიხარულს განვიცდიდი, რომ არც კი გაიანსიდებოდა, უსადილო და უხახვმო რომ ვიქნავი“.

არ შეიძლება არ დაგვაზიქროს პაპუნა წერეთლის ამ სიტყვებმა... მაშ, უფრო სათითად მოვიყვრათ სიძველევებსა და ხელოვნების ნიმუშებს...

**პაპუნა წერეთელი**

**ეპიკლე და ეპოპლე**

კოლექციონერის მოგონებები

კობი. უხლოვარ დროიდან ადამიანს, ძირითად საქმიანობასთან ერთად, გაუჩნდა სხვადასხვა იშვიათი ან ღამაზი საგნების შეგროვების სურვილი, ანდა რაიმე საქმი ეს მას გატაცებდა ექცა. პირველად ასეთი ადამიანები აღბათ ღამაზ კენჭებს, ნიჟარებს, საფოტებს აგროვებდნენ. შემდეგ კი, რაც იგი გონებრივი განვითარების მაღალ საფეხურებზე აღიოდა, გატაცებამ უფრო რთული და საინტერესო რამეები მოიცვია განათლებულმა ადამიანებმა უკვე ძველი ხელნაწერების, ხელფურების იშვიათი ნიმუშებისა და წიგნების შეგროვება დაიწვეს. ახლა კი კაცი ვერ ჩამოთვლის რას არ აგროვებენ, ანდა რით არ არიან გატაცებულნი. ზოგი იშვიათ წიგნებს აგროვებს (ბიბლიოფილები). ზოგი ხელფურების ნიმუშებს — მხატვრობას, კერამიკას, ტყდურობას და სხვ. ზოგი საფოტო მარკებს (ფოლატელისტები). ზოგი ძველ მონეტებს



(სუმიზმატები) ზოგი დია ბარათებს (ფილოკარტიისტები), ზოგი მხარეებიდან გამოსულ ქალაქდის ფულს (ბონისტები) და სხვადასხვა.

ამ ადამიანების წყალობით კაცობრიობას შემოინა ადამიანის ხელისა და გონებით შექმნილი საოცარი ნივთები რომელთა უმრავლესობა ახლა მუზეუმებში ინახება და მხარხარებს გულსა და გონებას აოცებს და იტაცებს. სამწუხაროდ, ეს არის მხოლოდ ნაწილი დიდი შემკვიდრებისა, დანარჩენი კი უღმობელმა დრომ და უვაცმა ადამიანებმა გაანადგურეს.

მამაჩემის პიბი იყო სოფლის მეურნეობა, მას სხვადასხვა ჯიშის ხეხილთუხარებელი და ხალხს ურიგებდა, წარმოიღვინეთ, პომიდორს მყინდა, დედაჩემის პიბი კი თუბიჭური ქართული თეატრის ეს დიდი სიყვარული, საბუნაიროდ, მისგან მეც გადმოძელო. საბუნაიროდ იმიტომ ვამბობ, რომ ამ სიყვარულმა ბევრი სიამოვნება მომანიჭა ცხოვრებაში. დედაჩემის ბაბუას დედის მხრივ — გრიგოლ წერეთელს ძალიან უყვარდა თურმე მინის და ბროლის ლამაზი ნივთები და ძველებური ჭურჭელი. სილამაზით გატაცება მის შვილიშვილსაც, დედაჩემის ბიძაშვილს ილია (დეშვილი) წერეთელსაც გამოჰყვა და ალბათ შემკვიდრებით მეც.

სამხერველი წერეთლებს უმრავლესობა შემღებულად ცხოვრობდა, თჯანები საკესე იყო ძვირფასი ხალხებით. კერცხლის ჭურჭელით, რომელსაც ქართული ლამაზი წარწერები ამშვენებდა და მათი გამკეთებლების დამლა აჯდა. ამ ოსტატებისაგან რატომღაც ერთ-ერთი დამამახსოვრდა — პატა. ალბათ იმიტომ, რომ მისი სახელს ხშირად მხედებოდა ხოლმე ჩვენ სახლშიაც იყო კერცხლის ლამაზი ნივთები: თასები, აჩარფეშები, სურები (ხოგიერთი სურა ველდაგრეხილი იყო — მას „არყარა“ ერქვა), ხალხები, მშვენიერი ქვის ბუნების თახჩებსა და თაროებზე კი თიხის ასეთივე ლამაზი ჭურჭელი ყლაგა და ეწყო. ქალებს ლამაზი სამკაულები ჰქონდათ, ზოგი წინაპრებისაგან შემკვიდრებით მიღებული, ზოგიც მწითვად მოყოლილი.

ამ ჩანაწერებით მინდა ვუამბო ახალგაზრდებს იმ სიხარულისა თუ მწუხარების თაობაზე რომელიც ამ გზაზე შემზვედრია.

### პირველი ნაპოვნო — პირველი სიხარული

სტუდენტობის დროს კალანდაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ერთი დიდი სახლის სხვენზე კიდრე ამ სხვენზე მოხედებოდი. ხეული კიბის ოთხმოციოდე საფეხური უნდა აგველო. უზარმაზარი სხვენის ერთი კუთხე ორ პაწაწინა, მტრუდის ბუდის მსგავს ოთახს ეჭირა. ერთში მე ვცხოვრობდი, მეორეში კი ყოფილი მდიდარი მემამულე ახლა კი პაპიროსებით მოვაჭრე ბინადრობდა. შემდეგ იგი გაჰქრა, არ ვიცი ნათესავებმა წაიყვანეს თუ სადმე სხვაგან გადასახლდა და ორთავე ოთახს მე დამრჩა. ახალგაზრდები ვიყავით და ამიტომ არც მე და არც ჩემს ამხანაგებს არ უჭირდათ ამ საოცარ კიბეზე დღეში რამდენჯერმე არბენ-ჩამორბენა. ჩემი მეგობრები თითქმის ყველანა მღეროდნენ, ამიტომ ჩემ პატარა ოთახებში მუდამ მზიარულება იყო და შესანიშნავი სიმღერა გაისმოდა. თუ ცოტაოდენი დვინო გექონდა და ზედ დასაყოლებელი, ხომ კარგი, თუ არადა წყლის საკესე ვედროს დავიდგამდით და უღვინოდაც ძალიან კარგ დროს ვატარებდით.

ერთ დღეს მოწვენილი ვიყავი და გადავწვიტე. სხვენი დამეთვალაიერებინა. იგი საკესე იყო სხვადასხვა ხარახურით, სახლის მობინადრეებს ბევრი ძველმანი ამოეტანათ აქ და უპატრონოდ დაეყარათ. ჩემთვის საინტერესო არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ ერთ კუთხეში ორი შუაზე გატეხილი თეფშის ნატეხი ეგდო. ნატეხები ავიღე, ოთახში შევიტანე მტვერი და სიბინძურე რომ გაკაცალე, ისინი თითქოს აციმციმდნენ და მომბიბლავეები გახდნენ. კარგად გაკრეცხე დაგაწებე და კელელზე ჩამოვკიდე. ეს პირველ ბარისხოვანი თეფშები ცნობილი ინგლისური ქარხნის კეჯკუდის ნახელავი იყო. ჩემი ოთახი თითქოს გამოიცვალა, თითქოს უფრო ლამაზი გახდა. მე ეს ძალიან მომეწონა, ჩემ ამხანაგებსაც. პოდა, ასეთი ნივთების მოგროვებით დაკავადლი და აქამდე ვერ განკურნებულვარ. ვინ იცის, ამის გამო რამდენჯერ დაკრწენილვარ მშიერი, რადგან დიდი ფულის პატრონი არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ როცა დამით გაკვირვებდები და ჩემი უკანასკნელი ფულით ნაყიდ რაიმე ლამაზ ნივთს დაკუნწებდი თვალაიერებას (მერე და ვინ იცის მერამდენედ) ისეთ დიდ სიხარულს განვიცდიდი, რომ არც კი გამახსენდებოდა, უხადილო და უკანშმო რომ ვიყავი ასეთია საოცარი ძალა ხელოვნებისა.

### მეორე სიხარული ნაპოვნო საუნახი

ეს მოხდა 1934 წელს. ერთ დღეს ჩემ ნათესავ მოხუც ქალთან მივედი. კარებში შემზვდა ტანმორჩილი, ცოცხალი, თჯანში დიდხანა, გამინაურებული მსახური ქალი, რომელიც პატარაობიდანვე მიცნობდა და მინაურულად მეკიდებოდა. მან დიასახლისთან შემეყვანა, სადღაც მიმეჩქარებოდა, ამიტომ დიდხანს ჯდომის დრო არ მქონდა. გაკვივე მათი ამბავი და უკან გამოვბრუნდი. წინა ოთახზე რომ გამოვიარე, მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ კუთხეში იდგა ძველისძველი თავახდილი სკივრი, რომელიც რაღაც წიგნებით და ქაღალდებით იყო საკესე. ეს რა

არის-მეთქი, — კეთილ მსახურ ქალს არაფერია, ძველი დაგლეჯილი წიგნებია, მეზობლის ბიჭები უნდა მოვიდნენ, ეზოში ჩაიტანონ და მენაგვეს გაატანონ. — ძაბასუხა, მე დავინტერესდი სკივრით, მივედი და მართლაც შიგ უწესრიგოდ ჩაყრილი წიგნები და რაღაც ქაღალდები დაეინახე. მაშინვე ვითხოვე ნებადართვა ისინი გამეჩქევა. თანხმობა მივიღე თუ არა, შეკუდები ამ დიდ სკივრში ჩქქვას. რა არ ეყარა შიგ: რაღაც ძველი ნაჭრები, ღუგუბები და ქალის კორსეტის ნაწილები. აქვე იყო ძველისძველი წიგნები და მათ შორის რომელიღაც ქართული ხელნაწერის არაერთი ფურცლები. ათრიოლებული ხელით სათითაოდ ამოვიღე ისინი, შევერთე და დააკურთხე. ფიქვნი კითხვა ჩემს გაოცებას საზღვარი არ აქონდა, ეს ხომ ითანე ბატონიშვილის კვლევის შედეგად დაკარგული და დიდხანაა გამოტარებული. მაშინვე შევკარდი ოთახში და მოხუცს ეკახარი, ეს ძალიან საინტერესო ძველი ქართული ხელნაწერია, ამაში მუხეუმი ფულს მოგცემი. გაეხარდა მოხუცს, დამლოცა კიდევ, მე კი გამოვქანდი და ეს ხელნაწერი საქართველოს მუხეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მივიტანე.

თავში გამიელვა აზრმა: ამ დღეს რომ არ მოვსულვითყაყი აქ და იმ ბიჭებს მოესწროთ მოსკლა, რა დიდი განძი დაიკარგებოდა.

### დაღუპული განძი

გორში ცხოვრობდა მამაჩემის ძმა სიმონი, კაცი დარბაისელი, საყვარელი და ფიზიკურად ძლიერი. ძალიან ღონიერი იყო, მაგრამ თავის ღონეს ბოროტად არასოდეს არ იყენებდა. ძველი აღზრდისა და ყაიძის კაცი იყო გვარიანება ხოლმე ბიჭებს: ქალს სიტყვა არ უნდა მისცე და თუ მისცემ უნდა შეუსრულო კიდევო. საყვარელი ხალხს კერასოდეს ნახავდი. ის კი არა, ხელს რომ აბანდა, იმ ოთახში თუ ქალები იყვნენ, მკლავებს რომ იგაპნებდა, ეტყოდა, აქით მიიხედეთო, მასთან საოცარი მსროლეული იყო. საჩხერელი გამყრელიძის ქალი აყავდა. სახელად ანეტა, ერთ ზაფხულს, მათთან რომ სტუმრად ვიყავი, ბიცილა ანეტამ მითხრა პაპუნა, შენ ტყელებურ რაღაცეებს აგროვებ, აქ გორში ესა და ეს ქალი ცხოვრობს, იმას უეჭველად ექნება ძველი რამეები, აი მიხი მისამართო, წაღო, მოძებნე. მაშინვე წამოვხტა და იმ ქალთან გავექანდი, ძალე ერთსართულიან პატარა სახლთან ვიდექი, სახლს გვერდით პატარა სამხარეული ქონდა მიშენებული. ჩემ დაკაკუნებაზე სახლიდან ტანმორჩილი, ხასიათიერი შესახედაობის ქალი გამოვიდა, რაცა გაიგო კისგან ვიყავი გამოგზავნილი, მაშინვე მინ შემიპატიუა, ეუთხარა რაზედაც ვიყავი, ძალიან შეწუხდა, ეზოში გამიყვანა და სამხარეული მანქანა, მყო, — მითხრა: — გიორგი მეტაძრის მეუღლის, დედოფალ მარიამის კარის მღვდლის ჩამომავალი კარო, აი ამ სამხარეულში მეღვა ერთი დიდი სკივრი, რომელიც დედოფლისა და ბატონიშვილების წერილებითა და სხვადასხვა ხელნაწერი წიგნებით იყო ხაკსე ამიხირდნენ მღვდურები: ეს უზარმაზარი სკივრი რომ ამ პატარა სამხარეულში გიდგას, ხელს გვიძღოს, ხეირიანად ვერ მივტრიალ-მოვტრიალებულვართ და საქმეც ვერ გაგვიკეთებია, რათ გინდა, გარეთ გაიტანე და გადააგდო. იმდენი მიჩინხეს, იმდენი, რომ ამ ერთი კვირის წინათ მართლაც გარეთ გავიტანე და ცეცხლი წაგვიკიდე. ზოგი საბუთი და წიგნი ისეთ სქელ ქაღალდზე იყო დაწერილი, რომ ძლიერ იწვოდა.

თავხარი დამეცა, მუხლით მომიკვეთა, მეგონა, გული გამისკვებოდა, გამისკვებოდა კიდევ, რომ ახალგაზრდა და ჯანმრთელი არ ყოფილიყავი, ვინ იცის, რა ფაქტადულებელი განძი დასწვა იმ უვიცმა დედაკაცმა.

### ნაგავში ნაკრები ფირისგან

მაშინ უკვე გამოცდილი კოლექციონერი ვიყავი, ნამდვილს ცუდისაგან ვარჩევდი, ფირისმანის მოტრფივალეც. მაგრამ მიხი არც ერთი სურათი არ მქონდა, არის ერთი რუსული თქმა: „На ловца и зверь бежит“. მეც სწორედ ასე მომივიდა, იმ ხანად ბელარუსის ქუჩის ბოლოში ვცხოვრობდი ერთ პატარა ოთახში, ახალგაზრდა ვიყავი, ამ ქუჩის დღეში რამდენჯერმე არბუნ-ჩამორბენა არაფრად მიმაჩნდა. ჰოდა, ერთხელ ამ ჩემ ქუჩას მივეყვებოდი, ფიქრებში ვიყავი გართული, არ შეჩქარებოდა, ნება-ნება მივდიოდი. ვხედავ, ერთი ეზოდან რუსი დედაკაცი გამოსულა, მუყაოს პატარა ნაჭერი გამოუტანია და ნაგავს იღებს, რატომღაც მიუახერდი და ეს მუყაოს ნაჭერი უცნაურად მომეჩქევა, ახლო რომ მივედი, ვხედავ, სურათისა და მერე ვისი? ფირისმანის! გული ამიტოკდა, ღამის საგულედან გადმომივარდა, ვითხოვე დედაკაცს, ეს მუყაოს ნაგლეჯი მომიდევ-მეთქი, რას ბრძანებთო, — მითხრა, ეს რა მოსაყიდა, წაიღეთ, მხოლოდ ასე ვერ მოგცემი, მეტიმეტად ჭეუჭეიანია, უნდა გაკრეც ხოთ, შეშემსნდა: ამ დედაკაცმა მართლა წყალს არ შეუშვიროს და არ დაღუპოს-მეთქი. დიდხანს ვიდაკევი, ბოლოს ჩემმა თხოვნამ გასჭრა, დედაკაცმა მხოლოდ კაბის კალთა გადაუხევა სურათს და გამომიწოდა, თან სიბრაღელით მომწერებოდა, აღბათ ფიქრობდა: ნეტა ეს კაცი რამ გააგიფა, რომ ასე ეცა ამ მუყაოს ნაგლეჯსათ, სურათი სახლში მოვიტანე, კარგად გავეწმინდე ზედ „ერუხწიწილას“ სიუჟეტი აღმოჩნდა, თანაც ავტორის მიერ ხელმოწერილი და ჩემი პატარა ოთახის კედლის უპირველეს ადგილას დავეკიდე.

## სომეხი მწიგნობარი და „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი

ერთხელ პაულე ინგოროვამ მოხოვა: პაპუნა, იქნებ ლექსებში წახვიდე გაიარ-გამოიარო და რაიმე ძველი ხელნაწერები და საბუთები აპოყნო და ჩამოიტანო. საამოვნებო დაკითხვის (კოტაილის ფული (2000 მან. მაშინდელი ფულით) მომცეს და წავიდა. სპაიოგორში წიმი მუგობრას მაქს გელოვიანის დედა ცხოვრობდა და იმასთან მივიდა. ძალიან კარგად მიმიღეს, დიდი დახმარებაც გამიწიეს მრავალი საბუთი და რამდენიმე ხელნაწერი ვიპოვე და წამოვიყვანი. თბილისში მომავალმა ვიფიქრე, მოდი, საჩხერეში გავივლი, ჩემ დედ-მამას ვნახავ და გაეხარებოდათ ჩემი მოქაქეცა. რას წარმოვიდგენდი, რომ დედ-მამის ნახვის სიხარულის გარდა კიდევ ერთი დიდი სიხარული მქონდა.

ერთ საღამოს მამა გვიან დაბრუნდა შინ, ბნელდებოდა, გარეთ წვიმდა, ციოდა, შემოსვლისთანავე მითხრა: ეს არის ახლა გიორქას დუქანში ვიყავი (გიორქა იყო დაყალი, რომელსაც ხილსა და საბაკალეო საქონელს ყიდდა). ერთ-ერთი წერეთლის ქერივისაგან ძველი ხელნაწერები უყიდა და გადმოუტანა. წადი, ნახე, იქნებ რაიმე საინტერესო იყოს. როგორც ვთქვი, ბნელდა, წვიმდა, ვიფიქრე, ახლა ვას მივა გიორქასთან და იმ ხელნაწერებს ვინ დაუწევს ქექვას-მეთქი და არ წავიდა. გათენდა თუ არა, მაშინვე გიორქას დუქანში გავქანდი. გიორქამ საამოვნებით გადმომიღაგა ორიოდვე მცირე ხარისხიანი ხელნაწერი, რომელიც, რა თქმა უნდა, მაშინვე შევიძინე.

– მეტი არაფერია? – ვკითხე გიორქას.

– არაფერია, მხოლოდ ერთი დიდი წიგნი იყო ის წუხელ ამა და ამ მეჩქემებ შეიძინა 30 მანეთად და წაიღო.

მაშინვე იმ მეჩქემესთან გავიქეცი, კუთხარი რაზედაც ვიყავი მისული და მანაც შესანიშნავად დაკაზმული, თითქოს გუმინ მშუქნიერი ხელით გადაწერილი „ქილილა და დამანას“ გამომიტანა.

გული ამიტოვდა, მაგრამ თავი შეეკავე, უცლოდი, აჩქარება არ გამოძაღვებოდა. ვთხოვე, ეს ხელნაწერი ჩემთვის მოეყიდა. მეჩქემე დიდ უარზე დადგა. კერა, ჩემო პაპუნა, ამ წიგნს კერ შეველევი, ამითი ჩემმა შვილებმა უნდა ისწავლონ.

– რა უნდა ისწავლონ, კაცი, ეს ხომ დედაყენა არ არის და არც სახელმძღვანელო. მომიყვი და რაც ღირს გადამახდევინე-მეთქი.

მეჩქემემ ისევ შორს დაიჭარა, ბოლოს დიდი თხოვნით დავიყოლიე, ოღონდ ძალიან ბევრი მომთხოვა.

ამდენი ფული არ მქონდა, მაგრამ როგორ მოვიშველებდი.

დღეობს გაგრძელდა ჩვენი კატრობა და როგორც იქნა ოთხას თუ ოთხასორმოცდაათ მანეთად ძლივს დავიყოლიე შინ მოვიღოდი, „ქილილა და დამანას“ ძვირფასი ხელნაწერი მომიქონდა და ასე შეგონა, თითქოს მთელი მეთვრამეტე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობა მქონდა გულში ჩაკრული.

ახლა ეს ძვირფასი ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

## გამოუსწორებელი შეცდომა

„პოლიტიკაში ჩემი მოღვაწეობა აუცილებლობით არის ნაკარნახევი. 8 მილიონი ტიბეტელი იმედს ამყარებს ჩემზე და სჯერათ ჩემი განზე გადგომა ლალატის ტოლფასი იქნებოდა. ტიბეტელთა ნაწილი ფიქრობს, რომ თუ მე მოვკვდები, იმედიც დასამარდება. ეს, რა თქმა უნდა, არ არის მართალი. დალაი-ლამა მხოლოდ ცალკეული ადამიანია. ჩემი მრავალტანჯული ერის იმედის მარცვალი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს!“



დროდადრო დალაი-ლამა თენზინ გიათსო შეახსენებს ხოლმე თავს მსოფლიოს როგორც პოლიტიკოსი\*. მისი ყოფელი ვოიაუი პეკინის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ამიტომ ზოგიერთი ქვეყნის მოაზრობა, რომელსაც არ სურს ჩინეთთან ურთიერთობის გამწვავება, დალაი-ლამას ჩვეულებრივ იღებს როგორც კერძო პირს ან სულაც უარს ეუბნება ვიზაზე. ასე მაგალითად, ნეპალმა მხოლოდ რამოდენიმე საათით დართო მას ნება ჩასუღიყო ბუდას დაბადების ადგილას და ლოცვა აღევლინა.

სიფრთხილეს ყოველთვის არ მოაქვს საჭირო ეფექტი. ამაზე მეტყველებს 1990 წელს ჩეხოსლოვაკიაში ჩასვლის ისტორიაც. პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა, რომელიც 1989 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ერთ-ერთ პრეტენდენტად და მაშასადამე, დალაი-ლამას კონკურენტად ითვლებოდა, მოწვევა გაუგზავნა ლამაისტური ეკლესიის თავკაცს — უკვე ნობელიანტს. ჰაველმა ჩინეთის ელჩი პრაღაში წინასწარ გააფრთხილა, რომ ვიზიტს ექნებოდა სრულიად კერძო ხასიათი. სიფრთხილემ არ გასჭრა, ჩინეთმა მოსალოდნელ შეხვედრას „არამეგობრული აქცია“ და ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა (?) უწოდა და პროტესტი განაცხადა.

\* წინათ დალაი-ლამები თითქმის არ გოვებდნენ ვიზიტის ფარგლებს, თენზინ ვიათსო კი ერთადერთი დალაი-ლამაა ვიზიტის ისტორიაში, რომელიც ათეულობით ქვეყანაშია ჩამყოფი.

„ვიზიტი მაინც შედგა, დალაი-ლამა პრალაში ჩავიდა იყო გულლია, გულთბილი საუბარი, იყო პრესკონფერენცია, ერთობლივი მიმართვა მსოფლიო პოლიტიკური წრეებისადმი. კაცობრიობა სერიოზული კრიზისის ზღურბლს არის მიმდგარი. ყოველ ადამიანში სიკეთის გაღვიძება და პატივისცემა ჩვენზე აღმატებული ძალისადმი (დავარქმევთ მას ღმერთს, კოსმოსს თუ საკუთარ მოქმედებათა გარდუვალ შედეგებს) — აი, ერთადერთი გზა, რომელსაც ძალუძს ჩვენი გამოყვანა კრიზისისგან.“

„ვაცლავ ჰაველსა და ჩემს შორის ბევრი რამ არის საერთო, — იტყვის დალაი-ლამა ვიზიტის შემდეგ, — ჩვენ თითქოს ერთ ნაგში მსხომი ნიჩბოსნები ვართ, არცთუ ძალიან მოხერხებულნი. არც იგია მოწოდებით პოლიტიკოსი და არც მე ჩვენ ორივემ პოლიტიკურ მოღვაწეობას გარემოებათა გამრ მივყავით ზელი. მაგრამ შესაძლოა, სწორედ პოლიტიკაში ყოველგვარი პირადი ამბიციების გარეშე მოსულ ჩვენნაირ ადამიანებს შეუძლიათ შეიტანონ მასში ჯანმრთელი სიო, დანერგონ მორალური პრინციპები პოლიტიკაში.“



მშვიდობის ნობელის პრემიის 1989 და 1979 წლების ლაურეატები — დალაი-ლამა და ლეა ტერეზა.

იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო იგი იბრძოდა შვეციიდან გამოყოფისათვის. სწორედ ამიტომაც ნობელმა ჩათვალა, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ნორვეგიელები შეძლებდნენ ყოფილიყვნენ ყველაზე ობიექტურნი მშვიდობის პრემიის მინიჭებაში.

არავინაა შეცდომებისაგან დაზღვეული. ხანდახან ნობელის კომიტეტსაც საყვედურობენ არაობიექტურობაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: 1989 წელს თავისუფლებისმოყვარე ნორვეგიელები ნამდვილად არ შემცდარან.

აშშ კალიფორნია, საკურორტო ქალაქი ნიუპორტ-ბიჩი, 5 ოქტომბერი ღამის 3 საათი, საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ სენსაციურ ცნობას 1989 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატად დასახელებულია XIV დალაი-ლამა.

ღვთაებრივი სიმშვიდით ხვდება თენზინ გიათსო აღნიშნულ ცნობას. ოკეანის გადაღმა კი — ტიბეტში, სახეიძო ლოცვები და მასობრივი სადღესასწაულო მსვლელობები იმართება. ქუჩაში გამოსული აღტყინებული ხალხის ფონზე კი უსუსურად გამოიყურება დიდი, გასუნებული კომუნისტური ლოზუნგი: „ვინც



ფიზიკაში, ქიმიასა და ეკონომიკაში ნობელის პრემიას ანიჭებს სტოკჰოლმის სამეფო მეცნიერებათა აკადემია, ფიზიოლოგია-მედიცინაში — სტოკჰოლმის სამეფო კაროლინის სამედიცინო ქირურგიული ინსტიტუტი, ლიტერატურაში — შვეციის აკადემია. ასე რომ, ყველა დარგში პრემიას ანიჭებს ნობელის სამშობლო — შვეცია. გამონაკლისია მშვიდობის პრემია, მისი მინიჭება დავალებული აქვს ნორვეგიის პარლამენტს საქმე ისაა, რომ ნობელის სიტოცხლეში ნორვეგია ჯერ კიდევ არ

დალაი-ლაძას მომხრეა, ის მათს მოწინააღმდეგეა.

ყველა მოკვდავი როდი ფიქრობს გააღვივოს თავის თავში მშვიდობისა და სიყვარულისადმი ლტოლვის წადილი. არადა ეს ყველას შეუძლია, მე უფრო მომთხოვნი აღმოვჩნდი საკუთარი თავის წინაშე და ამიტომაც მივიღე პრემია. ეს კი, ვიმეორებ, ყველას შეუძლია – ამბობს ნობელიანტი.

რუმინეთში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად ქრტიანულმა დახმარება, ბრძოლა შიმშილისა და კეთრის წინააღმდეგ, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ხელმოკლეთათვის, დედა ტერეზას მოწყალების ორდენის, კოსტა-რიკის მშვიდობის უნივერსიტეტისა და მშვიდობის ხელშეწყობის ტიბეტური ორგანიზაციისადმი შემწეობა, ინდოეთსა და ნეპალში მყოფ ტიბეტელ ლტოლვილთა დახმარება – აი, იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომელსაც დალაი-ლაძას ნობელის პრემიის მოელი ფულადი ჯილდო – 484 ათასი ამერიკული დოლარი – მოხმარდა.

აქვე გვახსენდება დალაი-ლაძას შეგონება: თუ ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ვზრუნავთ და სულაც არ ვფიქრობთ სხვათა გასაჭირზე, ჩვენ ვავნებთ არა მარტო მათ, არამედ პირველ რიგში საკუთარ თავს. ყოველგვარ ქმედებას ხომ თავისი გაგრძელება აქვს მომავალში. ასი წლის წინათ ჩვენთვის სრულიად საკმარისი იყო გვეზრუნა მხოლოდ საკუთარ ოჯახზე, გვარზე, სოფელზე. ჩემს სამშობლოში – ტიბეტში ასე იყო სულ ახლახან მაგრამ მსოფლიო სულ უფრო და უფრო ვიწროვდება. სხვადასხვა ხალხები, ისევე როგორც ცალკეული ადამიანები, ერთმანეთზე დამოკიდებულნი ხდებიან ჩვენ აღარ გვრჩება არჩევანის საშუალება: რათა ვიარსებოთ, საჭიროა გავაღვივოთ ჩვენში გრძნობა, რომელსაც მე საყოველთაო პასუხისმგებლობის გრძნობას დავარქმევდი.



თავისთავადი, თვითმყოფადი და გაღალებული, მთლიანად დემილიტარიზებული, თავისუფალი იარაღისა და სამხედრო ქარხნებისაგან, ბირთვული დანადგარებისა თუ რადიოაქტიური ნარჩენებისაგან, სათნოებისა და მშვიდობის ზონა, ყველაზე დიდი წალკოტი მსოფლიოში – აი, ჩემი ოცნების ტიბეტი! – ამბობს თავის ნობელის ლექციაში სამშობლოდან დევნილი პატრიოტი, ტიბეტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, ლამაისტა ცოცხალი დემერი, ტიბეტის XIV დალაი-ლაძა – თენზინ გიაოსო.

საბოლოოდ დავესესხოთ მსოფლიო აღპინიჩმის კორიფეს, ტიბეტის დიდ მოტრფიანეს – რაინჰოლდ მესნერს: "ჩინეთის კულტურულმა რევოლუციამ" იმთავითვე "ჩამორჩენილობის ოთხი ელემენტის" განადგურება დაიხატა მიზნად. ეს ელემენტებია: ძველი კულტურა, ძველი ადამ-წესები, ძველი ჩვეულებები და ძველი წარმოდგენები. მიუხედავად ამისა, ძველი ტიბეტი არ მომკვდარა იგი მხოლოდ ღრმა ძილს მიეცა და შესაფერის დროს ელოდება გასაღვიძებლად ჩემი აზრით, გაღვიძების დრო უკვე დამგარია."

გუგა კუდავა

მსუ ისტორიის ფაკულტეტის  
IV კურსის სტუდენტი



# მშვიდობის

## ნობელის პრემიის ლაურეატები

1901	ანრი დიუნანი ფრედერიკ პასი	შვეიცარია საფრანგეთი
1902	ალბერ გობა ელი დიუკომენი	შვეიცარია შვეიცარია
1903	უილიამ კრიმერი	ინგლისი
1904	საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი	
1905	ბერტა ფონ მუგნერი <sup>1</sup>	ავსტრია
1906	თეოდორ რუზველტი	აშშ
1907	ერნესტო მონეტა ლუი რენო	იტალია საფრანგეთი
1908	კლას არნოლდსონი ფრედერიკ ბაიერი	შვეცია ფინანია
1909	ოგიუსტ ბეერნარი ჰოლ დესტურნელ დე კონსტანი	ბელგია საფრანგეთი
1910	მშვიდობის საერთაშორისო ბიურო	
1911	ტობიას ასერი ალფრედ ფრიდი	ჰოლანდია ავსტრია
1912	ელიუ რუტი	აშშ
1913	ანრი ლაფონტენი	ბელგია
1914	— <sup>2</sup>	
1915	—	
1916	—	
1917	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი	
1918	—	
1919	ტომას ვუდრო უილსონი	აშშ
1920	ლევონ ბურჟუა	საფრანგეთი
1921	კარლ ბრანტინგი კრისტიან ლანგე	შვეცია ნორვეგია
1922	ფრიტიოფ ნანსენი	ნორვეგია
1923	—	
1924	—	
1925	ჩარლზ დაუესი ჯოზეფ ოსტინ ჩემბერლენი	აშშ ინგლისი

1926	არისტიდ ბრიანი გუსტავ შტრეჰემანი	საფრანგეთი გერმანია
1927	ფერდინანდ ბიუისონი ლუდვიგ კვილე	საფრანგეთი გერმანია
1928	—	
1929	ფრენკ კელოგი	აშშ
1930	ნატან სიოდერბლუმი	შვეიცია
1931	<i>ჯეის ადამსი</i> ნიკოლას მიურეი ბატლერი	აშშ აშშ
1932	—	
1933	ნორმან ენჯელი	ინგლისი
1934	არტურ ჰენდერსონი	ინგლისი
1935	კარლ ფონ ოსეცკი	ინგლისი
1936	კარლოს სააუედრა ლამასი	არგენტინა
1937	რობერტ სესილი	ინგლისი
1938	ლტოლფილთა დახმარების ნანსენის საერთაშორისო ორგანიზაცია	
1939	—	
1940	—	
1941	—	
1942	—	
1943	—	
1944	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი	
1945	კორდელ ჰალი	აშშ
1946	ემილი ჯრის ბოლჩი ჯონ მოტი	აშშ აშშ
1947	„მეგობართა ამერიკული კომიტეტი საზოგადოების სამსახურში“ „მეგობართა კავშირი საზოგადოების სამსახურში“	
1948	—	
1949	ჯონ ბოიდ ორი	შოტლანდია
1950	რალფ ბანჩი	აშშ
1951	ლეონ ჟუო	საფრანგეთი
1952	ალბერტ შვაიცერი	საფრანგეთი-გერმანია <sup>3</sup>
1953	ჯორჯ მარშალი	აშშ
1954	ბაპრო-ს ლტოლფილთა უმაღლესი კომისარიატი	
1955	—	
1956	—	
1957	ლესტერ პირსონი	კანადა
1958	ჟორჟ პირი	გმლბინა
1959	ფილიპ ნოელ-ბეიკერი	ინგლისი
1960	ალბერტ ლუტული	სამხრ. აფრიკის რესპ.
1961	დაგ ჰამარშიოლდი	შვეიცია
1962	ლაინუს პოლინგი	აშშ
1963	წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი	



1964	მარტინ ლუთერ კინგი	აშშ
1965	ბაპრო-ს ბაეშეთა ფონდი	
1966	—	
1967	—	
1968	რენე კასენი	საზრუნველთა კომისია
1969	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია	საზრუნველთა კომისია
1970	ნორმან ბორლოუგი	საზრუნველთა კომისია
1971	ვილი ბრანდტი	გერმანია
1972	—	
1973	ჰენრი კისინჯერი	აშშ
	ლე დიკ ტპო	შვედნია
1974	შონ მაკბრაიდი	ირლანდია
	ვისაკუ სატო	იაპონია
1975	ანდრეი სახაროვი	რუსეთი
1976	მეირიდ კორიგანი	ჩრ. ირლანდია
	ბუტი უილიამსი	ჩრ. ირლანდია
1977	„საერთაშორისო ამნისტია“	
1978	მენასემ ბეგინი	ისრაელი
	ანვარ სადათი	სომხეთი
1979	დედა ტერეზა (ავგუსტინა ბოლდისკუ)	ინდონეზია-ალბანეთი <sup>1</sup>
1980	ადოლფო პერეს ესკიველი	არგენტინა
1981	ბაპრო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი	
1982	ალფონსო გარსია რობლესი	მექსიკა
	ალეი მიურდალი	შვედნია
1983	ლეს ვალენსა	კუვონეთი
1984	დესმონდ ტუტუ	სამხრ. აფრიკის რესპ.
1985	„მოთვლითს ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ“	
1986	ელი ვიზელი	აშშ
1987	ოსკარ არიას სანჩესი	კოსტა-რიკა
1988	ბაპრო-ს შვიდობის მარდაშერი საერთაშორისო ძალები	
1989	დალაი-ლამა (თენზინ გიათსო)	ინდონეზია-ტიბეტი
1990	მიხეილ გორბაჩოვი	რუსეთი
1991	აუნ სან სუ ჩეი	შიანგა (შიანგა)
1992	რიგობერტა მენჩე	პანამა
1993	ფრედერიკ დე კლერკი	სამხრ. აფრიკის რესპ.
	ნელსონ მანდელა	სამხრ. აფრიკის რესპ.
1994		

<sup>1</sup> სხვა შრიფტით მითითებულია ლაურეატი ქალები.

<sup>2</sup> პრემია არ მიანიჭებულა.

<sup>3</sup> ალბერტ შვაიცერი ერთგვარად თრანგი იყო. დაიბადა გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ტერიტორიაზე.

<sup>4</sup> დედა ტერეზა დაიბადა ალბანეთში ამჟამად ინდოეთის კათოლიკური ეკლესიის მონაზონია.

<sup>5</sup> ტიბეტიდან დევნილი დალაი-ლამა ცხოვრობს ინდოეთში.



# 1993 წელს დაცული დისპარტაცია

ქართული  
ენის ინსტიტუტი

ბუნებრივია ახალგაზრდა ისტორიკოსთა ინტერესი ამ სამეცნიერო სიახლეთა მიმართ, რომელიც ისტორიის დარგში გასულ წელს მოხდა. აღბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიის სპეციალობით დაცულ საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციებშია ასახული. უკანასკნელ ხანს ქართველი მეცნიერების სადისერტაციო ნაშრომთა დაცვა იმპერიული მარწუხებიდან გამოთავისუფლდა. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უკვე საბოლოოა და მოსკოვში დამტკიცებას აღარ საჭიროებს.

დღეისათვის საქართველოში ისტორიის სპეციალობით დისერტაციათა დაცვა სამ ადგილას ხდება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. ამათგან ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ორ-ორი სამეცნიერო საბჭოა: შესაბამისად – საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის.

ამჯერად გთავაზობთ ანფორმაციებს (მცირე ანოტაციებით) 1993 წელს ისტორიის სპეციალობით დაცულ სადისერტაციო ნაშრომთა და მათ ავტორთა შესახებ. ჩვენი მონაცემებით გასულ წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატისა თუ დოქტორის ხარისხი 32 მკვლევარს მიენიჭა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები სრულია, რადგან ვისარგებლეთ ზემოხსენებულ სამეცნიერო საბჭოთა ინფორმაციებით. შეცდომებისაგან არაქონაა დაზღვეული და შესაძლოა, ჩვენი გამოკერჩა რაიმე, რისთვისაც წინასწარ ვიხდით ბოდიშს. შეცდომათა შესახებ გთხოვთ შეგვატყობინოთ.

აქვე გვსურს გააკეთოთ ერთი შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილმა რამოდენიმე დისერტანტმა ნაშრომი წინა წლებში დაიცვა, მაგრამ იმის გამო, რომ მათ საბუთები დასამტკიცებლად არ გაუგზავნიათ მოსკოვში, სამეცნიერო საბჭომ 1993 წელს (ამჯერად უკვე დამოუკიდებელი უფლებებით აღჭურვილმა) ხელმეორედ უყარა კენჭი თავის უწინდელ გადაწყვეტილებას.

ინფორმაცია წინა წლების სადისერტაციო ნაშრომთა შესახებ, ვგონებთ, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. მსგავს ცნობებს შეძლებისდაგვარად მოძიებთაც შემოგთავაზებთ.

დასასრულ, გვსურს მასალის მოძიების საკმაოდ შრომატევად საქმეში გაწეული დახმარებისათვის დიდი მადლობა მოვახსენოთ ქალბატონებსა და ბატონებს: მარინე ბოკუჩავას, ნათელა ვახნაძეს, ლაპოთ ბაციბაძეს, მარინე ლორთქიფანიძეს, ალბერტ მენთეშაშვილს, ზურაბ პაპასძირს, ირინე ვაღაპას, ნანა ციხისთავს, ირინე ჯაფარიძეს.

სარედაქციო ჯგუფის გარდა მასალის მოძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ლაპოთ ალშიბაძე და ლელა ხურცია, აგრეთვე ისტორიის მოყვარულთა კლუბის წევრები – ლელა ილურიძე, კაატა კობაძე, გიორგი პავლასვილი, თამარ შენგელია, თამა კულიაშვილი, თინათინ ხარაბაშვილი, ქეთევან ხითარაშვილი.

ბოკუჩავა მარინე თენგიზის ას. \_\_\_\_\_ საკანდიდატო

### ინგილოთა ყოფისა და კულტურის საკითხები (ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

ნაშრომში შესწავლილია საინგილოს წარსული და თანამედროვეობა, მისი მსწათმოქმედება, ქორწინების წესები, მიცვალებულის კულტი, დღესასწაულები. ნაშრომი ეყრდნობა როგორც მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას, ასე დღესდღეობით შეგროვილ ეთნოგრაფიულ მასალებს. ლოკალურა თავისებურებებისა და ზოგადქართულის დასადგენად ფართოდაა გამოყენებული საქართველოს სხვა რეგიონების მონაცემებიც. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის მდგრადი სტრუქტურა, რომელიც, მიუხედავად მაკმადიანური სამყაროს ზეწოლისა, ინარჩუნებდა თავის ძირითად თვისებებს და ტრადიციულ ქართულ ყოფად რჩებოდა.

070005 ეთნოგრაფია  
ხელმძღვანელები: გიორგი ჯაღაპაძე, მარია მანთარია  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 28 დეკემბერს.

გაბეღავა მერი შალვას ას.

საკანდიდატო

საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული და განზოგადებულია 1917-1921 წლებში აფხაზეთში მოძლინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ამ ფონზე ახლებურადაა გამოყენებული აფხაზეთში პროთურქული ორიენტაციის ძალების საქმიანობის ისტორია. მოცემულია 1918 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიღწაწეობის დღემდე ყველაზე სრული სურათი. დისერტაციაში საფუძვლად დაედო წარყოფილი აფხაზეთის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა მტკიცება, თითქოსდა საქართველოს სახალხო რესპუბლიკის მოაქრობამ ძალის გამოყენებით ორჯერ გარეკა აფხაზეთის სახალხო საბჭო ნაშრომში ნახეუბებია აფხაზი ეროვნების მოღწაწეობა პოლიტიკურს ურთიერობა რუსეთის რეაქციულ წრეებთან და კერძოდ, სამხრეთ რუსეთის მონარქისტებთან. პროთურქული და პრორუსული ორიენტაციის გარდა, აფხაზეთში არსებობდა საკმაოდ ძლიერა პროქართული ორიენტაციის ჯგუფიც რომელიც მთელი თავისი ძალებით მხარში ედგა დემოკრატიურს საქართველოს ხელისუფლებას. დღესათვის, ქართულ-აფხაზეთის ურთიერობების ასეთი დაძაბულობის ეპოს, ყუაქრობთ, აღნიშნული დისერტაცია სერიოზული ევრადღების ღირსია.

070001 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელები: აკაკი სურგულაძე, აკაკი კახიანი, აკაკი კახიანი  
დაცვა შედგა უნივერსიტეტში 20 აგვისტოს.

გამყრელიძე გელა ალექსანდრეს ძე

სადოქტორო

კოლხეთის ისტორია ტოპოარქეოლოგიის საკითხები (ძვ. წ. V - ახ. წ. V სს.)

ნაშრომში შესწავლილია ბოვეოგარემოს რილი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში, წარმოდგენილია ბოვეოგარემოსა და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის აგტიორისეული სქემა. დისერტაციაში სავანებოდაა განხილული სავარეო ფაქტორის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში. ამ ფონზე გაანალიზებულია კოლხეთის ურთიერობა საბერძნეთთან, იბერიასთან, პონტოსთან და რომთან. ცალკე თავადაა გამოყოფილი რიონის ხეობის ტოპოარქეოლოგიის საკითხები და რიონის შესართავთან, პალიასტომის ტბაზე პირველად ჩატარებული წვალქვეშა არქეოლოგიური კვლევის მიღწეუბა.

070001 საქართველოს ისტორია  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 4 მაისს.

გვინჩიძე გიორგი ოთარის ძე

საკანდიდატო

ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის (ნოქალაქევის ქ. წ. IV ს-ის ბოლო - I ს-ის სამარხული ძეგლები)

სადისერტაციო ნაშრომა წარმოდგენს სენაკის რიონის სოფ. ნოქალაქევის ელინისტური ხანის სამარხული ძეგლების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. დისერტაციაში განსახლვრულია ელინისტური ხანის კოლხეთში ქვეერსამარხში დაკრძალვის წესის შეწეუბის დასაწეიხი. ამასთანავე ნაშრომში მოცემულია ნოქალაქევის ელინისტური ხანის სამარხული მასალის და მატერიული კულტურის ნიმუშების ახლებული დათარიღება. წარმორჩილი და განხილულია ელინისტური ხანის კოლხეთის დღემდე უცნობა დაკრძალვის რიტუალები, კოლხეთის ტერიტორიაზე პირველად გამოვლენილი მატერიული კულტურის ნიმუშები.

070001 არქეოლოგია  
ხელმძღვანელები: ვალერი ლომიძე, გურამ ლომიძე, ვალერი ლომიძე  
დაცვა შედგა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 29 აგვისტოს.

გოგოლაძე ანდრო ღერძიშის ძე

საკანდიდატო

დავით აღმაშენებლის 1123/24 წლის ანდერძი შიომღვიმისადმი როგორც საისტორიო წყარო

ნაშრომში შესწავლილია დავით IV აღმაშენებლის შიომღვიმის მონასტრისადმი დაწერილი ანდერძი, როგორც საისტორიო წყარო. ამ ძეგლზე დაყრდნობით ავტორის მიერ შესწავლილია მთელი სპექტრი საკითხებისა: შიომღვიმის სამეფო მონასტრის გამგებლობა, წესდება და მეურნეობა, დოკუმენტში დაცული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელისუფლო და სხვა რივის ტერმინები. სავანებოდაა შესწავლილი ძეგლის დამოკიდებულება ერასთავის ინსტიტუტთან, მწიგნობართუხუცეს-კუონდიელისა და ბედიულ-აღავერდელის სახელის წარმოქმნა - განვითარების პრობლემები.

დისერტაციი ედილობს გადასინჯოს ურჩხი ფეოდალებს — ძაგანისა და მოდისტონის აბულეთისა და საგარეულოდან წარმოშობის შესახებ დღემდე არსებული მოსაზრება.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია  
ხელმძღვანელი მარია მ. შერვაშიანი  
დაცვა შედგა უნივერსიტეტში 7 ივნისს.

ლარცხელია გუგული.ერასტოს ას. \_\_\_\_\_ სადოქტორო

თბილისი

ახალი ადამიანის ფორმირებისა და მისი შესაბამისი ცხოვრების წესის  
დამკვიდრებისათვის მოღვაწეობის ისტორია საქართველოში (1921-1990 წწ.)

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ჩვენში სოციალიზმის შენების შემაჯერებელ მიზეზთა ძიება. მოკლედამიძობილური აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ მეოთხედში, ავტორი უთითებს იმდროინდელი საქართველოს განვითარების შედეგებით დაბალ დონეზე. მის ნაკლებად მომწიფებაზე სოციალური რევოლუციისათვის ნაშრომში ნახევრებია, რომ ეს გარემოება არ ყოფილა გათვალისწინებული ბოლშევიკების მიერ არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის მიმართაც. დისერტაციაში შესწავლილია უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში.

070001 საქართველოს ისტორია  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 29 ივნისს.

მარია მ. შერვაშიანი ას. \_\_\_\_\_ სადოქტორო

სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.)

ნაშრომი ეძღვნება ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალის — წმინდანის ხატის („ხაზე“) განსაზღვრას (ატრიბუცია, ტიპოლოგია, სასწაულები). ზნეობა მიჩნეულია მენტალიტეტის შემადგენელ და განმსაზღვრელ ნაწილად წარმოდგენილ ნაშრომში დასავლური ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით პირველად არის შესწავლილი ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალის პრობლემა, ის ზოგადი, რაც აკავშირებს მას დასავლეთგრადაკულ ქრისტიანულ აზროვნებასთან და ავთენტური, რაც მხოლოდ ქართული საზოგადოების იდეალისათვისაა დამახასიათებელი. ამასვე კონტექსტში შესწავლილია საზოგადოების ცნობიერება იდეალისკენ სწრაფვის გზაზე ქრისტიანული ეკლესიის მიერ ნაქადაგები იდეალი და არსებული სინამდვილე, როგორც დინამიკაში მამდინარე პროცესი.

070001 საქართველოს ისტორია  
დაცვა შედგა უნივერსიტეტში 2 ივლისს.

ზოსიმე ნუბუარ რომანის ძე \_\_\_\_\_ საკანდიდატო

პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა  
აჭარაში 1918-1920 წწ.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია 1918-1920 წწ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, აჭარაში გამწვლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზები, ამ მოძრაობაში პოლიტიკური პარტიების როლი. დისერტაციაში შესწავლილია აჭარაში ქართული ორიენტაციის პარტიების საქმიანობა, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დონისძიებები ბათუმის ოლქის კვლავ შემოერთებისათვის. ავტორი საგანგებოდ ეზება ბათუმის ოლქის როლს საკურაშორისო პოლიტიკაში.

070001 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელი პეტრე მ. მანუჩარაძე  
დაცვა შედგა უნივერსიტეტში 28 ივნისს.

ილზურიძე მარინე არჩილის ას. \_\_\_\_\_ საკანდიდატო

აბუბეკრ ბინ აბდულაჰის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ

ნაშრომში შესწავლილია XVI საუკუნის ოსმალთა ისტორიის — ხოლაქ აბუბეკრ ბინ აბდულაჰის დღემდის გამოუქვეყნებელი თხზულება „ოსმან ფაშას ისტორია“. დისერტაციაში თარგმნილია ნაწარმოების ის ადგილები, სადაც საუბარია საქართველოსა და ამიერკავკასიაზე. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული 1578-1580 წწ. საქართველოში ოსმალთა შემოსევებზე „ოსმან ფაშას ისტორია“ XVI

საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

070002 საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

ხელმძღვანელი იმსანა აბულაძე

დაჯგა შედგა უნივერსიტეტში 21 ივნისს.

კიკნაძე თამარ რევაზის ას.

ქართული

ეთნოკონფესიონალურ წინააღმდეგობათა ევოლუცია კვიპროსზე 1878-1992 წწ.

დისერტაციაში გაშუქებულია XIX ს. ბოლო მეოთხედისა და XX ს-ის კვიპროსის ისტორიის კარდინალური საკითხები. შესწავლილია ინგლისელ კოლონიალისტთა ბატონობის შედეგები და კვიპროსელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცალკეული ეტაპები. ავტორი საგანგებოდ გამოაქოფეს ციურის ლონდონის 1958 წ. ხელშეკრულებას, მიუთითებს როგორც მის გამოწვევებზე, მიზეზებზე, ისე შედეგებზე. დისერტაციაში ცალკე თავები აქვს დათმობილი კვიპროსზე შობხდარ სამხედრო გადატრიალებასა და ეთნიკურ პრობლემებს.

070003 მხოფლით ისტორია

ხელმძღვანელი ალბერტ მინთაშაშვილი

დაჯგა შედგა უნივერსიტეტში 29 ოქტომბერს.

კლარჯიშვილი ლალი ჯემალის ას.

საკანდიდატო

ეთნოკონფლიქტებისა და სეპარატისტული მოძრაობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სუდანში

ნაშრომში გაშუქებულია სუდანის რესპუბლიკის ეთნოკონფლიქტებისა და სეპარატისტული მოძრაობის ზოგიერთი საკითხი. შესწავლილია ის ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი სხვაობა რაც განაპირობებდა ქვეყნის ორი მხარის — ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებას. საგანგებოდაა შესწავლილი სუდანში მიმდინარე სამოქალაქო ომის ისტორია. ნაჩვენებია ის მიზეზები, რომლებიც უკანონო დამპყრობლებს სუდანის ხელში ჩაგდებას სურვილს უღვიძებდა. ნაშრომის ქრონოლოგიურია ჩარჩო 1955-1992 წლებითაა განსაზღვრული

070004 მხოფლით ისტორია

ხელმძღვანელი ალბერტ მინთაშაშვილი

დაჯგა შედგა უნივერსიტეტში 22 დეკემბერს.

კუპატაძე ელვირ სერგოს ძე

სადოქტორო

ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების ისტორია (1921-1956 წწ.)

კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით დისერტაციაში საუბარია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნის შესახებ. ნაჩვენებია მეორე მსოფლიო ომის წლებში თუ რომელი დივიზია შეიქმნა საქართველოში, რომელ ფრონტზე იბრძოდნენ და რა საბრძოლო დამსახურება მიუძღოდათ მათ. დასახრულ, სათანადო აღვილი აქვს დათმობილი ქართული ეროვნული დივიზიების რეორგანიზაციასა და 1956 წ. ეროვნული დივიზიების დაშლის ღონისძიებას. დისერტაციას თან ერთვის ავტორის წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს რესპუბლიკის ახალი არმიის მშენებლობასთან დაკავშირებით.

070005 საქართველოს ისტორია

დაჯგა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 22 ივნისს.

ლოსაბერიძე ლავით ბელას ძე

საკანდიდატო

საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემა (წინაანტიკური ხანა)

ნაშრომი წარმოადგენს იმ მონაპოვართა, მეთოდთა და თეორიათა განხილვის ცდას, რომლებიც ქართველი ერის თავდაპირველი ფორმირების ხანას შეეხება. დისერტაციაში თავმოყრილი და გაანალიზებულია ოთხი სხვადასხვა დარგის — ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ისტორიისა და ლინგვისტიკის მიერ დაგროვილი მასალების ფართო სპექტრი. საგანგებოდაა შესწავლილი ქართულ ტომთა თავდაპირველი განსახლების არეალი და ის პირობები, რომლებმაც მოცემულ რეგიონში ქართული ეთნოსის ფორმირებას შეუწყო ხელი. გაანალიზებულია ამიერკავკასიაში ანთროპოლოგიურ ტიპთა, ეთნოსთა, ენობრივ ერთობათა და ტომთა მავრაციის ისტორია, ნაჩვენებია ქართულენოვანი ტომების კავშირებითიერთობანი ძველამოსავლურ ეთნიკურ ჯგუფებთან.

070006 საქართველოს ისტორია

ხელმძღვანელი იმსანა აბულაძე

დაჯგა შედგა უნივერსიტეტში 21 ივნისს.

მაგალი (მაღალაშვილი) ლილი

საკანდიდატო

ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა

ნაშრომში XIX ს. II ნახევრიდან ჩვენს დრომდე არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოში განსახლებულ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკა, განხილულია ქართველი ებრაელის უცხოში

070005 ეთნოგრაფია  
ხელმძღვანელი: პოსტანტ პაპიშვილი  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 17 დეკემბერს.

მაგალია ბიორგი ბურაშის ძე

საკანდიდატო

ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია V-VI საუკუნეების ქართლის ეკლესიის ისტორია, ავტორს წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომის საფუძველზე განიხილა ამ პერიოდის ქართული ეკლესიის ურთიერთობები ნესტორიანელებთან, მოჩოყაჩიტებთან, ქალკედონიტებთან დასერტაციაში საგანგებო თავი უძღვება ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკასა და დიონის 506 წ. საეკლესიო კრებას. ვრცელადაა საუბარი ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულებისა და ავტოკეფალიის საკითხებზე.

070001 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელი: მარიაშვილი  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 6 ივლისს.

მინდიაშვილი ბიორგი მისხვილის ძე

საკანდიდატო

ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში (სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი)

სადისერტაციო ნაშრომში ახლებურადაა დაყენებული წინამორბედი მტკვარ-არაქსული და ადრეყორღანული არქეოლოგიური კომპლექსების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართებისა და აქედან გამომდინარე, სოციალ-ეკონომიკური პროცესების შემკვიდრებლობის საკითხები. ნაშრომში ახლებურადაა დაყენებული შესაქონლეობის ხასიათისა და კლასთწარმოქმნის პროცესში მისი როლის საკითხი. მოცემულია ქონებრივი დიფერენციაციის დამადასტურებელი ნიშნების განსაზღვრის ცდა.

070006 არქეოლოგია  
ხელმძღვანელი: მარიაშვილი  
დაცვა შედგა არქეოლოგიურ ეკლესიის ცენტრში 24 დეკემბერს.

მღებრიშვილი ლალი ბრიზოლის ას.

საკანდიდატო

სოფელი მუხრანი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

ნაშრომში წარმოდგენილია სოფ. მუხრანის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფერო XIX ს-ის II-ნახევრიდან მოყოლებული. სოფ. მუხრანი, როგორც მთისა და ბარის სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის მარეგულარებელი ერთ-ერთი პუნქტი, შესწავლილია ისტორიულ ჭრილში.

070005 ეთნოგრაფია  
ხელმძღვანელი: პაპიშვილი  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 29 დეკემბერს.

ნავდარაშვილი ღავით ღავითის ძე

საკანდიდატო

ილია ჭავჭავაძე და საადგილმამულო ურთიერთობები საქართველოში

დისერტაციაში საუბარია XIX ს. II ნახევრის საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობებზე ილია ჭავჭავაძის შეხედულებებსა და პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხებზე ამ სფეროში. ავტორი საკმაოდ ვრცელად ეხება ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში. საგანგებოდაა შესწავლილი ილიას პრაქტიკულ ქმედებათა ასპექტები, იქნება ეს მოძრაობებულ-მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნისა თუ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე მოღვაწეობის პერიოდები. ავტორმა ცალკე თავი უძღვნა ილია ჭავჭავაძის, როგორც შემამულის, დახასიათებას.

070001 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელი: პაპიშვილი  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 2 ნოემბერს.

ნაცვლიშვილი ნათელა ღვინოსა ას. — სადოქტორო

აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი აზროვნება (XIX ს-ის პირველი მესამედი)

ნაშრომში განხილულია საქართველოს ახალი ისტორიის ნაკლებად შესწავლილი ხანის (XIX ს. I მესამედი) მრავალი საინტერესო საკითხი. ავტორი ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გვესაუბრება ქართული თავადაზნაურობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე და საერთოდ ამ ფენის ადგილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დისკრტაციაში ყურადღება გამახვილებულია ავტორის ავტორული შეფასების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილად — მემამულური მეურნეობის განვითარების შედეგებსა და მის სახეებზე.

070001 საქართველოს ისტორია დაჯვ. შედეგ ისტორიის ინსტიტუტში 15 ივნისს.

ნებიერიძე ლამარა დიომიდეს ას. — სადოქტორო

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანმეზოლითი — ენეოლითი)

სადისკრტაციო ნაშრომი წარმოადგენს დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების შესწავლისა და მისი ადრეული საფეხურების დახასიათების პირველ ცდას იგი მოიცავს ექვსათასწლოვან პერიოდს — ძვ. წ. IX ათასწლეულიდან IV ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. ძირითად პრობლემები დისკრტაციაში გადაწყვეტილია უახლესი მასალების კომპლექსური შესწავლის გზით.

070006 არქეოლოგია დაჯვ. შედეგ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

კაკასიძე შურაბე პალეონიას კე — სადოქტორო

შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა (X ს. 70-იანი — XI ს. 80-იანი წლები)

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მონოგრაფიული შესწავლის ცდას ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აღმოცენებისა და ფორმირების საწყის ეტაპებზე (X ს. 70-იანი წლებიდან XI ს. 80-იანი წლებამდე). მასში ახლებურადაა გაშუქებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის მოვლი რიგი საკვანძო საკითხები, ნაჩვენებია ერთიანი ქართული სახელმწიფოს როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე.

070001 საქართველოს ისტორია დაჯვ. შედეგ უნივერსიტეტში 15 თებერვალს.

სანიკიძე გუბაზ ლევანის კე — საკანდიდატო

რომი და ელინო-ელინისტური სამყარო ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში

სადისკრტაციო ნაშრომში შესწავლილია ძვ. წ. II საუკუნის რომის სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. ეს ერთგვარი გარდამავალი ეპოქა იყო რომის რესპუბლიკისათვის, როდესაც სახელმწიფო სამოქალაქო ომებით იყო მოცული და როცა რესპუბლიკისა და იმპერიის სამკვდრო-სასიცოცხლო ქიდილი განუწყვეტელ სისხლისღვრაში განსახიერდა. დისკრტაციაში განხილულია თუ რა შედეგები გამოიღო ამ პოლიტიკურმა კრიზისმა. ნაშრომში ასევე საგანგებოაა შესწავლილი საგარეო ფაქტორთა ზეგავლენა რომის შინაგან ცხოვრებაზე. სახელდობრ, თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნული ხანის რომის სახელმწიფოს შინა სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებზე მისი ინტენსიურმა სამხედრო-დიპლომატიურმა ურთიერთობამ ელინო-ელინისტურ სამყაროსთან.

070003 მსოფლიო ისტორია ხელმძღვანელი მრანდი მამთარია დაჯვ. შედეგ უნივერსიტეტში 9 ივნისს.

სონღულაშვილი ავთანდილ ვახტანგის კე — სადოქტორო

საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა ისტორია (1960-1985 წწ.)

ნაშრომი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი და განზოგადებულია საქართველოს ქალაქების საგარეუბნო ზონათა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ვითარება XX ს-ის მეორე ნახევარში. ავტორის მიზანია გამოიკვლიოს ამ პერიოდში ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულების თავისებურებანი, საგარეუბნო ზონის გენეზისი, ზონათა ფლორისა და ფაუნის მნიშვნელობა ქალაქის განვითარებასა და კეთილმოწყობაში, საქართველოს ქალაქებსა და

საგარეუბნო ზოხათა შორის გზებისა და ტრანსპორტის, კაცრობის, კულტურულ-კოვით ურთიერთობათა გაკლენის საკითხები.

070001 საქართველოს ისტორიის  
დაჯგა შედვა ისტორიის ინსტიტუტში 18 მაისს.

სულაბერიძე გვანცა შოთას ას.



საკანდაღატო

ქართული მუსიკა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით („ქართლის ცხოვრება“)

დასურტაციაში უართოდაა გაშუქებული ქართლის ცხოვრების ცნობების მუსიკის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ კერძოდ ნაშრომში გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სამგლოვიარო სიმღერები და დატირების წესი, ხალხური სახიმღერო შემოქმედება, მუსიკალური ფანრები ქართულ ისტორიულ წყაროებში, მუსიკალური საკრავების სახელები, მუსიკალური ტერმინოლოგია და მუსიკოსის ზოციალურა მდგომარეობა ძველ საქართველოში.

070005 ეთნოგრაფია  
ხელმძღვანელები ნანუკი შაბაძე, მანანა შაბაძე  
დაჯგა შედვა ისტორიის ინსტიტუტში 24 ივნისს.

სურგულაძე ნუზარ ივანეს ძე

სადოქტორო

სეფიანთა სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა

ნაშრომი წარმოადგენს სეფიანთა არაჩის ცენტრალური მმართველობის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში განხილულია შემდეგი საკითხები: შაჰის ხელისუფლების ხასიათი, შაჰისა და შაჰთან არსებული სათათბირო ორგანიზების (მეჯლისი, ამირთა საბჭო) ფუნქციები, საგანგებოდაა შესწავლილი სეფიანთა არაჩის საკსოლ რიული და დაქსაქხული სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მრავალრიცხოვან უწყებათა და მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობანი, განხილულია მმართველი აპარატის სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა, მოხელეთა იერარქია და სხვა საინტერესო საკითხები.

070003 მხოველი ისტორია  
დაჯგა შედვა უნივერსიტეტში 8 ივნისს.

ტაბაღუა მანანა ილიას ას.

საკანდაღატო

საქართველო იტალიის ურთიერთობის ისტორიიდან (საქართველო და ვატიკანი XIII-XVII საუკუნეებში)

სადისურტაციო ნაშრომში მონოგრაფიულიაა შესწავლილი XIII-XVII სს. საქართველო და ვატიკანს შორის არსებული ურთიერთობანი, ვატიკანის არქივებსა და წიგნსაცავებში შემონახული გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალების საფუძველზე შესწავლილია ვატიკანის აღმოსავლური პოლიტიკის ჭეშმარიტი არსი, დისურტაციაში დაზუსტებულია ფაქტები, თარიღები, საკითხები, სახელები, განხილულია საქართველოში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის ასპექტები.

070008 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელი მამუკი ნიბტარაძე  
დაჯგა შედვა ისტორიის ინსტიტუტში 1 აგვისტოს.

ფუტყარაძე თამაზ ძაჭიშის ძე

საკანდაღატო

თანამედროვე მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-კულტურული პრობლემები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)

აკტორი უართოდ განიხილაკს მთიანი აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ფორმებს, მასშტაბებსა და მიმართულებებს. ამ ფონზე დისურტანტს შესწავლილი აქვს აჭარის მთიანეთის მოსახლეობის რიცხობრივი დინამიკა და ბუნებრივი მიგრაციის თავისებურებანი (XIX-XX სს.) გვართა მიმოქცევა და შიგასახეობი ინდივიდუალური ტიპის მიგრაცია, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი აჭარაში უცხო ეთნიკური ელემენტების დამკვიდრების შემთხვევებსაც. ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა ქ. წ. ათურქი მესხების პრობლემას და მოცემულია სათანადო მოსაზრებები აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. დისურტაციაში ცალკეა გამოყოფილი თანამედროვე ეტაპზე სამცხე-ჯავახეთში არსებული მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაცია, განხილულია სომხეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრობლემები.

070005 ეთნოგრაფია  
ხელმძღვანელი მახტან შაშიძე  
დაჯგა შედვა ისტორიის ინსტიტუტში 30 ივნისს.





დათმობილი ანტიასაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესს, 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს სოციალისტური პარტიების მონაწილეობის პრობლემებს და სხვა.

070001 საქართველოს ისტორია  
ხელმძღვანელები: ლეონტი მროველი, რომარ პაპუაშვილი  
დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 23 თებერვლის.



საქართველოს  
ისტორიის



საქართველოს სტუდენტ  
ისტორიკოსთა ლიგა

1991 წლის 7 მაისს საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციასთან დაიწყო სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგა. მის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ოსკარ ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნ. ჯანაშვილი. 1991 წლის 29 მაისს ლიგამ ოსკარ რუსეთის ისტორიის კათედრასთან და ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციასთან ერთად მოაწყო შეხვედრა აშშ მისიურის უნივერსიტეტის პროფესორ ჩარლზ ტიმბერლეიქთან, რომელმაც წაიკითხა ლექცია რუსეთის ისტორიის თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე.

1993 წლის 25 მარტს ლიგა იყო ერთ-ერთი ინიციატორი უორვიკის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორის ლინკოლნ ალისონის მოწვევისა, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე: „დემოკრატია და დემოკრატიზაციის პროცესები დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებებში“. ლიგა დაარსების წლიდანვე არის წევრი სტუდენტ ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციისა (ISHA), რომლის შტაბ-ბინაც დღეისათვის ბელგიის ქალაქ ლუვენშია.

1993 წლის 12 აპრილიდან ლიგის პრეზიდენტად არჩეულია ოსკარ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ნიკო ჯანაშვილი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ამავე ფაკულტეტის სტუდენტი სიმონ ჯანაშვილი. ლიგის მიზანია დაქმნას სტუდენტ ისტორიკოსებს სამეცნიერო მუშაობაში. ამას გარდა ლიგას მჭიდრო კონტაქტები აქვს უფრო-სი თაობის ისტორიკოსებთანაც.

1994 წლის მაისისათვის ლიგას გამიზნული აქვს ჩაატაროს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის – შალვა მალაყელიძის (1894-1976) დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

უპრნალი „ისტორია“

1993 წლის ივნისში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიის“ საისტორიო კომისიამ და ოსკარ სტუდენტთა ჯგუფმა გამოსცა სტუდენტური სამეცნიერო კრებული „ისტორია“ (რედ. ჯანაშვილი). მიუხედავად ტირაჟის სიმცირისა და საშუალო პოლიგრაფიული დონისა, კრებულს ღირსებას მატებს მასში დაბეჭდილი სტატიების მაღალი სამეცნიერო დონე, რაც პირად საუბრებში აღნიშნეს აკადემიკოსებმა ანდრია აფაქიძემ, როინ მეტრეველმა, მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ და სხვა ქართველმა ისტორიკოსებმა. მათ წარმატებები უსურვეს საგამომცემლო ჯგუფს.


კრებულის პირველ ნომერში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: ნიკო ჯანაშვილი – „საქართველოს სამეფოს აღდგენის ცდა II მსოფლიო ომის დროს“, ბონდო კუპატაძე – „ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის ერთი საკითხი“; ნანო კალანდაძე – „ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიღწევები“; ჯანაშვილი – „საქართველოს სამეფო სახლის გენეალოგიიდან (გიორგი III-ის შვილები)“; ტრისტან მაჭარაშვილი – „კათოლიციზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში“. აგრეთვე ნათია მისიურაძის ნათარგმნი სტატია: ბ. პენიკოვი, „ტრეგონთა ორდენი გუმინ და დღეს“. რედკოლეგია უსახრობის გამო ვერ ახერხებს მეორე ნომრის გამოცემას და თხოვს საქართველოს ფინანსურ წრეებს შექმნათ ადგილობრივი ფონდის განახლებაში.

ისტორიის მოყვარულთა კლუბი

1993 წლის 3 ნოემბერს ოსკარ ივ. ჯანაშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ისტორიის მოყვარულთა კლუბის დამფუძნებელი კრება. დამსწრე საბატო სტუდენტებმა – უნივერსიტეტის რექტორმა აკად. როინ მეტრეველმა და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ წარმოთქვეს მისასაღებელი სიტყვები. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა – ჯ. სამუშიამ, ბ. კუპატაძემ, ნ. კალანდაძემ, ნ. მისიურაძემ, ნ. გურგენიძემ და ტ. მაჭარაშვილმა ისაუბრეს კლუბის მიზნებსა და ამოცანებზე, წესდების პროექტზე.

ამავე დღეს შეიქმნა კლუბთან არსებული სკოლა. თბილისის ათამდე საშუალო სკოლის 150-მდე უფროსი კლასის მოსწავლე მოწვეულ იქნა უნივერსიტეტში, სადაც მათ საქართველოს ისტორიის, კულტურის, მსოფლიო ისტორიისა და რელიგიის საკითხებზე ლექციებს უკითხავენ სტუდენტები და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები. 1994 წლის სექტემბრიდან დაგეგმილია სკოლის მუშაობის გაფართოება განახლებული პროგრამის საფუძველზე.

კ რ მ ს ვ მ რ ნ



თარგმანად:

- 7. დავით III დიდი  
დავით IV აღმაშენებელი  
დავით VII ?
- 8. ვიორგი I-ის მეორე ცოლი
- 9. ძვ. წ. VII-VI სს. ბერძენი პოეტი ქალი
- 10. არმაზ, ზადენ, ... და გაიმ
- 12. სირია  
ლიბანია  
ეგვიპტე ?  
თურქეთი  
საბერძნეთი
- 13. ქართლის მეფე XVII საუკუნეში
- 14. მღვდლის სამთხლის ნაწილი —  
ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო,  
აქრომკედით ნაქარვი ქსოვილი

15. „ილიადა“ და „...“

16. ქალიაქი ძველ საბერძნეთში, რომლის  
შესახველზეც ვ. წ. „ლიომების ქიშკარი“  
ამკობდა

17. სამაროვანი  
რაქაში



19.

20. ? — 2 ადგილი — 4 წერტილი — 8 მტკა-  
ველი — 16 ციდა — 32 ვოჯკული — 64 გოჯი


21. დავით IV აღმაშენებელი

დემეტრე I



22. ხანაჯა, ბეკარა, ღაღა ...

24. ძველი სახელმწიფო თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე



(შუა საუკუნეების სომხური ქალაქი, ხაღაც აღნიშნული კათედრალი იდგება)


30. მას უკმდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია მადლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია, ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ, ვერ გამოვიდა, ღვინოზე კარგს რას იყიდავან.

(აუტორი, XI - XII სს.)



(ქალაქი)

32. კლინიკური სახელმწიფოი ჩრდილო - აღმოსავლეთ მცირე აზიაში




36. კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მკუდლე, რომლის ბრძანებითაც გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ დღემდე მოღწეულთა შორის უძველესი ნუსხა

37. ბიბლიური პერსონაჟი

38. ნაგებობათა გადასახური მცენარე ძველ საქართველოში

39. შამქორის ბრძოლის თარიღი ქორონიკონით

შეუღალ:



(ტაძარი)

- 1.
- 2. იტალიელი მეთევზე, ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ბელადი
- 3. დაბადი სიცოცხლური ფენა ადრე შუა საუკუნეების საქართველოში
- 4. ხევსურეთი — გუდანი  
ფშაგი — ?

5. ნუმისმატიკა — მონეტები  
? — ქაღალდას ფული



17. ტაძარი, სადაც ბაგრატ III-ა დაკრძალული



(წოდება)



25. ფოთი — ყაზახი  
თბამჩინე — ვახუშტი  
ბიჭვინთა — ბიჭვინთა  
სახუმი ?



29. ფეოდალური მამული შუა საუკუნეების ევროპაში

32. მდიდრული საცხოვრებელი ნაგებობა შუა საუკუნეების რუსულ ხუროთმოძღვრებაში

33. კლარჯეთი — არტანუჯი  
ამიერტაი — ფანასკერტი, ბანა  
იმერტაი — ?



# იუმორი

— ვინ იყო პირველი ქართველი ალპინისტი?

— ვახტანგ გორგასალი.

— ?!

— „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.“



ისტორიკოსი მათემატიკოსს:

— აბა, დამისახელე საქართველოს 20 მეფე.

— მაგას რა უნდა, 12 გიორგი, 6 ვახტანგი და 2 ერეკლე.



რუსთა ჯარებმა შამილის უკანასკნელი სიმაგრე — ღუნბი რომ აიღეს, მთიელთა ბელადმა თავი დამარცხებულად ცნო და თავისი ხმალი კავკასიის მეფისნაცვალს გენერალ-მაიორ ა. ბარიატინსკის გადასცა.

შამილი არად ავლებდა ტყვეობის ფაქტს, თითქოს გამარჯვებული ყოფილიყო, ამაყად უცქერდა რუსებს, როცა ბარიატინსკის ხმალი გადასცა, ერთი გემრიელი მთქნარებაც მიაყოლა. ბარიატინსკის ალბათ მოუდრეკელი ტყვის გაკენწვლა მოუნდა და ირონიულად შენიშნა:



საინტერესო ბავშვებზე

— თქვენი ლექსი ძალიან მსუბუქია.



მსხვილ მკვლავიანი მხეცო

— ნელა, რამხელა პირს აღებ, არ გადაწყლაპო.

— ნუ გეშინია, დორის ხორცს არ გეახლები, — მიუგო შამილმა გულმშვიდად.



არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ჩონჩხი, რომელსაც თავის ქლა ჰქონდა დაზიანებული.

— ჩემი აზრით, ტრავმა ძლიერი დარტყმის შედეგია. მას ალბათ ქვა მოხვდა თავში. ამ მხარეში ხომ სულ ნაშალი კლდეებია, — ჩაფიქრდა ერთი არქეოლოგი.

— არამც და არამც! — ჩაერთო კამათში მეორე, — ტრავმა ცივი იარაღითაა მიყენებული, იგი ალბათ ბრძოლაში მოკვდა. აქვე ნაპოვნი საბრძოლო საჭურველი ნათლად მოწმობს, რომ ეს სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემული მეომრის ჩონჩხია!

— ... მაპატიეთ, — ჩაილაპარაკა მუშამ, რომელიც მეცნიერთა კამათს შორიდან უგდებდა ყურს, — მე მომიხვდა ბარი, როცა ვთხრიდი...



მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარაჯი: — ეს ბრონტოზავრი, ქალბატონებო და ბატონებო, ცხოვრობდა ას ორმოცდაათი მილიონი და ოცდაცამეტი წლის წინათ.

— რა სიზუსტეა?! — გაოცდა ერთი, — მაინც რა მონაცემებით ისარგებლეთ?

— ამის დადგენა სულაც არ იყო ძნელი. როდესაც მე აქ მუშაობა დავიწყე, ეს ბრონტოზავრი იყო ას ორმოცდაათი მილიონი წლისა. მე კი, აგერ, აგვისტოში, ოცდაცამეტი წელი მისრულდება, რაც აქ ვმუშაობ.

მასწავლებელი:

- რატომ ძარცვავდა რობინ ჰუდი მხოლოდ მდიდრებს?
- იმიტომ, რომ ღარიბებს არაფერი გააჩნდათ.



საფრანგეთის მეფე ლუი XIV ხანდახან მეტად უხეირო ლექსებს წერდა. ერთხელ მან თავისი ნამოღვაწარი ცნობილ პოეტს ბუალოს წაუკითხა და ჰკითხა:

- აბა, რას იტყვით, ძვირფასო თანამოქალაქე?
- ბუალომ პირმოთნედ უპასუხა:
- თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, თქვენო უდიდებულესობავ, აი, აზრად მოგივიდათ დაგეწერათ უხეირო ლექსები და შეუდარებელი ოსტატობითაც გააკეთეთ ეს.



ამჟინაპარტი მხედრობისთვის

როდესაც 27 წლის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი იტალიის წინააღმდეგ მებრძოლი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა, ბევრი ხალისით როდი ემოჯილუბოდა ახალგაზრდა მხედართმთავარს. განსაკუთრებით ძველი თაობის გენერლები თავილობდნენ „ახალბედა და ტანით მომცროს ბონაპარტის“ უფროსობას.

ამგვართა რიცხვს მიეკუთვნებოდა გენერალი ოფერო, რომელიც პირველ დღეებშივე მწვავედ წაეკამათა მასზე ასაკით ბევრად უმცროს ნაპოლეონს. ოფერო აღნაგობითაც ბევრად მაღალი იყო და ზემოდან დაჰყურებდა „პატარა კაპრალს“.



გენერალ ლუივი

- მამიკო, რა არის მატრიარქატი?

- გენერალო, - შეუტია მაშინ ბონაპარტმა, - თქვენ ერთი თავით მაღალი ხართ ჩემზე, მაგრამ თუ უკმეხად ილაპარაკებთ, მე დაუყოვნებლივ მოგსპობ ამ განსხვავებას.



ერთხელ, ეგვიპტეში ლაშქრობისას, მამლუქთა მორიგი თავდასხმის დროს, ნაპოლეონმა ასეთი ბრძანება გასცა:

- გვარდიელები წინ! მეცნიერები და ვირები უკან!



ამჟინაპარტი



მასალა მოამზადა უორენა ყატაშვილმა.

# ისტორიკოსები

## მეგობრულ



მასადი უუნადისათვის  
მოგვაწოდა ბატონმა  
დავით ბუჩუკაშვილმა

## შარჟებში



1. იგანე ჯავახიშვილი  
(ნახ. კდუარდ ამბოქაძის)
2. ექვთიმე თაყაიშვილი,  
ხმონ ჯანაშია,  
სიქო ბერძენიშვილი  
(ნახ. გიგლა ფინცხელიძის)
3. ხმონ ებუხიშვილი  
(ნახ. გიგლა ფინცხელიძის)
4. რიან მეტრეველი  
(ნახ. შოთა ხორაძის)







# ARTANUJI

*The scientific-popular journal of young historians*

*Georgia, Tbilisi, 1994, N1*

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЗНАМЕНАКИ



აბწყო და დაკაბადონდა კორპორაცია „მალულას“ კომპიუტერულ ცენტრში,  
დავით აღმაშენებლის 123.

დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში,  
მერაბ კოსტავას 14.

გპ 251/1



საქართველოს  
ხალხთა ეროვნული ბიბლიოთეკა

